ალი



ლიტერატურული ჟურნალი № 1 (54)

2022

ოლე

მწერალთა ასოციაცია
„ლიტერატურული კახეთის“ გამოცემა

The Literary Magazine OLE

ჟურნალი გამოდის 2004 წლის ივნისიდან
ISSN 1512-3995

ოლე – ბრყენა, გინა მოგრძე ტყე ველთა შუა
სულხან საბა

ოლე – ახოში საჩრდილობლად დატოვებული ხე
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

ოლე – გიორგი ლეონიძის პოეტური შედევრი

მთავარი რედაქტორი
აკაკი დაუშვილი

რედაქტორები
ფარნა რაინა
ნუნუ ძამუკაშვილი

მხატვრული რედაქტორი
სოფიო ჭელიძე

მისამართი: 2200 თელავი
ერეკლე II-ის გამზირი №6
III სართული
მობ: 555 46 44 29
მწერალთა ასოციაცია
„ლიტერატურული კახეთი“
მობ: 558 48 24 80

„ოლეს“ რედაქციაში შემოსული მასალა
არ რეცენზირდება და ავტორს არ უბრუნდება

მასალების გამოგზავნა შეგიძლიათ
ელექტრონული ფოსტით
E-mail: akakidau@mail.ru

ჟურნალ „ოლეს“ წინა ნომრების წაკითხვა შეგიძლიათ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საიტზე www. nplg. gov. ge — ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელის“ ვებგვერდზე.

ჟურნალი „ოლე“ გამოიცემა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის (მერი ბატონი **ლევან ანდრიაშვილი),** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (თავმჯდომარე ბატონი **თენგიზ მთვარელიშვილი**) მხარდაჭერით.

დაიბეჭდა გამომცემლობა „მერიდიანში“

„ოლე“ ლიტერატურული ჟურნალი

გამოდის სამ თვეში ერთხელ

მარტი №1,(54), 2022

შინაარსი

ესსე

2. მაყვალა მიქელაძე. საუკუნეებს გადმოყოლილი შავი მანდილი მეფე თამარისა

მხატვრული ლიტერატურა

5. ვანო ჩხიკვაძე. მოთხრობები
13. ფიქრია ყუშიტაშვილი. ლექსები
15. შალვა საბაშვილი. ლექსები
19. ლანა მანველი. სად არის ბედნიერება. რომანი
24. თინათინ თელაველი. ლექსები
26. მარიამ ძამუკაშვილი. ის, – ორი ცრემლი... მოთხრობა
28. დარეჯან ჭანკოტაძე. ლექსი
29. როლანდ გიორგაძე. ტილოზე ამოქარგული მზე. მოთხრობა
36. ლელა კურტანიძე. ლექსები
38. ვაჟა მიროტაძე. ორი კოტე. მოთხრობა
42. გიორგი ზუბიტაშვილი. ლექსები
44. ჯემალ შაინიძე. ლექსები

ბავშვებისთვის საკითხავი

46. მიხო მოსულიშვილი. ოფოფების თეატრი. პიესა
54. ნუნუ ძამუკაშვილი. ლექსები

სახალხო მთქმელი

57. ფირუზ კოჭლამაზაშვილი. ლექსები

თარგმანი

59. ევგენი ვოდოლაზკინი. ასეთი განსხვავებული დაკრძალვები. მოთხრობა

წერილები

63. ნუნუ ძამუკაშვილი. ნოდარ იაგორაშვილის პოეტური ნათელხილვა

გარეკანის პირველ გვერდზე
ლევან მოსიაშვილის ნახატი

მაყვალა მიქელაძე

– „ყველაზე დიდი საოცრება... მაშინდელ ბედნიერ ცხოვრებაში ისაა ყოფილიყო, რომ... თავიანთი სიმართლის დასამტკიცებლად ეს მთის ხალხები... მეფე თამარზე იფიცებოდნენ თურმე".

მოსმენილმა, მართლაც, უკვე ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, რადგან საუნებოდაც კი ძალიან შორია და მიუნვდომელი ადამიანურ ურთიერთობათა სრულყოფილების ეს უმაღლესი მწვერვალი. არსად სხვაგან, არც ზეპირმეტყველებასა და არც წერილობით წყაროებში, მსგავსი სასწაული აქამდე არ დაფიქსირებულა. მართალი უთქვამთ: „საქართველომ ორი სასწაული შესძინაო კაცობრიობას: „ვეფხისტყაოსანი" და „თამარის ეპოქაო".

მყვალა მიქელაძე

საუკუნეებს გადმოყოლილი შავი მანდილი მეფე თამარისა

ის სხვას ეხურა, წმინდანად შერაცხულო დიდებულო მეფევ ქალბატონო, მაგრამ შენი იყო, რადგან შენი სიყვარულით, დიახ, შენდამი განუზომელი სიყვარულით სავსეს ეხურა თუშის ქალს მთელი მომდევნო 8 საუკუნე. თუშეთში ეს მანდილი ჯერაც არ მოუხდიათ და გატაცებით ყვებიან, როგორი სანეტარო იყო ყოველი წუთი, დღე თუ წელიწადები შენს გვერდით, უკვდავებაში გადასულო მეფეო თამარ, შენგან ღვთიური მადლით მართულ ამქვეყნიურ სამოთხედ ქცეულ სამყაროში – ნიკოფსიიდან დარუბანდამდე.

თუშეთი – ცას მიჯრილი მთების მწვერვალებით შეკრული მარადიული საუფლოა სილამაზისა და მაღალი სულიერი ღირებულებებისა. ალპური ზონაა და ხეები არსად ჩანს. მწვანე, ზურმუხტისფერი ხავერდებია მოფენილი ირგვლივ ყველგან: დაბლა, ხეობის ფსკერზე, და მაღლაც, მთების კალთებზე. ამ ზურმუხტისფერი დარბაზის თავანს დღისით საოცრად გამჭვირვალე ლაჟვარდი ავსებს, ღამით კი – ხელის შეწვდენაზე მომდგარი ბღუჯეულებად დაყრილი საცრისთვალება ვარსკვლავები. ორი მეფური ფერი სამყაროსი, ფირუზი და ზურმუხტი, უშუალოდ ენაცვლება ერთმანეთს ციდან მიწაზე და მიწიდან ცაზე.

ტკბები ირგვლივ დავანებული ბუნების მომაჯადოებელი ჰარმონიით და თავს გახსენებს გერმანელი პოეტისა და ფილოსოფოსის – ნოვალისის – ცნობილი „ფრაგმენტი:" — „არსებობენ სულთა და სამშვინველთა გარკვეული სახეობანი, რომლებიც მკვიდრობენ ხეებში, ლანდშაფტებში, ქვებში, სურათებში. ლანდშაფტი უნდა შეიგრძნო, როგორც რაიმე სხეული. ყოველი ლანდშაფტი არის იდეალური სხეული განსაკუთრებული სახეობის სულისათვის". იმეორებ გულში ამ საოცარ შეგონებას და გჯერა, რომ სწორედ ლაჟვარდოვანი ცის ასეთმა თავბრუდამხვევმა სიახლოვემ შთააგონა ჩემი თუშები, შეურიგებელი ომი გამოეცხადებინათ ამქვეყნიური ამაოებისათვის და ეცხოვრათ მტკიცე რწმენით იმის შესახებ, რომ სიცოცხლე ღირსებაზე მეტი არაა. ასეთი რწმენა, რომლის გაკვეთილები ლამის აკვნიდან იწყებოდა, იყო ის მტკიცე საყრდენი, რაზეც საუკუნეების მანძილზე ასე ურყევად იდგა გაღმერთებული მეფე-ქალის გლოვის უჩვეულო ტრადიცია.

განსხვავებულად განვითარდა მოვლენები ამ ხალხის ბარში ჩამოსახლების შემდეგ.

მაყვალა მიქელაძე

დრომ, ცხოვრებისეულ სასწაულებზე მარადიულმა მონადირემ, შემპარავი თანდათანობით მალევე ჩამოჰხადა ახალგაზრდა თუშ ქალბატონებს გლოვის შავი თავსაფარი, კარგა ხანია მათ ის უკვე აღარ ახურავთ, მაგრამ სხვანაირად წარიმართა მოვლენები ხანშიშესულებთან მიმართებით. ამ ჯიუტ მოძალადეს მათთან ასეთი წარმატებული იერიში ვერ მოუხერხდა, რის გამოც ეს საამაყო ტრადიცია ზემო ალვანში დღესაც გრძელდება ხსოვნის ძეგლებად შემორჩენილი უხუცესი ქალების მადლით.

XII საუკუნის საქართველოში არსებული შთამბეჭდავი ყოფიერების შესახებ დღეს, XXI საუკუნეში, საკუთარი თვალით ნანახივით ღრმა რწმენით ყვება შავთავსაფრიანი დიდი ბებიის მონაყოლს თვითონაც უკვე ბებია, მაგრამ უთავშლო, თუში ქალბატონი – მანანა უჯირაული. მეტი დამაჯერებლობისთვის სალაპარაკოდ ის თუშურს ირჩევს, მე კი გაგონილს ერთგულად ვაქართულებ. თხრობას მანანა შესავლით იწყებს:

– „ყველამ კარგად ვიცით, თავისი მეფობის პერიოდში ხალხის საკეთილდღეოდ გაწეული დიდი ამაგისათვის როგორ შეიყვარეს და გააღმერთეს სიცოცხლეშივე მთელ საქართველოში მეფე თამარი და მაინც თურმე ამ სიყვარულსა და ერთგულებაში მთა პირველობდა, სადაც მაშინდელ მცხოვრებთა შორის ჩვენ, თუშებს, გვყვარებია ყველაზე მეტად ეს ძვირფასი ადამიანი. სწორედ ამასთან დაკავშირებით მინდა გიამბოთ ახლა მე თქვენ, რატომ ახურავთ ჩვენს დიდ ბებიებს შავი მანდილი. თვითონ ჩემი დიდი ბებიის მონაყოლიდან ვიცი, თორემ სხვანაირად როგორ უნდა გამეგო მე ეს საუკუნეებით დაფარული საიდუმლო.

ეს ამბავი დიდი ხნის წინათ მომხდარა ძალიან, მაშინ ჩვენ მთაში ვცხოვრობდით თურმე. ვინ იცის, რამდენმა საუკუნემ ჩაიარა მას შემდეგ. თამარ მეფის დროს ბედნიერი ყოფილა მთელი ქვეყანა, ქალიც და კაციც, დიდიც და პატარაც. კავკასიონზე მცხოვრები ხალხები: ჩეჩნები, ინგუშები, ქისტები, დიდოები, ღილღველები და ჩვენც, თუშები, თამარ მეფის დროს ქრისტიანები ვყოფილვართ ყველანი“.

მთხრობელის ხმაში ღელვა მატულობს. სათქმელისათვის მეტი ემოციურობის მისანიჭებლად ფრაზებს მანანა ახლა უკვე შინაარსობრივ მონაკვეთებად ყოფს და ამ ხელოვნურ ფრაგმენტებს კიდევ და კიდევ იმეორებს ომახიანად:

– „ისეთი ტკბილი ცხოვრება გვქონოდა მაშინ, ისეთი ტკბილი ცხოვრება, ისეთი ტკბილი ცხოვრება და ისეთი ტკბილი ურთიერთობა ამ ხალხს ერთმანეთთან, მადლიერები თამარ მეფეზე ვლოცულობდით თურმე ყველანი. არც ომი თურმე, არც ომი თურმე და არც რაიმე სახის წყენინება. ნამდვილი სამოთხე ყოფილიყო, ნამდვილი სამოთხე“.

ახლა, საუკუნეთა მანძილიდან ნათელი ხდება, რომ თამარის ეპოქაში ადამიანთა ბედნიერების ასეთი განუზომელი მასშტაბები რეალური შედეგი იყო სახელმწიფოს შიგნით გამეფებული ზომიერებისა; ზომიერებით იმართებოდა ქვეყანა, ადამიანების გულიც, გონებაც და ყოველდღიურობაც. მოზომილი იყო ნივთი, საგანი, სიტყვაც და საქმეც. შორს, თვალსაწიერს მიღმა დატოვებულები, ფუნქციას კარგავდნენ ფუფუნების საგნები, ზნეობის სასწორზე კი რჩებოდა მხოლოდ პიროვნება თავისი ადამიანური ღირსებით, საქვეყნო ღვაწლითა და ამაგით. ხალხში საყოველთაო ბედნიერება ზეიმობდა, რადგან ადამიანურ ურთიერთობებს მაშინ ქვეცნობიერად უკვე განაგებდა XXI საუკუნეში ჩვენთვის ბრძენთაბრძენი კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის მიერ ხმამაღლა გაცხადებული ღვთიური პრინციპი: „ყველა ადამიანი ბედნიერებისათვის იბადება“. დღეს, თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის უჩვეულო პროგრესის ეპოქაში, რომ შეგვძლებოდა ქვეყნის მმართველობის ძირითად პრინციპად პატრიარქის აღნიშნული შეგონება დაგვედო, რიგითი ადამიანების კეთილდღეობით აუცილებლად შორს გადავასწრებდით თამარის ეპოქას...

მე ფიქრი მიღრმავდება მოსმენილზე, ახალგაზრდა უთავშლო ბებია კი გაღიმებული, აშკარად გამოხატული სიამაყით აგრძელებს თავშლიანი დიდი ბებიის მონაყოლს:

— „ჰო და, ამის შემდეგ რა გასაკვირია, რომ მეფე თამარის გარდაცვალებაზე განსაკუთრებული, ძალიან მძიმე გლოვა გამოაცხადა ხალხმა მთაში. ორმოცი დღე გაგრძელებულიყო გლოვა და მთელი ეს ორმოცი დღე შავი სცმოდა დიდსაც და პატარასაც. მაშინ ეთქვათ ქალებს ერთმანეთისთვის:

– წმინდანი იყო ჩვენი საყვარელი მეფე თამარი, მოდით და ამ შავ თავშლებს ნუღარ მოვიხდით, მთელი ცხოვრება ვატაროთო! რაცა თქვეს, შეასრულეს კიდეც თუშის ქალებმა. ხომ ხედავთ, ჩვენი დიდი ბებიები დღესაც რომ შავი

თავშლით დადიან“.

გაუტეხავი აღმოჩნდა სიტყვა და ფიცი თუში ქალებისა. შავ თავშალს გლოვის ნიშნად, განა არა, მანამდეც ატარებდნენ ჩვენთან ქალები, მაგრამ ეს ხდებოდა მხოლოდ ოჯახის წევრის, ან სანათესაოს ახლობელი პიროვნების გარდაცვალების შემთხვევაში, თანაც ზღვარდებული იყო დროში მაშინ ეს გლოვა: ნათესაური მანძილის მიხედვით გრძელდებოდა მხოლოდ 40 დღე, ან მთელი წელიწადი. მართალია, განსაკუთრებულ შემთხვევაში მგლოვიარე ზოგჯერ მთელი სიცოცხლე აღარ იხდიდა შავს, მაგრამ ამ უკიდურესი მწუხარების შემთხვევაშიც კი გლოვა წყდებოდა, როცა ჭირისუფალი თვითონაც ტოვებდა სამზეოს.

როგორც დიდი ბებიის მონაყოლიდან ჩანს, სალოცავ ხატად ქცეულ მეფე თამართან მიმართებით გლოვის ტრადიციას თავისებური შინაარსი შესძენია თუშეთში. ცხადია, რომ გლოვის აღნიშნული საყოველთაო ხასიათით თამარის მიერ მართული უბედნიერესი ქვეყნის კანონიერ მკვიდრად გამოაცხადა თავი ამ კუთხის ყველა ქალმა, ხოლო რაკი გლოვამ წელიწადები კი არა, საუკუნეები გადააფარა, ამით უკვე იმავე თუში ქალების მიერ სათაყვანო მეფე ქალი იქნა აღიარებული საკუთარი ოჯახების უძვირფასეს სათაყვანო წევრად.

გლოვის ამ საყოველთაო და უსასრულო ხასიათში მეფე თამარის განსაკუთრებულ საქვეყნო ღვაწლთან ერთად წილი მისი მეფობის და საერთოდ სიცოცხლის განსაკუთრებულ ხანმოკლეობასაც ედო უცილოდ. დრო რომ საოცრად სწრაფი მედინია, ეს ყველა ქვეყანაში ყველამ კარგად იცის, მაგრამ ქართველის გარდა ვინ და სად მიუსადაგა მარადისობას საზომად წუთი და დაარქვა სამზეოს „წუთისოფელი“?! წუთად იქნა შეფასებული ქართველის მიერ უფლისაგან კაცთათვის საამქვეყნოდ ბოძებული 120 წელი, საიდანაც მეფე თამარს ასე ცოტა ერგო. ადვილი წარმოსადგენია, როგორი მძიმე ლახვარი უნდა ყოფილიყო მასზე უზომოდ შეყვარებული ადამიანებისათვის ისედაც მოკლე წუთისოფლიდან ამ გაღმერთებული მეფე ქალის ასეთი ნაადრევი წასვლა.

ყველა ნიშნის მიხედვით თხრობა თითქოს უკვე დამთავრდა, მაგრამ მანანა სწორედ ახლა იღებს გამარჯვებულის იერს, მეო ყველაზე საინტერესო ბოლოსთვის შემოვინახეო, და გამიზნული, არაბუნებრივად დიდი პაუზებით, სენსაციურ ამბავს გვაცნობს;

– „ყველაზე დიდი საოცრება... მაშინდელ ბედნიერ ცხოვრებაში ისაა ყოფილიყო, რომ... თავიანთი სიმართლის დასამტკიცებლად ეს მთის ხალხები... მეფე თამარზე იფიცებოდნენ თურმე“.

მოსმენილმა, მართლაც, უკვე ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, რადგან საოცნებოდაც კი ძალიან შორია და მიუწვდომელი ადამიანურ ურთიერთობათა სრულყოფილების ეს უმაღლესი მწვერვალი. არსად სხვაგან, არც ზეპირმეტყველებასა და არც წერილობით წყაროებში, მსგავსი სასწაული აქამდე არ დაფიქსირებულა. მართალი უთქვამთ: „საქართველომ ორი სასწაული შესძინაო კაცობრიობას: „ვეფხისტყაოსანი“ და „თამარის ეპოქაო“.

ახლა უკვე ნამდვილად დაამთავრა თხრობა მანანამ. მადლობა ვუთხრათ თუში ხალხის შავმანდილიან დიდ ბებიებს ახალგაზრდა თაობებისათვის საუკუნეების მანძილზე უსასყიდლოდ ჩატარებული მადლიერებისა და ერთგულების საოცარი გაკვეთილებისათვის. უეჭველია და ძალიან სარწმუნო, რომ დღემდე მოუხდელი საუკუნეებს გადმოყოლილი მეფე თამარისეული შავი მანდილით ეს დიდი ბებიები საკაცობრიო გმირთა ხსოვნის ზეპირ წიგნში მამულისათვის ხმლით ნაომარი რჩეული მამაკაცების გვერდით დაიკავებენ კუთვნილ ადგილს.

ᲩᲘᲗᲝᲖᲐ

ᲕᲐᲜᲝ ᲩᲮᲘᲙᲕᲐᲫᲔ

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲛᲘᲓᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲘᲜᲣ, ᲣᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲝ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲡ ᲤᲝᲜᲖᲔ, ᲣᲤᲠᲝ ᲮᲐᲖᲒᲐᲡᲛᲣᲚᲐᲓ ᲘᲒᲠᲫᲜᲝᲑᲐ, ᲛᲐᲠᲐᲓᲘᲣᲚᲝᲑᲐ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡᲐ — ᲜᲕᲘᲛᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲗ ᲒᲐᲯᲔᲠᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲛᲘᲜᲐᲛ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲙᲘ „ᲫᲕᲚᲔᲑᲘ" ᲒᲐᲣᲗᲑᲐ, ᲡᲘᲛᲬᲕᲐᲜᲔ ᲣᲪᲔᲑ ᲘᲑᲐᲠᲪᲧᲐ, ᲮᲐᲡᲮᲐᲡᲐ „ᲩᲘᲗᲖᲔ" ᲦᲘᲚᲚᲔᲑᲘᲗᲘᲗ ᲓᲐᲘᲙᲔᲠᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ, ᲧᲕᲘᲗᲔᲚᲘ ᲒᲕᲘᲠᲘᲚᲚᲔᲑᲘ.

ᲛᲘᲰᲧᲐᲕᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲰᲧᲐᲕᲡ ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲔᲑᲘ!

ᲒᲕᲘᲠᲘᲚᲚᲔᲑᲘ... ᲒᲕᲘᲠᲘᲚᲚᲔᲑᲘ... ᲛᲘᲜᲐᲖᲔ ᲩᲐᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲗᲣ ᲛᲘᲜᲘᲓᲐᲜ „ᲐᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ", ᲞᲐᲜᲐᲜᲙᲘᲜᲪᲔᲚᲐ, ᲛᲖᲘᲡ ᲒᲣᲚᲡᲐᲑᲜᲔᲕᲔᲑᲘ...

ᲕᲐᲜᲝ ᲩᲮᲘᲙᲕᲐᲫᲔ

ᲡᲐᲗᲝᲜᲔ

– ამ ზამთარს ვეღარ გაუძლებს!

– ჰოო, გაუჭირდება.

– მაგრად დაიფეხვა...

– გაიწელება ზამთარი და აღარ დამთავრდება.

– თებერვლის ბოლომდე ფეჩს ვინ გამოაქრობს.

– რატო მარტი და აპრილის ნახევარიც არა?

– თოვლს არ მოგვაკლებს!

– ჰო, მაგრად დადებს.

– აბა, ეს იმ თოვლის გამძლებია? დაშლილია სახსრებში...

– აქიმობა უნდა.

– თუ რაღაც არ ვიღონეთ...

– ეჰ, მარტო ჩვენი მონდომებით რას გავხდებით... პატარა ხო აღარ არის, კომუნა რომ ჩამოყალიბდა, იმდროინდელია.

მხატვარი სოფიო ჭელიძე

– უფრო იქით, პარტუჯრედი და პირველი კრებებიც ახსოვს...

– არალეგალური!

– მაშა!.. როგორც ცხონებული პაპაჩემი იხსენებდა ხოლმე, შეიკრიბებოდნენ, ვითომ ცხელ თონესთან საბაასოდ... სინამდვილეში, ხელისუფლებას ძირს უთხრიდნენ!

– იმათ ქვეყანა გადაატრიალეს და ჩვენ რისი მაქნისები ვართ?

– დალიე, დალიე, ეგ ჭიქაც!.. კიდევ მოვიტან!.. რო გადაატრიალეს მერე რა ხეირი ნახეს, ისევ უკან ვერ გადმობრუნდა?.. დალიე-მეთქი!

– გვეყოფა, ხვალ ადრე ვარ ასადგომი!..

ეზოში გამობარბაცდნენ. ახლა გარედან შეათვალიერეს წაფერდებული ალიზის სათონე.

– არა, ეს ამ ზამთრის გადამტანი ვეღარ არის!

– ჰო, ჩემო ძმაო, რაღაც უნდა ვიღონოთ.

– ალიზს სადღა ვიშოვით, ბლოკი შევაშველოთ.

– შევაშველოთ, მე რა უარზე ვარ?

სათონის გამოფშუტულ ყავარს რაკუნით ეცემა მოტეხილი ტოტი.

შიგნით, თონისპირზე, ჭრაქის ალი ქანაობს, თითქოს საცალფეხო ბოგირზე პატარა გოგო გადის და თავს ძლივს იკავებს, ფეხი რომ არ აუცდეს და მორევში არ მოადინოს ტყაპანი.

ᲑᲐᲚᲖᲐᲙᲘᲡ ᲐᲡᲐᲙᲘ...

რამდენნაირ ვნებათა დიადი ცეცხლი ჩაინაცრა, რეალური თუ ლიტერატურული გმირებისა, ჩაილია უბინო მიჯნურების ჩურჩული, თრთოლა, სასოწარკვეთა, რამდენმა მიიტანა საფეთქელთან წკიპზე შემდგარ სასხლეტიანი დამბაჩის ლულა... რა ეშველებოდა ლიტერატურას, თეატრს, კინოს, მუსიკას, მხატვრობას, გაუმართლებელი სიყვარულის ცოდო-მადლს რომ არ ეტრიალა? რამდენ შედევრის შემქმნელ მდუღარე ტვინს გააგრილებდა,



ვანო ჩხიკვაძე

კეთილი დასასრული, კაცობრიობისათვის ცნობილი ტრაგიკული სიყვარულებისა!

ამიტომ, როდესაც მიზეზი და საშუალება მოგვეცემა, ვეშურებით გაკრეფილ ალუბალს, აქა-იქა, კენწეროზე შემორჩენილი, შემჭკნარი კიმპალი მოვწყვიტოთ და, ის დრო და გემო გავიხსენოთ, როცა შეგვეძლო დამკრახული „კუნწულები ჩამოგვეკრიფა“, მუჭა-მუჭა მარცვლებიდან გადმოჩქეფილი წვენით გული გვეჯერებინა.

როგორც იქნა ჩვენს სათქმელთანაც მოვედით:

სადღაც, ხშირბინდში გასუსული ბულონის ტყეში:

კოფოზე ჩათვლემილი მეეტლე და მის ზურგს უკან აძიგძიგებული კარეტა.

ორმოცდაათს გადაცილებული, მაგრამ ჯერ კიდევ ვნებიანი მადამ დე ბ-ი და მისი მეწყვილე, ისიც დე ბ-ი, ოღონდ ონორე.

ახლა რაღა აზრი აქვს კონსპირაციას, მაგრამ, რა ვიცით, კაცს თუ არა, ქალბატონს მაინც, უმწიკვლო სახელი, იქნებ იმ ქვეყანაშიც სჭირდება.

მეეტლეს უკვე თვლემას ჰგვრის ბევრჯერ მოსმენილი, გაგრძელებული კრუსუნ-კრუტუნი და კარეტის ჯანჯღარი.

„გაუძლებს ღერძი?“ – შეშფოთდება კარგი გასამრჯელოს მომლოდინე მეეტლე, როცა წარმოიდგენს ფაშფაშა ქალბატონისა და არანაკლებ მძიმეწონიანი ბატონის ჯახს.

ჰქონდა შიშის მიზეზი – ამას წინათ, ჭახანის ხმაზე გვერდზე გადახენცილი ეტლი, ხის გადანაჭერს გადაეყუდა და, როგორც ნაყირავებული კასრიდან, ეგრე გადმოიღვარა, ჯერ შეშფოთებული მერე კმაყოფილების ნიაღვარი.

ამოხეთქილმა ხმებმა, შეყვარებული, ასკილის ბუჩქთან მოკურკურე კურდღლები დააფრთხეს...

ნავლწაყრილ ნაღვერდალში, სულს თუ შეუბერავ, ხშირად როგორი მხურვალება ღუდღუდებს – ეს მხოლოდ ონორემ და მასზე გაცილებით უფროსმა, უკვე დარბაისელმა (წესით!) ქალბატონმა კარგად იცოდნენ.

უხსოვარ დროში, პირველი ნაპერწკალი რომ არ დაკვესებულიყო, ვინ დაგვიხსნიდა სამოთხედან – მას შემდეგ ჩაუქრობლად ანთია „უმანკო“ შეცოდებათა ცეცხლი და გრძელდება, გრძელდება „ამბავი სიყვარულისა“.

ეგ კია, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ადრე თუ გვიან, ყველა ეტლის „ღერძი“ ტყდება!

იქნებ ამიტომ მიენიჭა „აკრძალულ ხილს“ ასეთი ხიბლი და მიმზიდველობა?

სადღაც, ხშირბინდში გასუსული ბულონის ტყეში...

ნაგავი

რამდენჯერ უნდა დავამტკიცოთ, რომ ნაგავი მხოლოდ ცელოფანის პარკებში მოგროვილი, სამშენებლო ნარჩენების, საჭმლისა და დამუშავებული პროდუქტის, ბოსტნეულის ნარჩენები არ არის.

წუხელის, ორის თხუთმეტ წუთზე, როდესაც გადაღლილ მოქალაქეთა უმრავლესობას ეძინა, სადღაც, შორიახლო, რომელიღაც ქუჩაზე, გამაყრუებელი ბათქა-ბუთქი ატყდა – ფერადმა ფოიერვერკმა დაბზარა ღამეული ცა და შეშინებული, ხარიხაზე ჩაძინებული თუთიყუში გალიის ფსკერზე მოწყვეტით დაეცა.

მივვარდი, დავუყვავე, ათრთოლებული ციცქნა რიკი ხელისგულზე დავისვი, მოვეფერე.

პატარა, უმწეო არსება მთელი ტანით ცახცახებდა. ჩიტი, როდის-როდის გონს მოვიდა და, ხელახლა, ძლივს აფორთხდა ხარიხაზე.

კანონადა კაიხანს გაგრძელდა, თუმცა, ძნელი გადასატანი პირველი ბათქით მოგვრილი ემოცია იყო.

ვინ მოგვიძღვნა ეს შედლუხი, ვინ დააფეთიანა და წამოახტუნა დიდ-პატარა, დააწიოკა ფრინველი და ოთხფეხი!

ეტყობა, ვიღაც შეძლებულმა ნაგავმა შეგვახსენა, რომ ოდესღაც, ამ დღეს, ცხრამეტი ივლისის ღამეს, ან თვითონ, ანდა თავისი ოჯახის რომელიმე წევრის მოვლენამ გააბედნიერება ქვეყნიერება.

არ ვიცი, ჩვენი ძილგატეხილი მოქალაქეები როგორ მოიქცნენ, მე კი ჩემი ადამიანური „ვალი“ მოვიხადე და, შუაღამის „მამალს“, მამა-პაპური „ლოცვა-კურთხევა“ არ დავაკელი.

მერე, თუთიყუშს, უმსგავსი თანამოქალაქეების ნაცვლად მოვუბოდიშე და ლოჯიიდან შუა ოთახში, მომყუდროებულში გადავიყვანე, რა ვიცით, კიდევ ვინმე არ მოვიდეს „ბათქა-ბუთქის აპეტიტზე“-მეთქი.

აგვისტოს ომის დროს, გორის დაბომბვისას, ბევრი შიშით დახოცილი, გულგახეთქილი ფრინველი ვნახე.

„ისინი ვინც ღმერთის წინაშე სცოდავენ, იმქვეყნად უნდა დაისაჯონ, ხოლო ისინი, ვინც ხალხის წინაშე სცოდავენ – ამქვეყნად“. – (ვოლტერი)

იმათ რა უნდა ვუყოთ, ვინც უენო, უმწეო, დაუცველი არსებების წინაშე სცოდავენ, ამაზე ვოლტერი არაფერს ამბობს.

მაგიური სიტყვა

უფალს სული მიაბარაო.
უფალზე საიმედოს სულს ვის მიაბარებ!
ცხრა ათეულს მიღწეულმა ქალმა, ისე რომ არ-

ავის გაუგია, შუაღამისას ამოიფშვინა და, ერთბაშად არაფრად იქცა, სულისგან დაცლილი, ამიერიდან უფუნქციო ჭურჭელი...

ორიოდე დღეა რაც მოთბა.

გაიგიჟეს თავი ცეტმა ჭერმებმა და ალუბლებმა.

„ჭიტაო," – ხან საიდან შემოგძახებენ და, ხან – საიდან.

მღვდლის გაბმული სულთათანა ერწყმის სიცხით მოთენთილ შუადღეს.

ადამიანი მიდის და მაინც, უსიხარულო პროცესის ფონზე, უფრო ხაზგასმულად იგრძნობა, მარადიულობა სიცოცხლისა – წვიმებითა და სიცივით გაჯერებულმა მიწამ, როგორც კი „ძვლები" გაუთბა, სიმწვანე უცებ იბარტყა, ხასხასა „ჩითზე" ღილებივით დაიკერა პირველი, ყვითელი გვირილები.

მიჰყავს ადამიანი და მოჰყავს ყვავილები!

გვირილები... გვირილები... მიწაზე ჩამოსახლებული თუ მიწიდან „ამოსახლებული", პაწაწკინტელა, მზის გულსაბნევები...

– მთელი ბავშვობა თავზე გვირილების გვირგვინი მეკეთა ხოლმე... დედა მიწნავდა... მოვაგროვებდით ბაღის ღობისძირებში, მინდორში, დაჯდებოდა ჩრდილში, მომისვამდა გვერდით და კალთაში ჩაწყობილი ღერებით უცებ გამოკვანწავდა ჩემთვის და ჩემი ამხანაგებისათვის ნაირნაირ გვირგვინებს...

ამას ეს ქალბატონი აკეთებდა, აიმ ხელებით, ახლა უძრავად რომ უწყვია მკერდზე, – თავდახრილი ჭირისუფალი ცრემლიანი თვალებით ამომხედავს და უპესთან დაკიდულ, გადმოსავარდნ წვეთს საჩვენებელ თითს შეაშველებს.

თითზე სველ ზოლად გაწელილი ცრემლი – ორ წერტილს შორის გაბმული, საკომუნიკაციო, ვერცხლისფერი სპირალი.

აქ, სასაფლაოზე, ორი „სოფლის" მთავარ გზაგასაყართან, მრავლისმთქმელ დუმილში, სიჩუმეში, უფრო მკაფიოდ იგრძნობა, როგორი წარმავალი უმწეობის საყრდენებზე დგას განდიდებულ მედროვეთა ყოვლისშემძლეობის ილუზია.

„ჰო, მაგრამ ჩვენ ასე არ ვფიქრობთ!.."

ვინ არის ეს „ჩვენ", რეალურად არსებობენ დანარჩენებიც თუ, ამბიციური ძალად მაცხონე წინამდგომი, ცოტა მდიდართა და ბევრ უპოვართა, თქვენობით მიმართავს თავისთავს?

და თუ კიდევ ვიღაც თანამდგომებსაც გულისხმობს, ვისმა საერთო ფიქრმაც შობა მათი უდღეური აზრები და გადაწყვეტილებები, მით უარესი... ვინ ბრძანდებიან, სად იყვნენ აქამდე, რა მოიმოქმედეს, დიდგორი მოიგეს, სოფელი და ქალაქი ააყვავეს, უფსკრულს მიმდგარ ქვეყანას ხელი სტაცეს და გადაარჩინეს... მათი უმაქნისი სახელისუფლო „კორტეჟი", რა დამსახურების გამო უნდა შეისვან უნაყოფო მოლოდინით დაღლილ, გადატყავებულ ზურგზე ადამიანებმა, ქვეყანამ, მაგდანას ლურჯასავით დავარდნილმა ბიუჯეტმა და კიდევ ერთი (!) საარჩევნო ვადით, ახლა ესენი ზიდონ სახედრის ერთგულებით?!

მორჩა და გათავდა! რადგან თქვეს, როგორი უგუნურიც არ უნდა იყოს, გადაწყვეტილების ციხესიმაგრის შიგნით არ შეგიშვებენ, კარს ვერ უპოვი, ვერ შეაღებ, ვერ გადაარწმუნებ, იქნებ ასე სჯობდესო.

„ჩვენ" ასე არ ვფიქრობთო, გაგიმეორებენ, უფრო გამკაცრებული ხმით და პიჯაკს შიგნით, თეთრ პერანგზე დაფენილ, ჭრელაჭრელა, გადაბრტყელებულ ჰალსტუხს ჩაისწორებენ, თითებს ისე ჩამოაყოლებენ, თითქოს მომთვინიერებელმა ყელთან გამობანტულ, მკერდზე ჩამოგრძელებულ პითონს ზურგზე გადაუსვა ხელი.

და გაიფიქრებ – უფალო, როდესაც ადამიანს ზელდი, თიხაში რამე ისეთი ხომ არ შეგიყვა, რაც კაცთა მოდგმის საცდუნებლად აქეზებს ეშმაკსო.

ცრემლის „საკომუნიკაციო ვერცხლისფერი სპირალით" მაინც ვძალაობ სინანული გავუღვიძო, სახელგატეხილ, არასაიმედო „ჩვენს" კოშკში გამოკეტილს, რომლის თითებიც კვლავ ახირებული, შემაშფოთებელი და შეამაწუხებელი ხაზგასმით მიცოცავენ პითონის ზურგზე.

ეფერებიან და „პითონიც" გატრუნული, ლაქუცით ნასიამოვნები თვლემს, ერთ ღილზე შეკრული პიჯაკის შიგნით, ამბიციის საფუარით გაღვივებულ ღიპზე.

„ცირკის" მაყურებელს ჰგონია, რომ მომთვინიერებელი და პითონი გიჟდებიან ერთმანეთისთვის.

მე – პირიქით, ვფიქრობ, ეჭვი, უნდობლობა, სახელისუფლებო საფეხურის ჩატეხვის შიში აერთიანებთ, ერთმანეთს რომ არ ენდობიან, ერთად სწორედ იმიტომ არიან.

ჭირისუფლებმა გვთხოვეს, წამობრძანდით, შესანდობარის სათქმელადო.

დაღმართზე, მანქანები, უკან თავპირისმტვრევით მიარბენინებენ ყველას, იმ ერთის გარდა, ვინც თავის შვილსა და მის თანატოლებს ყვავილების გვირგვინებს უწნავდა.

მაშინდელი გვირილების შთამომავლები ქალბატონის გასაცილებლად ამობიბინდნენ მიწიდან და ჩამობრძანდნენ ზეციდან!..

მიიბარა უფალმაო, ნათქვამია.

მაგიური ძალისა და შინაარსის სიტყვაა, „მიიბარა" – არ ეღალატება, თურმე, მიბარებული მგელმაც კი იცის!

კაცმა?..

ჩიტის სიცილი

გულწითელა წყალს ეთამაშება. დასკუპდება სკვერის კუთხეში მიდგმულ, ფერადი კენჭებით მოჭიქულ ნიჟარაზე, ჩაიჭყლოპინებს რაღაცას, ჩაჰკრავს ნისკარტს მილის წვრილი ყელიდან ამოფრქვეულ წყლის ჭავლს, გამოსტაცებს წვეთს, გადაყლაპავს, სველ ნისკარტს ბუმბულზე შეიმშრალებს და იქვე,

ლურჯად შეღებილი სკამის საზურგეზე გადაფრინდება.

ცოტა ხანში ისევ დაუბრუნდება ნიჟარას, ისევ ამოიტაცებს წვეთს და ნისკარტს მკერდს შეაწმენდს... იმეორებს ერთხელ, მეორედ, მესამედ, თან ისეთ მხიარულ ბგერებს ამოუშვებს, გაგიკვირდება, ამ მოწყენილ ქვეყანაში ამას რა ახარებს.

ცოცხალი, მოძრავი თვალები უბრწყინავს, უცინის...

რაო? ჩიტები არ იცინიან?

სად ამოიკითხე, არ იცინიანო, თანაც შუბლშეკრული, მკაცრი ტონით რომ მსაყვედურობ, თითქოს ქვეყნის დამაქცევარ ტყუილში გამომიჭირე.

მაშ შენ არც გაზაფხულის მზის ამობრძანებით გახარებული ფრინველები არ გინახავს, თორემ მაგას როგორ იტყოდი – არ იცინიანო!

არც მათ გნიასს არ შესწრებიხარ, ბუდიდან გადმოვარდნილ უმწეო ბარტყს, როგორ შეწუხებულები დასტრიალებენ.

მწუხარება და ერთმანეთისათვის თავგანწირვა თუ შეუძლიათ, სიცილმა რაღა დააშავა – ამას მხოლოდ ის იტყვის, ვისაც სიცოცხლეში გულწრფელად არაფერი გახარებია, უცხოა მისთვის აღტაცების მადლი და... მოკლედ, სულ უკმაყოფილების საპალნეს ზიდვით გულგაწყალებული, გაუცინარი, თავად ბრძანდები.

ჩიტის სიცილი ვის გაუგონიაო!

უწყინარი წყლის ჭავლიც მხიარულობს, ლაღობს და იღიმება-მეთქი, რომ გითხრა, ალბათ, მთლად გადაირევი, „ქოშს უკუღმა ჰყრი“ და საჩვენოსკენ ვიღა მოგაბრუნებს.

მადლობა ღმერთს, ყველაფერი შენს დაჯერება-არდაჯერებაზე არ ჰკიდია – საქართველოში ჯერ კიდევ უხარიათ მზის ამობრძანება, ჩიტსაც, წყალსაც და, აიმ ალუბლის წითლად ახლადშეთვალებულ, ტოტებზე ასხმულ კუნწულებსაც.

გაზაფხული მოდის.

შენც გაიცინე და თვალმოჭუტული მაცოცხლებელ სითბოს გაუტვრინდი.

მუგუზალი

დახუჭა თვალები და დაიხურა მამაჩემის ცხოვრების წიგნიც. თითქოს მარტის საღამოს მიმწუხრს შეერწყა, სამუდამოდ ჩაქრა კერპი, გაუტეხელი კაცის გამოხედვა, ბარაქიან ქოჩორზე მარცხნიდან მარჯვნივ გადასმული ხელის მოძრაობა, სასიამოვნო, დამაჯერებელი ხმის ტონი, გვიან ღამით შინ დაბრუნებული, მოკაკუნებამდე კართან რომ ჩაახველებდა ხოლმე, მე ვარ და არ შეგეშინდეთო... როგორც პაპამისს, მამას, თვითონაც ქედმოუხრელობის, გაუტეხობის გამო ებრძოდა კოლექტივი, ჯიბრში უდგნენ თავმჯდომარეები, რაიკომ-ქალაქკომის ფუნქციონერები... ახალგაზრდობაში, თუ სიტყვით ვერაფერს გახდებოდა, წელიდან ნაგანსაც გააძრობდა, ჰაერში დააქუხებდა... დიდი ომის დროს, ცხრამეტიოდე წლის ბიჭი „არსენალში“ მუშაობდა, როგორც გასამხედროებული წარმოების თანამშრომელს საყოველთაო მობილიზაცია არ ეხებოდა. მაინც, გვიან ღამით, სამუშაოდან მომავალს სტაცეს ხელი და, ვიღაცის ნაცვლად, ახალწვეულების ვაგონში უკრეს თავი.

უფროსი ძმა უკვე ფრონტზე იყო, შინ, სოფელში დედა, მამა, პატარა ძმები და ავადმყოფი პაპა ელოდნენ... ელოდა ერთ დროს ღონიერი, ახლა გადაკიდებული თავმჯდომარის წყალობით წაქცეული, მისი მწირი ხელფასის მოლოდინე ოჯახი.

ხაშურს გაცდენილი მატარებლიდან გადახტა და ისევ „არსენალში“ ჩამოვიდა.

მოუყვა თავის უფროსებს, რაც შეემთხვა.

რომ არ გეყოჩაღა, ჩვენ ვეღარაფერს გიშველიდითო...

განუკითხაობა, უსამართლობა ფეხდაფეხ დასდევდა.

მაინც ვერ დააჩოქა, ვერ მოერია, ვერ გატეხა.

ოთხმოცდარვა წლის მანძილზე ერთადერთი ბრძოლა წააგო და, ისიც... ჩემთან.

მშობლები ხომ ყველაზე მწარედ შვილებთან მარცხდებიან.

პარადოქსია, მაგრამ სიძულვილი, ძალა ან ჯიბრი კი არა, თავისივე სიყვარული ამარცხებთ.

იმის შვილი ვიყავი და, როგორც ნათქვამია, მოვიდა სეტყვა და დახვდა ქვა, მაგრამ ამაზე სხვა დროს...

დავყურებდი და ვფიქრობდი, ამ კაცის ცხოვრების წიგნის კითხვას ბოლოდან თუ დავიწყებთ, სათავისაკენ შევუყვებით, შევიგრძნობთ როგორ თანდათან აიმღვრა მისი დინება, როგორ აყურყუმელავეს მორევებმა და წყალდიდობებმა, როგორ იტანჯა და ტანჯა ის ადამიანები, გარეშემო რომ ვყავდით...

მეორე დღეს, ჯერ ხეირიანად არ მოთენებულიყო, თავს ძალუაჩემი რომ დაგვადგა.

ვუთხარი, მამაჩემი აღარ არის-მეთქი.

ვიციო.

საიდან, ვინ გაგაგებინა-თქო.

სიზმარი ვნახეო...

შევიდა მიცვალებულთან, იტირა, ივაგლახა, შენც ხო წახვედი, შენი ომახიანი ხმაც ხო ჩაქრა, ჩემო მაზლოო!

გადახადა, მძინარესავით კაცს, ახლა თვითონ გადაუსწორა თმა, თან გვარიგებს რა აუცილებელი რიტუალია შესასრულებელი და, უცებ – ფეხები ხომ შეუკარითო.

რათა, გაიქცევა სადმეო, გაეღიმა ჩემს ძმას.

შენ ხუმრობ და, ეს ისეთი მაგარი იყო, არც ეგ გამიკვირდებაო.

რაღაც სიზმარზე ლაპარაკობდი-მეთქი.

რაღაც კი არა, ასე ცხადლივ არაფერი მინახავს... ვითომ მამა-პაპეულ სახლში ვარ, ცოცხი მიჭირავს, უნდა მოვგაო იქაურობა... გავიხედოთ და,

შემოვარდა უცებ ოლა, ჩემი დედამთილი, როგორც იცოდა ხოლმე, დამიდგა წინ დოინჯშემოყრილი, გაავებული და თითები ლამის თვალებში წამატაკა, აბა თქვენ ხალხი ხართ, რა უნდა გელაპარაკოთ, ეს ერთი მუგუზალიღა დაგიტოვეთ და ესეც გამოაქერითო, მიჰკრა ღუმელის კარს ხელი და ისევ უკან გავარდა.

გამოღვიძებულმა ვიფიქრე, ნამდვილად ჩემი მაზლი აღარ არის-მეთქი.

მეზობლის ბიჭი ადრიანად მოდის ხოლმე მანქანით და იმას გამოვყე...

– ღმერთმა ყველა მოჰყაროს ამის ხნისა, ოთხმოცდარვისა „გამოაქრო“ ოლას „მუგუზალი“, მაგრამ ხომ ხედავთ, მშობლისთვის შვილის ასაკი არ არსებობს, სულ ჩვილი, პატარა და მოსაფრთხილებელია.

შვილები, მშობელიც რომ „მოსაფრთხილებელია“, ამას მხოლოდ მაშინ ვხვდებით...

თუმცა ვხვდებით კი?

ოლა მხოლოდ მუგუზალის კი არა, ღუმელის გამოქრობას და მამა-პაპეული სახლის გამოკეტვას, გამოციებას, გაუკაცრიელებას გულისხმობდა, ახლა სახურავწინწამოწეული, ხელმოჩრდილებული ბებერივით რომ გამოიყურება სოფლის შუაგულიდან და გველოდება... გველოდება...

შაქარმოყრილი პური

მარტო პური და შაქარი არა, სადღობელიდან ამოღებულ, ჯერ თუშფალანგში ჩამოწურულ და მერე პირგანიერ თეფშზე დაზვინულ, შინაური კარაქის გუნდას, დანის წვერით ბარაქიანად ჩამოაჭრიდა, თონიდან ახალამოყრილ, შეგრილებულ პურის ყუას წაუსვამდა. მერე შაქრის ჭარხლის მოყვითალო ფხვნილს ძუნწად, თავიდან ბოლომდე მოაყრიდა და, აბა, გემრიელად მიირთვიო, მომაწვდიდა.

ოღონდაო, გამაფრთხილებდა, აქ შეჭამე და გარეთ, ამხანაგებში მერე გადი, დაგინახავენ, იმათაც მოუნდებათ და ცოდონი არიან, არ ანანიო, თვალები არ დააბრეცინოო.

მაშინ, ჭარხლის შაქარი, კოლმეურნეობებში, შრომადღეების მიხედვით ნაწილდებოდა, თავს არც ჩვენ და არც სხვებს არ გადასდიოდათ, მომჭირნედ, გამოზომილად ვხარჯავდით.

რადგან სხვა ნუგბარით მაინცდამაინც განებივრებული არ ვიყავით, შაქარმოყრილი კარაქიანი პურით პირის ჩატკბარუნების სურვილის გაღვიძებას, „სნიკერსისა“ და „კოკა-კოლას“ მომაბეზრებელი რეკლამები არ სჭირდებოდა.

მაგრამ გვიჭირდა თუ გვილხინდა, ახლა ეს არ არის მთავარი.

უბრალო ქალები, ჩვენი თალხისფერკაბიანი დიდედები, ზამთარ-ზაფხულ, ქვედაბოლოს შიგნით მოკერებულ ჯიბეებში სასუსნავს რომ გვინახავდნენ, როგორი ზნეობრივი ნორმებით გვზრდიდნენ:.

„ცოდვანი არიან, აქვე შეჭამე, რომ სხვებს თვალები არ დააბრეცინოო.“

შენ რომ გქონდა, შენ რომ მიირთმევდი, ამით სხვა არ უნდა შეგეწუხებინა, გული არ უნდა დაგეწყვიტა, თუ არ შეგეძლო გამასპინძლებოდი, იმის ცხვირწინ მაინც არ უნდა გეტრიალებინა შაქარმოყრილი, კარაქიანი პური.

ჩვენ თუ ასეთი დიდბუნებოვანი ქალების კალთა გვმფარველობდა, საინტერესოა ესენი ვინ „გამოჩორკნა“, თავიანთი გაუმაძღრობით, მტაცებელი, ყველაფრის დასაკუთრების ჟინით შეპყრობილები, თვალს რომ გვიყენებენ, მე მაქვს და თქვენ არაო, თავიანთ „შაქარმოყრილ, კარაქიან პურს“ გვახარებენ?

აგვისტოს ომის დროს, შიდა ქართლის სოფლებში, ბაღებსა და ველ-მინდვრებში დაუმარხავ, ხელისუფლებისაგან განწირულ, მიტოვებულ მიცვალებულებს ნადირ-ცხოველი რომ ჯიჯგნიდა, იმ დროს თბილისის რესტორნებში ანშლაგი იყო.

მახსოვს, ბავშვობისას, სკოლაშიც და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებშიც, ყველაზე უფრო მორიდებულები, თავშეკავებულები, მორცხვები, ხელმოკლე მშობლების შვილები ვიყავით.

დღესაც ბევრი არაფერი შეცვლილა (თავზე არც ახლა გადაგვდის!) გარდა ერთისა:

– ბატონებო, მე არ მრცხვენია ჩემი სიღარიბის, მე თქვენი სიმდიდრის მრცხვენია!

დირიჟორი

როგორც სადავით ყოჩაღი მხედარი ქურანს, ეგრე მართავს ორკესტრს, ყველგან და ყველა ინსტრუმენტს წვდება მისი ფხიზელი თვალი და სმენა. ნიჭიერი არტისტის ხელები – ფრაკის სახელოდან ამოფრენილი მტრედის ფრთები იშლებიან, იკეცებიან, ფარფატებენ ჰაერში.

სადირიჟორო პულტის წინ, ნახევარრკალად შემორიგებულა ვიოლინოების ხუთეული.

მათ შორის მთავარი, „პირველი ვიოლინო“ – მეწინავე ულაყივით მიაპობს თავბრუდამხვევ დინებას, ქარსა და წვიმას, ხან უღრანის ჩრდილებში მითოხარიკობს, ხანაც ლორთქო ბალახის მკერდზე შემოხლილ ტალღებს მიაპობს.

გარბის პირველი ვიოლინო – თავდაღუნულები მიჰყვებიან დანარჩენები, იციან მეწინავე არ უღალატებთ, გზას არ ასცდება – სიმებიდან აფრინდებიან შეუღლებული ბგერები, როგორც გაჭიმული მავთულიდან ბეღურა ჩიტების მწკრივები, რიგრიგობით, მიყოლებით.

შეიარაქათებს პირველი „ულაყი“, თითქოს საკუთარი ფლოქვების ხმას აყურადებს, ორთქლის ოხშივარში დამამშვიდებელ ჩორთზე გადადის – დირიჟორის ხელების კარნახით... ახლა, ნაწვიმარ ტყეში, შემოდგომის ბურუსს მიჰყვება – ირგვლივ ნოტიო ნეშომპალის და ფეხქვეშ გასრესილი ტყის ხილის

სურნელი დგას... ალაგ-ალაგ, მარცვალ-მარცვალ ჩამოცვენილი, ჯერ კიდევ ჰაერში დაკიდულ ფოთლებში ჯახველას წითელი კუნწულები გაკრთება...

სადღაც, კორომის სიღრმეში, ტყისმცველის ფიცრული დგას.

ფიცრულში მე და შენა ვართ შეფარებული, ნაკვერჩხლებით გავარვარებულ ბუხარს მიფიცხებულები ერთმანეთის ხელებს ვათბობთ.

მოგვაგნეს, დამშვიდდა მელოდია.

ყოჩაღი დირიჟორის დაღლილი ფრთები ნელ-ნელა დაბლა ეშვებიან. „ულაყებმა“ ერთმანეთს გადააჭდეს შეყვარებული კისრები

პირველი ვიოლინოს ხემს ბოლო ბგერა წვეთივით წყდება...

დანდური

დღესაც გამიმართლა – ბაზარში ნამდვილი სოფლის დედაკაცი ვნახე, თალხტანსაცმლიანი, სიკეთეჩამდგარი თვალებით, კოხტად დაკონილი მწვანილი ეწყო და ღიჭინით არავის აწუხებდა, ეგ მითხრა მხოლოდ, აი, ეს დანდური, ჩემ შვილს ძალიან უყვარს, „შაქარს“ აწესრიგებს... შეკვრა ოცი თეთრიო, დააყოლა მორიდებით.

მომეცით-მეთქი.

რამდენი გნებავთო.

დავფიქრდი.

ამომხედა და, მოდით, რამდენიც იქნება, ერთ ლარად სულ წაიღეთო.

მხატვარი სოფიო ჭელიძე

გადავთვალე.

კონას ოც თეთრს აფასებდით და ათი ცალი ლარად როგორ წავიღო-მეთქი.

ჩემია, სხვისას კი არ ვყიდიო, შემომღიმა.

ღიმილმაც, ხმის ტონმაც, თავშეკავებულმა, დარბაისლურმა მიხრა-მოხრამ წარსულში გადამისროლა, ის დედაკაცები გამახსენა, ქართლის სოფლებს რომ ამშვენებდნენ.

მე ხუთი მინდა-მეთქი.

ხუთი ინებეთო.

მივეცი ლარიანი და მოვდივარ.

არაო, ხურდა გეკუთვნით, ორმოცდაათი თეთრიო, პატარა, ხელისგულისოდენა, ბურთულა შესაკრავიანი საფულე გახსნა და ხურდა ფული ააჩხაკუნა.

მაშინ არ წავიღებ-მეთქი.

გაგვეცინა – ამ გავაჭრებულ, გაწუპაკებულ-გაწუწკებულ გარემოში მყოფები, ტყუილით და უნდობლობით აქოთებული ბაზრის ყაყანიდან, იმ სამყაროში მოვხვდით, სამუდამოდ წარსულში რომ მეგონა ჩარჩენილი.

ღმერთო, ადამიანში ადამიანი არ გადააშენო! – შევთხოვე უფალს და რაღაცით, ერთბაშად სახელი რომ ვერ დავარქვი, ძალიან გაბედნიერებული წამოვედი.

იავნანა

თამაზის, მეტსახელად „დალაი ლამას“ სარდაფში ფილმს ვუყურებდით.

დედის იავნანამ, გაუცხოვებულ შვილს, თავისი ნამდვილი წარმომავლობა რომ გაახსენა, ამხელა კაცები ლამის ხმამაღლა ავღრიალდით.

ღაპაღუპით წამოსულ ცრემლს ერთმანეთს ვუმალავთ.

რა არის სასირცხვილო, რისი გვერიდება!

სავაგლახოდ მაშინ გვექნებოდა საქმე, ეს პასაჟი სულსა და ნერვებს რომ არ გვიტოკებდეს.

ჩემთვის ვფიქრობ:

ფილარმონიის დიდ დარბაზში რომ შევყაროთ ჩვენი პოლიტიკოსები, რუსოფობები და არასამთავრობო, დაქირავებული, ენაგატლეკილი თუთიყუშები, დაკვეთების შემსრულებელი ტელევიზიები, მხოლოდ უცხოური „ბრენდის“ მოყვარულთა უპასუხისმგებლო ჯოგები და იავნანა ვუმღეროთ, რამდენ მათგანს მოსცილდება გონებაზე გადაკრული ლიბრი და გაახსნდება, ვინ არის, ვისი შთამომავალი, ვისი ჯილაგიასა და მოდგმისაა, ვინ უნდა გააღმერთოს და ეთაყვანოს, მოკლედ, რამდენი გაიხსენებს და პატიებას სთხოვს თავიანთ წიხლნაკრავ, შეურაცხყოფილ დედას-მეთქი.

ბევრი ვიფიქრე, ავწონ-დავწონე, თვალი გადავავლე საცდელ „კონგლომერატს“..

სამწუხაროდ, გუმანმა, სანუგეშო ვერაფერი მითხრა!..

პასუხი

ვართ გურიაში, მივლინებით, რედაქციის დავალებით, კაი გამართული კაცის ოჯახში – ეტყობა სახლ-კარსაც და სუფრასაც.

მასპინძელი, როგორც მაშინ უყვარდათ თქმა, შრომის მოწინავეც არის და კარგი მჭერმეტყველიც.

ავიღეთ საგაზეთო მასალა – სათქმელი ითქვა, ჩასაწერი ჩავიწერეთ და მშიერ-მწყურვალებს, უპატივცემულოდ ვინ გამოგვიშვებდა.

ვუსხედვართ ნუნუას, წელში გამოყვანილი ჭიქებით.

თამადა მასპინძელია.

რას არ გაიგონებ, რას არ ყვება, მოაყოლებს ტრადიციულ სადღეგრძელოებს, იუმორით შეზავებულ ნაირ-ნაირ ამბებს, ზოგჯერ ისეთსაც გამოურევს, გვერდით სამზადიდან მეუღლე რომ დაანამუსებს, შენ შემოგევლე, შეთვერი, ალბათ, და, სტუმრებთან შეიკავე თავი ცოტაო.

ეს დალოცვილი ქვევრს ხეთქავს და საკვირველია რომ შევმთვრალიყავით? ფეხარეული თუ არ გავუშვით სტუმრები, მომიწონებ ან შენ ან სოფელიო? შენ მანდ მიხედე, რაცხა ყველი აკლია ამ ხაჭაპურს და მე ჩემს საქმეს მოვუვლიო!

იქვე, შორიახლო, წიგნში „თავჩარგული“, დამამთავრებელი კლასის ბიჭი მეცადინეობს.

ვითომ, თორემ წაკითხულიდან რას გაიგებს – ჩვენსკენ აქვს ყურები დაცქვეტილი.

– გადადე, დროებით, ეგ ქიმიის სახელმძღვანელო და მოდი, აქ, ბიჭო, შენ! – დაუძახა მამამ.

– ფიზიკაა, ხვალ ქიმია არ მაქვს! – ყდას, ყოველი შემთხვევისათვის, მაინც დახედა მომეცადინემ.

– მითუმეტეს! – მაგიდას დაჰკრა ხელი მსუბუქად მამამ.

რატომ „მითუმეტეს“, ვერ გავიგეთ, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს.

მოვიდა ბიჭი, მაღალი, გამხდარი, საულვაშე შეღინღლული.

– ხო ხარ, შვილო, ფრიადოსანი... მედლის კანდიდატია! – გვაცნობა ჩვენც და ისევ ბიჭს მიუბრუნდა, – ახლა ერთი პრინციპული საკითხის გარკვევა მინდა და, უნდა შენ რომ გეკადრება, მეც ფრიადზე მიპასუხო!.. მისმენ? დავუშვათ, შენ ხარ ჩემი ბატონი, აგე, ამ ჩვენს მდინარეში ვიხრჩობი...

– პატარაა, თანაც ახლა ისეა დალეული, როგორ დაგახრჩობს, – გაეცინა შვილს.

– დავუშვათ-მეთქი, ვერ გაიგე? ჩვენთან ყველაფრის „დაშვება“ შეიძლება, საბჭოთა კავშირის დაშლის გარდა, დაიხსომე!.. კაი, პალიასტომზე ვიხრჩობი, ის ხო ღრმაა... გახსოვს, მამა-შვილს რა უყო, ამ ტბაში, ეგნატე ნინოშვილმა?.. ჰოდა, ვიხრჩობი, მაყურყუმელავებს მორევი... გინდა მომეშველო, მაგრამ გევიხედოთ და, აგერ, აქეთ, ვიღაც ყაზილარმა არ წამოაქცია დედაშენი?!

– სულ გადაირიე, კაცო! – ელვასავით გამოვარდა ცოლის გაბრაზებული ხმა.

– მაცალე, ქალო!.. გაიგე ბიჭო, რა გითხარი? ასეთი მძიმე არჩევანი გაქვს მისაღები... იქით მამა გეხრჩობა, აქეთ დედას ეექიმაჩება ვიღაც...

ცოლის მორიგ პროტესტს სახეირო არაფერი მოუტანია, თამადა ისევ ძველ ჩვენებას აწვება.

გინდა თუ არა, უნდა მითხრა, იქით მე ვიხრჩობი, დვაბზუში თუ პალიასტომში, აქეთ დედაშენს მისდგომია ვიღაც ყაძახი, ვის საშველად გაიქცევიო, არ ეშვება უხერხულად აწურულ ბიჭს.

თქვი და თქვიო, აიხირა, შენ პასუხზე ბევრი რამეა დამოკიდებული, მე სადაცაა მორევი ჩამყლაპავს, დედაშენი კი ვინცხა, გადარეულს გადოუქცევია და...

ისევ დიასახლისმა „გვიხსნა“ ჩვენც და ბიჭიც.

გამოვიდა სამზარეულოდან, (თან ცომს აგუნდავებს), შვილო, რად იტანჯები, აქეთ ლოთი მამა თუ გეხრჩობა და, იქით მე „მომადგა“ ვინმე, არჩევანით თავი არ დაიტანჯო, ჩემსკენ არც გამოიხედო, ნუ გეშინია, ჯერ არავინ „იმისაგან“ მკვტარი ქალი არ უნახავთ, არც მე გამიგონია... თუ ეგეთი რამე მოხდება, არც დაფიქრდე, მაშინვე მამაშენის საშველად გაიქეციო.

მეველე

ველების ზედამხედველი.

როდინდელია? ხელოვნურად შეკოწიწებული სიტყვა თავისი შინაარსით, ალბათ, უფრო სოცმშენებლობის დასაწყისის პირმშოა, იმ დროის სურნელი დაჰკრავს, როგორც მერგოლურს, მემინდვრეს, მეხილეს, მეჭარხლეს, მეჩაიეს და ასე უსასრულოდ...

მეველე – სადამსჯელო უფლებებით აღჭურვილი, პურის და სიმინდის ყანების, ხილის ბაღების, ჭარხლის, კომბოსტოს, სტაფილოს, ხახვის ნათესების ზედამხედველი.

თუ ვინმეს ხელი წაუცდებოდა, მინდვრის თავიდან ხელმოჩრდილებული, ხან ფეხით მოსიარულე, ხანაც ჯაგლაგ ცხენზე ამხედრებული, იქიდანვე დასჭყივლებდა, ძალას დაატანდა ხმის იოგებს და დაბერილ ყელის ძარღვებს.

ჩია, კაფანდარა, მაგრამ ხელისუფლების თანადგომით გულმომაგრებული, მხარზე გადაკიდულ ცალლულიანსაც დააგრუხუნებდა, ყანაში გადასულ უპატრონო საქონელს დაირეკავდა და კანტორას მიაყენებდა.

კანონი გვინდა, მივესალმებით, თუ მისი გამრუდებისათვის სხვები ისჯებიან, ჩვენ – არა.

ჩვენ? ჩვენ უპატიებელიც უნდა გვეპატიოს!

ამიტომ, იყო ხოლმე შეხლა-შემოხლა, გინება, გაწევ-გამოწევა, ბევრი კინკრიხოც გატეხილა და მუშტით თვალებიც ჩაშავებულა, მეველესიც და იმათიც, ნაქურდალს შინისკენ რომ მიაძუგძუგებდნენ და წაასწრებდნენ, თაგვივით ხაფანგში გააბამდნენ.

მეველეობის ინსტიტუტმაც, როგორც ბევრმა სხვა რამემ, ხუთწლედების ქვეყანასთან ერთად, ჩაილურის წყალი დალია.

თუმცა, სამეველეო რაღაა, ზარმაცი კაცებივით ყრია, გზის აქეთ და იქით, გაუმაქნისებული მინდვრები, ნაკვეთები, ნავენახარები, ნაკალოვარები, ნაფუძრები, ურწყავები...

ავი იყო თუ კარგი, უზანგებზე აწეული, ხელმოჩრდილებული მეველე, მაინც პატრონის თვალს განასახიერებდა და ეს თვალიც დაიშრიტა, როგორც კი იმ ზემოთ ჩამოთვლილი, „მე“-თი დაწყებული პროფესიის ადამიანების ნაჯაფარი, ქართლის ველ-მინდვრების ბარაქა გაქრა.

აღარც გაზეთში, აღარც წიგნში, აღარც სალაპარაკო ლექსიკონში – ეს შერქმეული სახელ-სიტყვაც იმათთან ერთად დაიკარგა, უსახელოდ გადაშენდა, ცხენის თოხარიკით და ხმამაღალი მუქარით, ქურდ-ბაცაცებთან ერთად ყანებში ჩაბუდებულ თუ გადამფრენ ფრინველებსაც რომ აფრთხობდნენ ხოლმე.

რას ერჩოდნენ, უთენია აგნიასებული მეველეები, უწყინარი, დილის დადგომის მახარობელი ტოროლები მაინც რას უშავებდნენ, არ ებრალებოდათ?

ზოგი ახლაც დააფრთხონ!

ფურცელი

საწერი მაგიდის უჯრაში გადაკეცილ ფურცელს გადავაწყდი:

„მომბეზრდა სიცოცხლე,
სიცოცხლეს მოვბეზრდი.“

მხოლოდ ორი სტრიქონი, არც დღე, არც წელიწადი – უთარიღო ორი სტრიქონი, მხოლოდ ორი, როგორც ობლები, უპატრონოები დათოვლილ მინდორში – თეთრი ფურცლის შუაგულში მიტოვებულები... იქნებ სიცივით აბუზული, ერთმანეთს მიხუტებული ხბორებივით ან მკლავიდან გადაცურებული შეშის ორი ნაპობივით... როგორც გინდა, ეგრე იფიქრე...

როდის და რამ მაიძულა მათი ამოთქმა?

სერიოზულად მივიღო თუ წამიერ სისუსტედ ჩავთვალო, ჩემი მაშინდელი განწყობა!

რა საერთო აქვთ, მაგრამ მაინც მახსენდება:

„დაემხო ჩემი სამშობლო,
საფლავს ჩავდივარ სიმწარით“ –

ხედავ, მაინც სად გიყელა, დიდებითა და ჯინჯილებით დამშვენებულო, დაუმარცხებელო პოეტო და გენერალო, გაუხარელი სამშობლოს დარდმა და სიყვარულმა? სამშობლოს უბედობით გული მანამდეც დათუთქვიათ, მაგრამ შენი ამოკვნესა მაინც სხვაა, გამაოგნებელი, ზესკნელისა და ქვესკნელის შემძვრელი გოდებაა, რომელმაც უხსოვარ დროიდან მოყოლებული, ყველა საფლავში „სიმწრით“ ჩასულის მკერდი გააპო.

ერთმანეთით „მობეზრების“ მიზეზი ჩემს ორსტრიქონიან თეთრ ფურცელზე არ იკითხება!

არ დაიწერა და იმიტომ, მაგრამ ხომ იგრძნობა, დამწვრის სუნი საიდანაც მოდის?

იქნებ ეს საწყალი ორი სტრიქონიც საქვეყნო დიდი იმედგაცრუების სიმწარემ შობა?

საკვირველია, ფურცელს რაღა ახლა გადავაწყდი – დღეს ჩემი დაბადების დღეა (დაფიქრებაც არ მინდა უკვე რამდენის გავხდი!)!

დაბადების დღეები – ახლა უკვე ზღვისპირას ნაგროვები, ძაფზე ასხმული ნიჟარები, ბავშვის გასართობად, აკვნის ხარიხაზე დაკიდული საჩხაკუნო, თავი რომ შეიქციოს, ვიდრე გადაარწევენ ან ძუძუს ჩაუდებენ.

„საჩხაკუნოს“ ყოველ წელს თითო ნიჟარა ემატება.

ერთხელაც იქნება და ძაფი საბოლოოდ გაინასკვება.

აღარც გადამრწევი ფეხი...

აღარც ღალიანი ძუძუ...

მხოლოდ სულს ამოდევნებული სამდურავი – „საფლავს ჩავდივარ სიმწარით!..“

ბოლო წლებია, მე და ჩემი დაბადების დღე, ერთმანეთს სიხარულით და დაფდაფებით აღარ ვხვდებით, ჩვენ შორის უნდობლობის ბურუსი ჩადგა – ახლაც ისე მინდა ჩამთავრდეს, ვითომც არაფერი მომხდარა – კალენდრის ერთი რიგითი ფურცელი ჩამოვარდა! ხუთ ოქტომბერს მინდა უხმაუროდ გავეპარო, როგორც ღამის სიჩუმეში ფეხაკრეფილი მგზავრი მოსახვევში ჩასაფრებულ, გაავებულ ნაგაზს...

ფურცელს ისევ თავის სამალავში ღრმად შევუძახე – მინდა ქვეყნისთვისაც და ჩემთვისაც ერთხელაც ისეთი დღე დადგეს, როდესაც ხელახლა მოვძებნი და ნაკუწებად ვაქცევ!

ანდა მთლიან ფურცელს რას ვერჩი?

ფურცლის შუაგულში მელოდება ჩემი მაშინდელი განწყობილების ორ სტრიქონიანი, დახურული სარკოფაგი, ბარით ხელში როდის მივადგები!..



ფიქრია
ყუშიტაშვილი

შორს არსად მივალ, არ შეშინდე, არ დამიღონდე,
უბრალოდ, მივალ საძებნელად საკუთარ თავის,
და როს ვიპოვი, დავბრუნდები, გაფერადებულს,
ვერას დამაკლებს განსაცდელთა მტანჯველი ნამი...
მომიგონებდე სიკეთით და მსუბუქ ღიმილით,
ზეცამ დამსეტყვა, სულის სარკეს ბზარი აჩნია...
მე გულნრფელობას გინილადებ – პურის ნამცეცად,
იმ სამებიდან, რაც ძვირფასი რამ გამაჩნია...

ფიქრია ყუშიტაშვილი

ხალხურ კილო-კავზე ნათქვამი

იყო დრო, როცა ვხედავდი
მას, რაც უჩინარად ვსახავდი,
ფიქრშიაც ვერა ვბედავდი,
ნატვრას უჩინოს ნახვისა,
რას ვიფიქრებდი, ვნახავდი,
როგორ ადიან სევდამდი,
როგორა სთმობენ სურვილთა
გულის სანუკვართ ზრახვისა...
ძნელია წუთისოფელი,
არ იცი იმის ფიქრები,
სად გველის ბოლო სადგური
კაცად სულთქმის და ყოფისა,
ვიტყვი: ერთხელაც მოველ და
განა მარადის ვიქნები?! –
ეგაა ფილოსოფია
ხალხური კილო-სტროფისა...

. . .
ძნელია, იყო სასურველი, თანაც მართალი,
თვალს უსწორებდე მუხთალ ბედის
უკუღმართობას,
მე ამ ბრძოლაში ერთხელ უკვე გარდავიცვალე
და ხელმეორედ დავიბადე, როცა გათოვდა...

რა ბედენაა, წუთისოფელს ცალად სტუმრობდე
და ვერ ამოხსნა გამოცანა საწუთროს წესის,
ბედი-მდევარი დაუნდობლად, ავად ხუმრობდეს,
სანამდის კარი გარდიხსნება შენს წინ ჰადესის...

ტანჯვით მარცვლიდე კრიალოსანს სურვილებისას
და მოლოდინით დღე-ცისმარეს ესალმებოდე,
რომ დიადემით შემოდგომის ყვავილებისა
ჯვრისწერისათვის საქორწინოდ ემზადებოდე.

მძიმე ჯვარია, ერთგულებდე ყოველ ალიონს,
ეგებებოდე შაშვის მღერით, პირზე ღიმილით,
და მთვარის დისკოს – მოელვარე ცის მედალიონს –
კენკავდეს ჭრელი მამლაყინწა უღვთო ყივილით.

ძნელია იყო სოფლად მგზავრი მარადისობის
და დერვიშივით გზას სერავდე უდაბნოეთის,
მუხთალ დროების პოეზია, საჭურისობის,
იქცეს მიზეზად წუთისოფლის მიეთ-მოეთის.

დასანანია, გახარჯული სალარო ფუჭად,
სიტყვის, ტყვედყოფილ გრძნობისა და აზრის
ჭურჭელი,
დაცარიელდა, უსიერ ტყის ტანმაღალ ფიჭვებს
იარებს უჩენს უიმედო ეჭვის სამსჭვალი.

ხელისცეცებით გზას მივიკვლევ ვიწრო ბილიკით,
და მიმაცილებს პროცესია მიკიოტების,
ნისკარტს იწმინდავს არამკითხე ჭორით, ქილიკით,
არ ვენაღვლები, რომ მაწვალებს სევდის სონეტი.

და მაინც ვიცი, მზე ამოვა – მეტოქე ცისკრის
და გაახუნებს ელვარებით ხომლის ნაკვალევს –
მატარებელი მოსახვევში ქარივით მიჰქრის,
ღია სარკმლიდან მომზირალებს, ვაცილებ
თვალებს...

ეს განშორება არნახულად მიმძიმს და ვნანობ,
რომ არ ვთქვი, ის რაც უნდა მეთქვა შენთვის
აქამდე...
უარს ნუ მეტყვი, როცა გთხოვ, რომ არ დაახანო
და მიმაცილო, დრო რომ მოვა, ზეცის კარამდე...

ფილოსოფია

სანამ ამოვა მზე და მიხმობს ახალი დილა,
სანამდის ყივის მამლაყინწა სოფლის ბოლოზე
„თავწასაგდები!.. ვერ გიშველის მარხვა ადვილად –
ჯალაბს ჩიხირთმა ენატრება, ვიცი, სადილად,
ჰოდა, ბოდიში! – ვერ აგყვები აწი სოლოზე!“ –

ფიქრია
ყუშიტაშვილი

ბუტბუტებს ქალი, ქვაბს შემოდგამს ცეცხლებს შეუნთებს –
(რა ყისმათია ამა სოფლად მამლად ცხოვრება?!)
სტუმარი მოვა დაღლილი და დასანაყრებლად
მამალს ურთხმელი ელოდება თავს წასაგდებლად,
სტუმარს – შქმერულის კეცზე მდნარი სიამოვნება...

უბრალო არი წუთისოფლის ფილოსოფია
ისევე როგორც სოფლის ბოლოს მამლის ყივილი,
დის ქარავანი, ძაღლი ყეფს და არის ამაო,
მგლის თავზე მღერით სახარებას ფურცლავს მამაო
და არვის ესმის გალობაში მუნკის „კივილი“.

.....
და მაინც მოვა ზამთრის პირის თეთრი ზღაპარი,
გაასპეტაკებს სუდარები თოვლისფერ დილებს,
გაიკვირტება ფერდამზრალი სული – ტრამალი
და ჭრელ წინდისფრად შებუმბლული ცელქი მამალი –
„მაინც ბრუნავსო!“ – ვით ჯორდანო კვლავაც იკივლებს.

უსათაურო

სულ ცოტა მრჩება, სანამ გავა მატარებელი
თქვენს ცხოვრებაში ჩამანაცვლებს სიცარიელე,
მოვენატრები ალბათ ყველას, უფრო ახლობლებს
და უფრო მეტად ამწვანებულ გვიმრებს, იელებს...
იტყვიან ჩემზე, უცნაური ჰქონდა სიცილი,
ლექსი უყვარდა, ზოგჯერ წერდა, როცა ეცალა –
თავს ახსენებდა გამუდმებით გულის ტკივილი,
არად მიაჩნდა და ცდილობდა, ფერი ეცვალა...
ქმნიდა ქიმერას და უშვებდა ცაში ფრანივით,
წერდა ბარათებს – არ ელოდა პასუხს არადროს
და იშვიათად ოცნებობდა იმგვარ დღეებზე,
როცა ამინდი სულს ახარებს ოდენ საავდრო...
სულ ცოტა დარჩა, სანამ წავალ, სადაც მელიან,
იქ ბავშვობაა, უდარდელი ზრუნვის კუნძული,
ხასხასა მოლზე მოფარფატე პეპლის პალიტრა
და სამკაული სისხლისფერი ბლების კუნწულით...
განვეშორები თქვენს სამოთხეს – რუტინის კომფორტს,
და ჩემს ჯოჯოხეთს ვამჯობინებ სიმარტოვეში
და არ ვინანებ, რომ მეასედ გავტეხე ფიცი,
როს ლექსის წერის მავნე ჩვევას კვლავ ვერ მოვეშვი...
წავალ უბრალოდ, ძველ ცხოვრებას ვეტყვი „ადიოს!“
უწინდელ ფიქრებს ღრმად ჩავმარხავ – იპოვის ვიღაც,
ჟამთა დინების კალენდარზე მოვნიშნავ უქმეს,
შენს დღეს დავარქმევ, რომ გეცალოს აქაც და იქაც...
შორს არსად მივალ, არ შეშინდე, არ დამიღონდე,
უბრალოდ, მივალ საძებნელად საკუთარ თავის,
და როს ვიპოვი, დავბრუნდები, გაფერადებულს,
ვერას დამაკლებს განსაცდელთა მტანჯველი წამი...
მომიგონებდე სიკეთით და მსუბუქ ღიმილით,
ზეცამ დამსეტყვა, სულის სარკეს ბზარი აჩნია...
მე გულწრფელობას გიწილადებ – პურის ნამცეცად,
იმ სამებიდან, რაც ძვირფასი რამ გამაჩნია...

შალვა საბაშვილი

ძველი ლოდები ამბებს ჰყვებიან,
ძველი მადინა დღევანდლამდე გასძახის თბილისს,
სვეტიცხოველში გარდასული ათასწლეულია
შეპყრობილი და გამოკვეთილი,
აღმოსავლეთი! საუკუნეს კვლავ მოჰყვებიან
თამარის დროის ქარები თბილი.

შალვა საბაშვილი

შალვა საბაშვილი – 80

80 წლისა გახდა თვალსაჩინო ქართველი პოეტი შალვა საბაშვილი. ორიგინალური, გამორჩეული ხელწერის მქონე მისი პოეზია ღრმა და ფილოსოფიურია. იგი პოეზიაში არაერთი სიახლის ავტორია და ჩინებულად იყენებს ქართული ენის შესაძლებლობებს.

ბატონო შალვა, ჟურნალი „ოლე“, თელავსა და კახეთში მოღვაწე მწერლები გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს, გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და დიდ შემოქმედებით წარმატებებს.

სალიტერატურო ჟურნალ „ოლეს“ რედაქცია

ოკეანე

რად ხმაურობენ, ოკეანევ, შენი ზვირთები,
რატომ მოგდევენ ქარიშხლები ყოველთვის მხლებლად?
სივრცეთა ჩუმი კაეშანით რად იტვირთები,
ან რას ეძიებ შენი სულის დასამშვიდებლად?
და მაგ გულგრილი წრეებიდან გზას როცა იგნებ,
ჩვენს მოულოდნელ თანაგრძნობას მოელი იქნებ?

ო, რამდენ წუხილს და გოდებას ახშობ და მალავ,
უწყალოდ ამსხვრევ რამდენ ფიქრებს წყნარი დარების!
იქნებ სუსტიც ხარ, და ახსოვხარ თუმცა უთვალავ
ვინმეს სახებად უსასრულო გამძვინვარების,
იქნებ, დასჯილი ბედისაგან მწარედ და მწვავედ,
შესჩივი ხოლმე ღამით მრავალ თანავარსკვლავედს?

რად მღელვარებენ, ოკეანევ, ზვირთები შენი,
შენს პირველ ფიქრთა ამოცნობა ვინ დააპიროს?
სად იჩქარიან ეგ ტალღები? წყალნი მლაშენი
რატომ ლოკავენ ასე ხარბად ვრცელს სანაპიროს?
ან იქნებ არის ყოველივე, შენთან ნახული,
მხოლოდ ცხოვრება, წყლის ტილოზე გარდასახული?

იქნება შენი სისასტიკე მხოლოდ ბედია,
იქნებ სიდიდე წამებაა და ტრაგედია,
და როცა წერო, გონმიხდილი, ტალღებში კვდება,
შენ სინანულით იქნებ ბევრი გაკლდება წელი,
მაგრამ შენ გმოსავს ცივ და პირქუშ ფერების წყება
და შენს სიმართლეს არავინ ჰყავს დამჯერებელი.

ო, შეურიგდი შენს სასტიკ ხვედრს! უსასოობა
შეშვენის ხოლმე ზოგჯერ ტიტანს; ესაა ბედი.
შენი გვირგვინი – დუმილია და მარტოობა,
ქარიშხალი კი – მდუმარების შარავანდედი.
მე ძლიერ მიყვარს შენი სახე, მკაცრად ნაფერი,
და შენი ბორგვა, რომელშიაც ჩანს ყველაფერი.

აღმოსავლეთი

აღმოსავლეთი!
არ მოსავს მეტი
საოცრება არც ერთ სხვა მხარეს;
სად არის ბედი?
მარტოდენ წელთა გახსენებაც გაგაჭაღარებს!
აქ ვუსმენ სხვა ხმებს, ვუმზერ სხვა ფერებს
და გაფიქრებაც თვალებს აბერებს.
სად არის ბედი?

აღმოსავლეთი!
საუკუნენი იკეცება პერგამენტივით,
არ მინდა მეტი,
თუმცა ვერასდროს ვერაფერში ვერ დავეტევი,
დუმს ვარსკვლავეთი,
გაჰკივის თურქი და გადამქრალ წარსულს
შესტირის.

აღმოსავლეთი! იქ პირამიდამ
უკვდავებაში შემოქმედებს გადაამეტა,
აღმოსავლეთი – გაზღაპრება გრძნეულ ღამეთა,
ახლაც უბარებს
ვაშას სუბარებს,
წლებს როცა მარცვლავს უნებლიეთ და მიამიტად.

ვიღაცა მღერის, დრო ცოცხლდება ამ სიმღერიდან,
პაპირუსები ტოვებენ ბნელეთს,
დუმილს ვერ იტანს –
სადღაც მუმია გაბეზრებით გაიქნევს ხელებს,
მაგრამ განგებას ვინ აერიდა –
ვერ მიატოვებს ის ვერასდროს ეგვიპტის ველებს.

აღმოსავლეთი! შერჩენია სევდა ბაბილონს,
კიდულ ბაღებში არ არის ხილი,
ვინ დააპიროს
წარსულ დიდებას ამოაძროს დროთა მახვილი?
უცებ მოსწყდება მტკვრის სანაპიროს
და შორს, ურარტუს შეასკდება უცხო ძახილი.

სადღაც დარცხვენით ეღვიძება ახლა დარიოსს;
სად არის ბედი?
ან ბედს რად უყვარს განუსჯელად ხელი დარიოს
ყველა მბრძანებელს? ან სად გაჰქრა დიდება
ხეთის? –
დაუსრულებლად უკვირს დარიოსს.

წელში მოხრილა ოქრო-ვერცხლით ქალაქი მექა,
მოდიან გზები!
რამდენმა ცეცხლმა გადაიჭექა
მრისხანე გზნებით!
აღარსად ჩანან ქარავნები, დრო წაილეკა, –
მოდიან გზები!

ძველი ლოდები ამბებს ჰყვებიან,
ძველი მადინა დღევანდლამდე გასძახის თბილისს,
სვეტიცხოველში გარდასული ათასწლეულია
შეპყრობილი და გამოკვეთილი,
აღმოსავლეთი! საუკუნეს კვლავ მოჰყვებიან
თამარის დროის ქარები თბილი.

მოდიან წლები!
აღმოსავლეთი დგას – კერია დიდი გონების,
დღეს ვეღარ ძლებენ
და ცოცხლდებიან ფარაონები,
აღმოსავლეთში ბევრია ძვლები
მომსწრე იმ წვისა და შთაგონების.

დიდი კოლხიდა ისევ ელის ტურფა მედეას,
ელის და შფოთავს ისევ იმგვარად,
ო, ეს ჩვენება უფრო მეტია,
ვიდრე სიზმარი, გადაკარგულ წლებს რომ მიმგვარა,
ოქროს საწმისში მთელი ოქრო არ ჩაეტია
და ხალხის გულში გადაიღვარა.

მღერის ანკარა
და ისმის სევდა, სამუდამოდ განუკურნელი,
აღმოსავლეთში იყო ამგვარად
დიადი ბრძოლა სინათლისა და უკუნეთის,
ყალყზე დამდგარან
გარდასული საუკუნენი.

უცხო სიზმარი ესიზმრება შუამდინარეთს,
ესიზმრება და ამბობს არაფერს,
ძველ ევრიას ახრჩობს ცრემლი დაუდინარი,
სუნთქვაშეკრული ელის არაბებს...
მაინც მოსდევდა მზე შუქმფინარი
დიდ ხელოვნების სუნთქვისათვის გახსნილ დარაბებს.

და იქმნებოდა, რადგან ღმერთიდან
დაძრული სიტყვა მოითხოვდა სიბრძნის მატებას,
ხალხი იგლეჯდა გულებს მკერდიდან,
წვავდა, ფერფლავდა და აქცევდა დიდოსტატებად,
იყო რუსთველი, ფირდოუსი თუ სხვა ათასი, –
მილიარდობით ღამის გათევა.

მოდიან გზები! –
ზედმეტია ენამჭევრობა,
დგას დიდი გზნებით
და განცვიფრებით აღიარებს დიდი ევროპა,
რომ მარად იყო აღმოსავლეთი
ხელოვნებათა კოცონის წინ ღამისმთევლობა!..

ვულკანი

ეს ასე ხდება:
იფრქვევა ვულკანი,
დგანდგარებს მთა,
ლავა გასტეხავს მიწას
და ცეცხლის ტალღებს შეახეთქებს გარესამყაროს.
ლოდები ანგრევენ დაღმართებს
და სივრცეს აწვიმს მხურვალე ფერფლი;
მერე ნელა წყნარდება მთა,
იცლება ვულკანი,
მოეშვება დაჭიმული ბაგირები,
შეწყდება ჟრჟოლა და წყვეტება,
ცარიელდება მხურვალე მკერდი,
სუსტდება ბობოქარი ხმები,

და ისვენებს დაღლილი მთა,
და იძინებს დაცლილი ვულკანი.

მერე ისევ იღვიძებს მთა,
მასში კვლავ გროვდება ენერგია,
ჯერ ცოტა, მერე სულ უფრო მეტი,
თანდათან ემატება მოუსვენრობა,
წუხს და არ იცის რად,
სურს და არ იცის რა,
მას ჯერ არ შეუძლია აეშვას,
მას ჯერ არ შეუძლია იგრგვინოს,
მაგრამ ის უკვე აღარაა ცივი,
ის აღარ არის დაცლილი ვულკანი,
ის ბორგავს,
ის ემზადება ახალი ამოხეთქვისთვის!

გული

ის არის წყარო – სისხლისფერი ჭეშმარიტება,
ღრმა, როგორც დიდი საიდუმლო სამყაროული,
ის ლამაზია, ვით შრიალი ღამე მითების
ან უეცარი ჩაფიქრება უცნობ წყაროსთან.
ის არის ნაზი, მეწამული შუქის ზმანება,
და უთვალავი გაფიქრების ერთად მოსწრება,
არის სიცოცხლე, არის ძალა, არის ოცნება
და არსებობა რაღაც დღემდე გაუმხელელის.
ის სიჩუმეა და ყველაფერს იტევს თავისში,
თან ხმაურია, და ხმაური ოკეანური,
ის არის სევდა, უდიდესი და უმწვავესი
და სიხარული რაღაც დიდის, დაუსრულებლის.
თვით – ყოველივეს დახსომება და დავიწყება,
ტკივილი ბევრი, უთვალავი, აღურიცხავი,
ის არის დიდი შთაგონება დიდი სიცოცხლის,
დაუმარცხები, დაუტეევი, დაუვიწყარი.

მუსიკა

ბგერებს სული მისდით,
ცისკრებს მიებნია,
რასაც სივრცე მისტირს...
ირგვლივ მძივებია...
კვლავ ავუხალისდი
ჰაერს იებიანს:
რომ გაისმის, ლისტის
რაფსოდიებია...

ო, მუსიკა წლებით
დაჰქრის ალერსებად,
მრავალწერტილებით
სული ამევსება,
და აკორდნი ქარით
ირგვლივ მოანთებენ
სრული სიანკარის
სპეტაკ მოლანდებებს.

მწამს, ფიქრებით ჩემით
თუკი ავიწყვები,
მარად მივეცემი
ქარს თავდავიწყებით,
რადგან ტალღათ სრული,
უთვალავი წყებით
კვლავ აღდგება სული
გადანავიწყები.

რა ნატიფი ხმები
არეს მოჰფენია:
ეს ხომ ბახი არის!
ეს ხომ შოპენია!
ხმები წარმტაც გრძნებით.,
ანაზვირთებ ნებით,
სივრცის გვირგვინებით
შემამკობენია!

ვხედავ მწვანე მოლებს
და ნაზ წრეებს ცაში,
ნეტავ რა გამოლევს
ამ ხმებს ბუნებაში!
ასგზის ანათრთოლი
სულს რომ სიზმრებს სტაცებს
და გზად ჩანაქროლი
თან რომ გაგვიტაცებს!

ჩქერებს სული მისდით.
ლაჟვარდს მიებნია
რასაც სივრცე მისტირს.
ირგვლივ მძივებია.
კვლავ ავუხალისდი
ჰაერს იებიანს:
რომ გაისმის, ლისტის
რაფსოდიებია...

ტაშისკართან

სულის მოსახიბლად
ეს გზა ნახე მარტო!
მარჯვნივ მდელო არის,
მარცხნივ გორებია,
ზეცის დასავალზე
ფერთა ნახევარტონს
მიწა ღრუბლებისგან
დაუშორებია.

მთები მიმოყრილი,
ჯანღი და ხეობა,
სივრცე – ღრუბლიანი
ცით შენაციები,
ზვიად მოძრაობის
ყველა სახეობა,
ირგვლივ გიგანტური
დეკორაციები.

შალვა საბაშვილი

მარად თავმომწონე
ჰყავდა ბინადარი.
განა ეს მიდამო
მახვილს ჩაიგებდა?
გაკრთა ტაშისკარი,
ქვიშხეთს მივატანეთ,
ხილვა, ჰორიზონტი
სწრაფად ჩაიკეტა.

გრძნობა მწვერვალამდე
უნდა აღემართოს,
აქ ტყით შემოსილი
სხვა მთა-გორებია,
სადღაც, დასავალზე,
ფერთა ნახევარტონს
ზეცა ღრუბელთაგან
დაუშორებია.

გამოიშველ ხმებში

არსებავ ჩემო, შენ დაიღალე,
მაინც უთვალავ ქარს კვლავ ედები,
მიიზიდავენ შენს უნდო მზერას
მიმობნეული ვარსკვლავედები.

სინამდვილეთა ჯაჭვს თვალგაუწვდენს
ერთ მცირე რგოლად გადაები რა,
აჰა – არსებობ, მაგრამ ეგ სული
დღემდე ვერავინ გადაიბირა,

ცოცხლობ – ეს ნიშნავს: ყველაფერს ქვეყნად
შორს რამდენიმე ფიცარი ელის,
შემოვლებია ჰორიზონტს ელვა
თვალჩაუწვდენელ სიცარიელის.

შენ შეიცანი, თუმცა დღეებმა
დიდხანს ყველაფრის ჰფარა რაობა.,
„ფიქრი“, „ქმედება“ – ამ სიტყვებს გახსნის
ერთი სახელი – არარაობა!

როგორც დამფრთხალი ტალღა, მოსცურავს
წარსული – წელი ხუთიათასი,
ერთ გალაქტიკას ვერ ამოსწურავს
აზრი, ყველაზე უდიადესი,

სამაგიეროდ – რამდენი შური,
რამდენი ბრძოლა, გესლი რამდენი!
ყველგანმღწეველი ათასი მზერა,
სულისმწამლავი, ცრემლისდამდენი;

მუსრს ვავლებთ ყველა ცოცხალ არსებას,
გვირგვინით ვმოსავთ შუბლებს უმეცართ,
არის თანაბრად მრავლისმომთხოვნი
ჩვენი ხმაურიც და სიჩუმეცა!

მოსხიპე სიტყვა! ურჩევნის ყველას
აზრი – ნაღეჭი და ნალუკმარი,
მოსხიპე სიტყვა! აქ დედამიწის
მთელი ქაღალდი არის უკმარი!

არსებავ ჩემო, შენ, გადაღლილი,
მაინც უთვალავ ქარს კვლავ ედები,
რას გაგიგებენ, ან რას გეტყვიან
შორს მოციალე ვარსკვლავედები?

არ არის ქვეყნად რაიმე ძალა,
მძლევი საზიზღარ ხმის – გამთიშველის,
შენ ოკეანის ფსკერზე ჩახვედი
და აწ ვერარა ვეღარ გიშველის.

მოსულა ეშმაკეული

სულ სხვა აურა მეფობს გარს,
სევდა ღრმა ფსკერსაც კი აღშლის,
წავიდა მთელი ეპოქა —
შთაინთქა ჟამის წიაღში.

დღეს სხვა კრთის გადასახედი,
სხვაგვარი ისმის ნაღარაც,
თუმც ჩანან იგივ სახენი –
მათ ის მშვენება აღარ აქვთ.

სხვა ძალას აუტაცია
ფერშეცვლილ ჟამთა რიალი,
შენ საზაფხულოდ გაცვია,
ირგვლივ კი ზამთარი არი.

არც ბაღი არ აგიყვავდა,
არც მთვარის ელავს ნამლევი,
იმ ქუჩებს, შენ რომ გიყვარდა,
აღარ შემორჩათ გამვლელი.

თითქოს წიგნია მარტოდენ,
ხოლო შენ – მისი მფურცვლელი,
აწმყოს, რომ უნდა გატკბობდეს,
შენ წარსულიდან უცქერი.

უცხო ცა დღეებს ქარიანს
ბოროტად გააგრძნეულებს,
აბა რა გასახარია –
არსი დასცილდათ სხეულებს.

ღრმა ყინვით განათოშები
ცეცხლს რითი აბრიალებდეს?
გზისპირას ყრია დროშები,
დიდხანს რომ აფრიალებდნენ.

არც ბნელში – სხივი ეული,
არც ცასთან გასაუბრება...
მოსულა ეშმაკეული
ყველაფრის დასაუფლებლად.

 პროზა

ლანა მანველი

გაკვეთილი ორმოცდახუთ წუთში დასრულდა. მოჟრიალე ძველი ხის კიბე ტვირთმოხსნილივით ჩამოირბინა და გაზაფხულით გახალისებულ ადამიანებს მალულად შეავლო თვალი. მას ახლა არაფრის დიდებით არ უნდოდა სახლში წასვლა. უკვე რამდენი ხანი გავიდა, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ შეეჩვია ახალ უბანს. ნაურისფერსა და უხალისოს. მიდიოდა და შიშს, ღელვას და სიამოვნებას ერთდროულად განიცდიდა. ყოველი მისი გადადგმული ნაბიჯი ნიშნის მოგებას ჰგავდა. დიახ, ის დღეს ისევ ძველ უბანს უნდა სტუმრებოდა. ქურდივით ჩუმად აეპარებინა მზერა ყოფილი სახლის აივნისკენ და ბრაზით გადაეყლაპა გულზე დამდგარი მონატრების ცრემლები...

ლანა მანველი

Il est où le bonheur

სად არის ბედნიერება

(რომანი)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ოლე“ №4, 5, 2021 წელი

კოლმარი

იმ დღეს ელიასმა დიდხანს იხეტიალა კოლმარში. ბოლოს, „პატარა ვენეციად“ წოდებულ რაიონს შემორჩა. ქალაქის ეს ძველი ნაწილი ძალიან უყვარდა. არხის პირას ჩამოჯდა და სახე გაზაფხულის მზის თბილ სხივებს მიუშვირა. მდინარეში უამრავი თევზი ირეოდა. ელიასი დროგამოშვებით მათკენ პურის ნატეხებს ისროდა. ისინიც სწრაფად იჭერდნენ და უმალ შორდებოდნენ ნაპირს. ბოლოს, ჯდომით რომ დაიღალა, წამოდგა, კალთა ჩამოიბერტყა და კოჭლობით ჩაუარა ელზასური სახლების ფერად ფასადებს, სუვენირებით თუ ტკბილეულობით გავსებულ პატარ-პატარა მაღაზიების კოპწია ვიტრინებს. რესტორნებიდან ქუჩაში მადის აღმძვრელი სურნელი იფრქვეოდა და ადგილობრივებს თუ ტურისტებს, შიგნით შესასვლელად ეპატიჟებოდა. მიდიოდა და ჩუმად აკვირდებოდა გამვლელებს.

მეორადი წიგნების დახლთან მოხუცი წყვილი შენიშნა. შეჩერდა. ქალს ხელში გაცრეცილი თხელი წიგნი ეჭირა და აღტაცებით ფურცლავდა. კაცი კი ცოლს უყურებდა ღიმილით. მიუახლოვდა. წიგნს ფერადი ასოებით: „Le petite chaperon ruge“* ეწერა. მასაც გაეღიმა, – ალბათ, შვილიშვილისთვის უნდათო! – გაიფიქრა და ისევ ის სტრასბურგელი გოგონა გაახსენდა, ოთხი წლის წინ აივნიდან ბაჭია რომ გადმოაგდო. თვითონაც არ იცოდა რატომ, მაგრამ ხშირად ეფიქრებოდა მასზე. განსაკუთრებით ხატვის დროს, მაშინ როდესაც თავისი სულის ლაბირინთებში იწყებდა იდუმალ მოგზაურობას. მას შემდეგ, რამდენჯერ ესტუმრა დეიდას, მაგრამ გოგონასთვის თვალი აღარ მოუკრავს...

ფიქრებში ჩაძირულმა განაგრძო სახლისკენ მიმავალი გზა. კარი თავისი გასაღებით გააღო. შემოსასვლელში შუქი დაეტოვებინათ, სააბაზანოშიც. ლეა შაბათის სუფრას შლიდა და „ლეჰა დოდის“ ღიღინებდა. ელიასმა ხელ-პირი დაიბანა. ტანსაცმელი გამოიცვალა. დედის მიერ გამზადებული სურნელოვანი წყალი ჯერ ხელებზე დაისხა, შემდეგ კი თმაზე გადაისვა.

ამრიგად, შაბათის კურთხევისა და სადღესასწაულო ვახშმისთვის უკვე მზად იყო.

ისააკს უკვე აენთო სანთლები და სუფრის თავში მშვიდად იჯდა. ოთახში ახლადგამომცხვარი პურის სუნი ტრიალებდა...

მადამ გოიერთან

მელანიმ, სკოლიდან დაბრუნებისთანავე, სწრაფად დაავლო ხელი ნოტებს, ყველიან ბრეცელს და ულიფტო სახლის კიბეები ერთი ამოსუნთქვით ჩაირბინა. გზაჯვარედინზე შუქნიშანთან შეჩერდა და ბრეცელი მოკბიჩა. როგორც კი ფეხით მოსიარულეთათვის განკუთვნილი მწვანე ფერი აინთო, ახლად ამობიბინებული ბალახით მოკოპწიავებული პატარა სკვერი სირბილით გადაჭრა და გაჩერებისკენ გაიქცა. მისვლა ძლივს მოასწრო, რომ ავტობუსიც მოვიდა. საზოგადოებრივ ტრანსპორტში დაჯდომა არ უყვარდა. დარწმუნებული არ იყო სკამების სისუფთავეში და იმიტომ. ხელის მოსაკიდებელ

* წითელქუდა (თარგმ. ფრანგულიდან).

ლანა მანველი

მილს ზურგით მიეყრდნო და წონასწორობის შესანარჩუნებლად ფეხები გან-განზე დადგა. მგზავრებს არ უყურებდა, თუმცა ყველას განწყობას გრძნობდა და ღრუბელივით ისრუტავდა მათ დადებით თუ უარყოფით აურას.

...მადამ გოიერს ის-ის იყო რიგითი მოსწავლე გაეშვა და დაღლილი სახით, ოთახის შუაგულში, ვარდის წყლით თითებს დიდი რუდუნებით ისუფთავებდა. ოთხად გაკეცილი მარლის ნაჭერი ბოლოს კლავიატურასაც გადაუსვა და ამოიოხრა. იქვე კართან, მოყანყალებულ სკამზე სანახევროდ ჩამომჯდარი მელანი, დიდი მოთმინებით ელოდა გაკვეთილის დაწყებას. მასწავლებელმა, როგორც იქნა იხმო ინსტრუმენტთან. პიანინოს თავზე მორიდებით დადო დღიური და ნოტები გადაშალა. ჩერნის „ეტიუდი“ არც თუ ისე კარგად დაუკრა. რატომღაც მუსიკის გაკვეთილებს გულს ვერ უდებდა. აქ უფრო დედის ხათრით მოდიოდა, ვიდრე საკუთარი სურვილით. მოთმინებადაკარგული მადამ გოიერი შიგადაშიგ ხელებზე ეჭიდებოდა და მის თითებს მკაცრი გამომეტყველებით არბენინებდა კლავიატურაზე აქეთ-იქით. მაშინ მელანი ნოტებს საერთოდ აღარ უყურებდა. მორჩილად ელოდა თუ როდის დასრულდებოდა იძულებითი მუსიკალური მარათონი...

გაკვეთილი ორმოცდახუთ წუთში დასრულდა. მოჭრიალე ძველი ხის კიბე ტვირთმოხსნილივით ჩამოირბინა და გაზაფხულით გახალისებულ ადამიანებს მალულად შეავლო თვალი. მას ახლა არაფრის დიდებით არ უნდოდა სახლში წასვლა. უკვე რამდენი ხანი გავიდა, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ შეეჩვია ახალ უბანს. ნაცრისფერსა და უხალისოს. მიდიოდა და შიშს, ღელვას და სიამოვნებას ერთდროულად განიცდიდა. ყოველი მისი გადადგმული ნაბიჯი ნიშნის მოგებას ჰგავდა. დიახ, ის დღეს ისევ ძველ უბანს უნდა სტუმრებოდა. ქურდივით ჩუმად აეპარებინა მზერა ყოფილი სახლის აივნისკენ და ბრაზით გადაეყლაპა გულზე დამდგარი მონატრების ცრემლები...

შეხვედრა

ელიასი ექიმთან ვიზიტის შემდეგ, დედას და დეიდას სახლში არ აჰყვა და იქვე, სახლთან ახლოს მდებარე სკვერში დარჩა. ფეხზე ამჯერადაც ვერ უკეთებდნენ ოპერაციას, მის სრულწლოვანებას უნდა დალოდებოდნენ. იჯდა ცაცხვების ქვეშ და ცდილობდა არაფერზე არ ეფიქრა. რაღაცნაირი ცივი, უსახური დახვდა სტრასბურგი. მზეც ანათებდა, ჩიტებიც ჭიკჭიკებდნენ, ლორთქო ბალახიც სიცოცხლის ფერად ლივლივებდა, მაგრამ რაღაც აკლდა. გულს რაღაც სწყვეტდა. იქნებ ფეხი? იქნებ მოკლე და ძვალჩაწვრილებული კიდური უწამლავდა გუნებას?

ჩამოსვლისთანავე უცნაური სიცარიელე იგრძნო. ყველაფერი თითქოს ისევ ისე გამოიყურებოდა, როგორც დატოვა და მაინც, მისი სული სევდამ მოიცვა. საათობით იჯდა ფანჯრის რაფაზე და მოპირდაპირე სახლის აივანს გასცქეროდა. რამდენჯერმე უჩინარმა ხელმა ფარდის ქვემოდან გამობერტყა რაღაც ნაჭერი. ეს იყო და ეს... ის პატარა გოგონა, მამამისმა მელანით რომ მიმართა, აღარსად ჩანდა.

...უხალისოდ, ნელი ნაბიჯით გაემართა სახლისკენ. მას ახლა ხატვა თუ უშველიდა. ბოლო დროს სულ სიბნელეს ხატავდა, ხანაც ნაცრისფერ სიცარიელეს, ოდნავ შესამჩნევი იისფერი ხაზებით.

უსურვილოდ და ფეხის კიდევ უფრო ათრევით მიდიოდა. მისი დაბინდული მზერა აქაიქ აფიქსირებდა ქვაფენილის გეომეტრიულ ფორმებს. ზეპირად იცოდა, ამოტეხილ ალაგს რომ მიაღწევდა, მაშინ უკვე მარჯვნივ, სადარბაზოსკენ უნდა წასულიყო. დაზიანებულ ფილასთან ფეხები შენიშნა, ერთმანეთზე მჭიდროდ მიტყუპებული და დაჭიმული. შეჩერდა და თავი ასწია. მაშინვე იცნო. მელანი გაზრდილიყო, მაგრამ სახეზე ზუსტად ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, როგორც მაშინ, – გაბრაზებული და ნაწყენი.

პირი მაგრად მოეკუმა და დაძაბული შეჰყურებდა ბიჭს, რომელიც მძლავრად ურტყამდა ფეხს მათეული აივნის რკინის რიკულს. მერე მოაჯირზე გადმოიხარა და დაუყვირა: „Es – tu stupide? Pourquoi me regardes – tu?“*

გოგონამ გულზე მჭიდროდ მიკრულ ნოტების რვეულს ხელები მოუჭირა და ამოიკვნესა. მერე ისე უცბად გაიქცა, ელიასი არც კი შეუმჩნევია.

მელანი გარბოდა. ცრემლებისგან დაბინდული თვალებით გზას ძლივს არჩევდა. როგორც იქნა გაჩერებას მიაღწია და მოსაცდელში უხერხულად დადგა. იქვე ვიღაც კაცი სიგარეტს ეწეოდა. კვამლმა კიდევ უფრო აუწვა ყელი. მოიბუზა. დაპატარავდა. საკუთარი თავი ჯერ შეეცოდა, მერე გაბრაზდა, – რას მივეხეტებოდიო, ნეტავ?! ლოყებზე გადმოგორებული ცრემლები

* რატომ მიყურებ? სულელი ხარ? (თარგმ. ფრანგულიდან).

ხელის გულით შეუმჩნევლად შეიშრო და მწეველი კაცისკენ ალმაცერად გაიხედა, მაგრამ ვეღარ დაინახა, რადგანაც მათ შორის ვიღაც ბიჭი ჩამდგარიყო. ბიჭს გრძელი, ტოტებფართხუნა მუქი ფერის შარვალი და სახელოებგადაკეცილი იგივე ფერის ოდნავ გახუნებული დიდჯიბეებიანი პიჯაკი ეცვა. თავზე მჭიდროდ მორგებული შავი ბერეტიდან, მაღალი შუბლი და ხუჭუჭა, ღია წაბლისფერი თმა მოუჩანდა. ბიჭი მძიმედ სუნთქავდა. ეტყობოდა რომ ერბინა. მის ჭროღა თვალებს მზერა აარიდა და კიდევ უფრო ძალუმად მიიკრა ნოტები გულზე.

ავტობუსში ერთად ავიდნენ. მელანიმ კიბეზე ასვლისას შენიშნა, როგორ აითრია ბიჭმა მარჯვენა ფეხი. უეცრად, მისი გული სიბრალულმა მოიცვა. უნდოდა ჩუმად შეეთვალიერებინა, მაგრამ როგორც კი თავი ასწია, ისევ მის მზერას შეეფეთა. ბიჭი უღიმოდა, რაღაცნაირად სანდოდ და ალალად. შერცხვა. მთელი გზა მონუსხულივით იდგა. თავის გაჩერებაზე ზოზინით ჩამოვიდა, ფეხები უკან რჩებოდა. ავტობუსისკენ არ გაუხედავს. სახლისკენ მიდიოდა და გულში ჩუმად იმეორებდა: „Qui es – tu? Qui?“*

...ავტობუსიდან ჩამოსული ელიასი, ბოლომდე გაჰყვა მელანის. გული ყელში ჰქონდა მობჯენილი. ემოციებისგან და ფიზიკური დაძაბულობისგან ძლივს სუნთქავდა. აჩქარებული ნაბიჯით შორიახლოს მიჰყვებოდა და თან ჩურჩულებდა: „უკან არ მოიხედო, გთხოვ, არ მოიხედო...“

მელანიმ მართლაც უკან მოუხედავად შეაბიჯა სადარბაზოში. ელიასმა შვებით ამოისუნთქა. ახლა უკვე იცოდა მისი მისამართი. მოგვიანებით სადარბაზოში ისიც შევიდა. გულდასმით დაათვალიერა საფოსტო ყუთები. მერე კარგა ხანს იჯდა კიბის საფეხურზე. ატკიებულ ფეხს იზელდა და იღიმებოდა.

* * *

მეორე დღეს, სკოლიდან დაბრუნებულ მელანის, ელიასი დაბარებულივით დახვდა სადარბაზოსთან. ზურგით კედელს მიყრდნობილი უღიმოდა. ერთხანს უხმოდ უცქერდნენ ერთმანეთს. ბოლოს მელანიმ გამბედაობა მოიკრიბა, მხრიდან ჩანთა მოიხსნა, გულზე მიიხუტა, გაიღიმა და ვინ ხარო? – შეეკითხა.

ელიასმა გაოფლილი ხელისგული ჯერ თმაზე, მერე კი თვალებზე გადაისვა და დაბალი ხმით უპასუხა: „მე ელიასი ვარ, შენ კი, მელანი“...

გაოცებული მელანი დიდი ყურადღებით უსმენდა ელიასს, რომელიც უყვებოდა თუ როგორ შეჰყურებდა წლები მათ ბინას. იცოდა მამამისი, დედამისი, მის ძმა ლუი და რაც მთავარია – იცნობდა სევდიან და ბრაზიან გოგონას, რომელსაც თითქმის დავიწყებული ჰქონდა ის დღე, როდესაც აივნიდან სათამაშო ბაჭია გადმოაგდო...

წერილები

მელანიმ, საფოსტო ყუთი უცნაური ღელვით გახსნა. ჟურნალ-გაზეთების გროვიდან ქათქათა, თეთრი კონვერტი გადმოვარდა. გული უცნაურად შეუტოკდა. აქეთ-იქით მიმოიხედა და კიბეზე ჩამომავალი მეზობლის დანახვაზე გაწითლდა. წერილი სწრაფად ჩამალა ჩანთაში და პირველივე გაზეთი გაშალა. მარტო რომ დარჩა, ჩანთიდან ფრთხილად ამოაცურა კონვერტი. ზედა ნაწილში მისი სახელი და გვარი – მელანი ლაპიერი ეწერა. ქვემოთ კი გამომგზავნის მისამართი და ინიციალები – ე. მ. გაიღიმა და ჩაიჩურჩულა – ელიას მიზრაჰი...

ელიასს მისთვის თავისი ნახატი გამოეგზავნა. ოთხად გაკეცილი სახატავი ფურცელი ფრთხილად გაასწორა და გულდასმით შეათვალიერა. ნაცრისფერი, გაბზარული სივრციდან, თეთრი ფერის ბირთვი ამოზიდულიყო...

ნახატის მეორე მხარეს – „მიყვარხარ“ ეწერა, რომელიც ელიასს რატომღაც ბრჭყალებში ჩაესვა.

მელანი სირბილით ავიდა სახლში და წერილი

მხატვარი სოფიო ჭელიძე

* შენ ვინ ხარ? ვინ? (თარგმ. ფრანგულიდან).

საწერი მაგიდის მეორე უჯრაში დამალა. დანარჩენი ორი უჯრა შარლოტას და ლუის ჰქონდათ გადანაწილებული. იმ დღიდან მოყოლებული უამრავი ბარათი მიიღო მელანიმ. სახლში მარტოდ მყოფი ამოალაგებდა ხოლმე და სიამოვნებით ათვალიერებდა ხელმეორედ. ელიასის მინაწერ „მიყვარხარს“ ხელისგულს ადებდა და ჩურჩულებდა: „Je crois et j’ai confiance“* მელანის გრძნობა ელიასის მიმართ უცნაური და ამოუხსნელი იყო. თავადაც ვერ გარკვეულიყო და არც ცდილობდა ამას. დაახლოებით ეს იყო მეგობრობის, ნდობის, იმედის სინთეზი...

ფრედო

ფრედო, ლაპიერების კარის მეზობელი იყო. თხუთმეტი წლის, დედამისმა მიატოვა და აგნოელ მებაღეს გაჰყვა ცოლად. მარტოდ დარჩენილი ბიჭი, სოციალურმა მუშაკებმა ვერ შენიშნეს და მანაც მარტომ განაგრძო ცხოვრება ერთოთახიან ბინაში. ფრედოს დედა ხანდახან მოდიოდა, სწრაფად მიალაგებდა არეულ-დარეულ ოთახს, სარეცხს დარეცხავდა, მოტანილი პროდუქტით სადილს გაამზადებდა და ქმართან გარბოდა. მერე დღეები აღარ ჩანდა. ერთხელ მშობელთა კრებაზე, ფრედოს თხოვნით შარლოტა წავიდა. სკოლიდან ერთად დაბრუნდნენ. შარლოტამ სადილად მიიწვია. ცდილობდა ბიჭთან რბილად და მეგობრულად ესაუბრა. ფრედო იღიმებოდა და სიამოვნებით მიირთმევდა ვახშმის შემდეგ სახელდახელოდ გამზადებულ ყველის ასორტს. ამ დღის შემდეგ თითქოს უფრო დაახლოვდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ასაკით მათზე შედარებით უფროსი იყო, მელანი და ლუიც დაუმეგობრდნენ. უფრო კი მელანი. მათ გარდა კიდევ რამდენიმე მეზობელი ურთიერთობდა მასთან. საჭმელს უნაწილებდნენ. ფრედოს ბინის კარი თითქმის არასოდეს არ იკეტებოდა. მით უმეტეს დღისით. მეზობლებისთვის რაღაც განტვირთვის რიტუალს წარმოადგენდა მასთან სტუმრობა. კარგი მსმენელი იყო ფრედო. ჩუმი და თავდაჯერებული. სწორედ სიჩუმის გამო შეარქვეს მეტსახელად „POISSON“-ი.**

ბიჭს, მართალია თავიდან ძალიან ატკინა გული დედის საქციელმა, მაგრამ მერე და მერე შეეგუა და კიდევაც მოეწონა თავისუფლება. რასაც უნდა იმას აკეთებდა, თუმცა მას ბევრი არც არაფერი უნდოდა. უბანში უყვარდა ბიჭებთან გასვლა. კიდევ ახალ ველოსიპედზე ოცნებობდა. ალბათ, ეს ოცნება დიდხანს ოცნებადვე დარჩებოდა, რომ არა თითქოსდა შემთხვევითი შეხვედრა უბნის ინსპექტორ პიერთან.

...იმ დღის შემდეგ, ფრედო მსუბუქი ნარკოტიკების კურიერად იქცა. რა თქმა უნდა ახლა ველოსიპედიც ჰქონდა და თავის გასატანი ფულიც. ფრედოსაც აღარავინ ეძახდა, ყველა ზედმეტსახელით მოიხსენიებდა. სამეზობლოში მალევე გაიგეს მისი საქმიანობის შესახებ, თუმცა პირდაპირ არავის არაფერი უთქვამს. არც დედამისისთვის შეუტყობინებია ვინმეს რამე. ეგ იყო, რომ ზოგმა დისტანციური ურთიერთობა ამჯობინა და ფამილარული ღიმილი მიიკერა სახეზე, ზოგიერთმა კი ვითომც არაფერი იცოდა, ისევ ძველებურად იქცეოდა. ასე მოიქცა შარლოტაც. მელანისთვის სულერთი იყო. ის ფრედოს ენდობოდა.

ლუი და ფრანსუა

ზუსტად იმ პერიოდში, ლუის ახალი ჰობი გაუჩნდა. მეხუთე სართულელ ფრანსუასთან ერთად, რომელიც იმავდროულად მისი კლასელიც იყო, გიტარაზე დაკვრის შესწავლა დაიწყო. უბანში იშოვეს ძველი, ფურცელ-ფურცელ დაშლილი წიგნი „გიტარის გაკვეთილები დამწყებთათვის“ და მეცადინეობასაც დიდი ენთუზიაზმით შეუდგნენ. ნაბიჯ-ნაბიჯ ისწავლეს ყველაფერი, რაც კი გიტარას და მასზე დაკვრის ტექნიკას ეხებოდა. სიმებზე თითების განლაგება, აკორდები, მარტივი მელოდიები. გიტარის აწყობა სტანდარტულ ტონალობაში. თავიდან კლასიკურ გიტარაზე მეცადინეობდნენ. შემდეგ ფული შეაგროვეს და ნახმარი აკუსტიკური გიტარა შეიძინეს. ახლა უკვე მედიატორის გამოყენებაც ისწავლეს. რაც ბევრს სწავლობდნენ, უფრო და უფრო ინტერესდებოდნენ. მათი ოცნება ელექტრონული გიტარის შეძენა იყო. „თევზისგან“ გაიგეს, რომ როკ-კლუბ „La maison bleue“***-ს გიტარისტის – ლარს კაუფმანის ძმა, ნახმარ გიტარებს შედარებით იაფად ყიდდა.

ლუიმ სამეცადინო კუთხე თანდათან გაავსო ბითლზის, დიფ ფარფლის, პინქ ფლოიდის, ლედ ზეპელინის, ბლექ საბატის და სხვა პოპულარული როკ-ჯგუფების პლაკატებით. ყველაზე საპატიო ადგილი რიჩი ბლეკმორის პლაკატს ეკავა. პარალელურად აგროვებდნენ ფირფიტებს. სპეციალურ რვეულში იწერდნენ როკ სამყაროს შესახებ მოპოვებულ თუნდაც სულ მცირე ინფორმაციას.

მელანის უზომოდ უხაროდა ძმის ახალი გატაცება. სიამაყით ადევნებდა თვალს მათ მეცადინეობებს. ისიც ძმასთან ერთად უსმენდა უამრავ მუსიკალურ კომპოზიციას. მართალია, ხმაურიანი მუსიკა არ უყვარდა, მაგრამ თავს ვალდებულად თვლიდა ამ სახით მისთვის მხარდაჭერა გამოეცხადებინა.

* „შენი მჯერა და გენდობი...“ (თარგმ. ფრანგულიდან).
** თევზი (თარგმ. ფრანგულიდან)

*** „ცისფერი სახლი“ (თარგმ. ფრანგულიდან).

მტკივნეული სიყვარულის რექვიემი

ბევრი დუღილისგან ყავა სანახევროდ დამშრალიყო. შარლოტამ გაზქურა ჩააქრო და დარჩენილი სითხე მადუღარადან ფინჯანში ჩამოასხა. არეულ ხასიათზე იყო. ემოციების კონტროლი უჭირდა. სიგარეტს მოუკიდა და დივანზე მიწვა. მოწევის დროს ყოველთვის თავბრუ ეხვეოდა. ახლა მით უმეტეს, დაძაბულობისგან ისედაც თვალთ უბნელდებოდა. სიგარეტიანი მკლავი ქვემოთ ჩაჰკიდა და ფიქრებში წავიდა. კვამლი გამხდარ თითებში უძვრებოდა და ზევით მიიწევდა. მეორე ხელით შუბლი ისე ძლიერად მოისრისა, კისრის ძარღვები ეტკინა.

ამდენი წლის შემდეგ ჟან-ბატისტის ხელახალმა ხილვამ, მივიწყებული განცდები განუახლა. გულში საგულდაგულოდ ჩაკლულმა გრძნობამ ისე უეცრად ამოხეთქა გონზე მოსვლაც ვერ მოასწრო. ყველა შეხვედრა და მიმოწერა ისეთი სიცხადით გაახსენდა, თითქოს ყველაფერი გუშინ მომხდარიყოს...

სიგარეტი ჩაიფერფლა. შარლოტა ერთხანს გარინდებული იწვა და როგორც თავად იძახდა ხოლმე, – გათიშვას ცდილობდა. ვერ შეძლო. წამოდგა. ქაშმირის შალი შემოიხვია და აივანზე გავიდა. ჰაერი ხარბად შეისუნთქა. შეაჟრჟოლა, თუმცა უფრო ემოციური დაძაბულობისგან, ვიდრე სიცივისგან.

იმ დილით, France 2-ზე, პროგრამა „ხელოვნება, დრო და თაობები“ პოეტები მიეწვიათ. ისაუბრეს პარიზულ ბომონდზე, კულტურულ შეხვედრებზე, მონმარტრის საღამოებზე...

ყელზე შარფმოხვეული ჟან-ბატისტი ნელა, სვენებ-სვენებით საუბრობდა. სათითაო სიტყვას უკვირდებოდა. გარეგნულადაც შეცვლილიყო. თმა გაეზარდა და წვერიც მოეშვა. ჭაღარაშერეული ხშირი თმა შუბლთან სპეციალურად აეჩეჩა. ლექსებიც წაიკითხა. მათგან რამდენიმე მისთვის მიძღვნილიც. ნაცნობი სტრიქონების გაგონებაზე შარლოტა ერთიანად აკანკალდა.

სექტემბრის ის შორეული დღე ამოუტივტივდა, St. Lazare-ს სადგურში, ნორმანდიისკენ მიმავალ მატარებელს რომ ელოდა. დარდისგან დალეული ახალგაზრდა ქალი, მაშინ მტანჯველ სიყვარულს და ჟან-ბატისტს ერთდროულად გაურბოდა. ბრაზით და სიძულვილით იყო სავსე. დარწმუნებული იყო, რომ მხოლოდ გარემოს შეცვლა და დრო სჭირდებოდა, რათა გულიდან და გონებიდან სამუდამოდ ამოეძირკვა ადამიანი, რომელიც სულამდე მიუშვა და ბოლომდე მიენდო...

ღმერთო! როგორ უყვარდა! ჟან-ბატისტი კი სიყვარულს თავისებურად აღიქვამდა. მისთვის სიყვარული – ლამაზი და მომხიბლავი მუზა იყო სხვადასხვა ქალში გაბნეული და მისი პოეზიისთვის გაერთიანებული. შარლოტა ამ ყველაფერს გვიან მიხვდა. მაშინ, თავზე რომ დაემხო ოცნების კოშკები და ზედ სულთან გადაუჭრეს დედობისკენ მიმავალი გზა.

ჟან-ბატისტი მოსაცდელში ელოდა. თავდაჯერებული, მზრუნველი და უზომოდ „კეთილი“.

...ნორმანდიაში ერთ წელიწადს დარჩა. ჟივერნიში გატარებული დრო საკუთარ მესთან დაბრუნების და სულიერი ძალების აღსადგენად გამოიყენა. ეს იყო მისი ცხოვრების გარდამავალი ეტაპი. საკუთარ თავზე ზრუნვის, განვითარების...

Sainte – Radegonde-ს ეკლესიის რვაკუთხა, ნაცრისფერი კოშკურა და მონეს საფლავი დაუდგა თვალწინ. საათობით იჯდა სასაფლაოზე და წარსულზე ფიქრობდა. ფიქრობდა მონეზე და მისი ცხოვრების გზებზეც. მუზეუმში მუშაობის დროს, ბევრი ისეთი რამ შეიტყო, რაც იქამდე არ იცოდა. გაიგო ისიც, რომ მონეს ცხოვრება თურმე სულაც არ ყოფილა მისი ნახატებივით ფერადი. ზოგჯერ სხვისი ტკივილები, თუდნაც უკვე გადავლილები, საკუთარი ტკივილების გაყუჩებაში გვეხმარებიან. ასე დაემართა შარლოტასაც.

ბოლო დღეს, ვიდრე ნორმანდიას დატოვებდა, გამგზავრებამდე რამდენიმე საათით ადრე, კლოდ ოსკარ მონეს საფლავთან მივიდა გამოსამშვიდობებლად.

ქვის გაბზარულ ნაწილს უკანასკნელად გადაუსვა თითები, ისე თითქოს მის გამთლიანებას ცდილობსო. მერე ორივე ხელისგული ერთდროულად დაადო და აჩურჩულდა – ყველა თავის გზას გაივლის! ყველა თავის გზას გაივლის! ყველა თავის გზას გაივლის!

შარლოტას გზა, ამჯერად, ნორმანდიიდან ელზასისკენ მიდიოდა. ჟან-ბატისტი და მისი სიყვარული წარსულს შეატოვა. ის მას და პარიზს აღარასოდეს დაბრუნებია...

შარლოტა სიცივემ აიტანა. სუფთა ჰაერი ერთხელაც შეისუნთქა და ოთახში შებრუნდა.

თინათინ თელაველი - 70

ანდამატური მგოსანი

70 წელი შემოადნა, ელვარე შემოქმედებით წვაში, უბრწყინვალეს ლირიკოსს, მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ თავმჯდომარის მოადგილეს – თინათინ თელაველს (მრელაშვილს).

მისი ნაკალმარი გამოირჩევა: მაღალი მხატვრულობით, ფილოსოფიური სიღრმითა და მუსიკალობით.

მას ეკუთვნის, აგრეთვე, სახელგანთქმული ფრანგი მეზღაპრის – შარლ პეროს, ბავშვებისათვის უსაყვარლესი ზღაპრის, „წითელქუდას“ პოეტური თარგმანი, რომელიც წიგნად გამოიცა.

ჯეროვნად დაფასდა ნიჭიერი შემოქმედის მოღვაწეობა და მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურულმა კახეთმა“ 2018 წელს დააჯილდოვა ჟურნალ ,,ოლეს“ სახელობის ლიტერატურული პრემიით.

ნიჭიერ კალმოსანს ვუსურვებთ სიბრძნის ასაკს და ვუსურვებთ ბედნიერ წელთა მრავლობასა და ახალ-ახალ შემოქმედებით წარმატებებს...

მწერალთა ასოციაცია ,,ლიტერატურული კახეთი“

,,ოლეს“ მკითხველს ვთავაზობთ იუბილარი პოეტის ახალ ლექსებს:

ნეტავ, გვეღირსოს!..

მიყვარს ქართველი, მამულისთვის, ვინც მზედ ანთია,
უსიყვარულოდ, ციცაბო გზა არ დაილია...
ნეტავ, გვეღირსოს – შვებით შევხვდეთ ყოველ განთიადს,
ჩვენ გვეყუდნოსო: ჩვენი თავი, – ბრძანა ილიამ...

სიყვარულის სანყისი!

რიჟრაჟს და ცისკრის ნათებას, მუდამ, იმედით მოველი,
მუდამ, – მალხენს და მალაღებს: მზეფიქრთა ფიფქთა მთოველი...
სიყვარულია სიცოცხლის – სხივთა, უბადლოდ, მქსოველი,
სიყვარულია საწყისი, – მისი მზით მზეობს ყოველი...

სიყვარულში გავლიოთ!..

დროის რაშნი, ზესწრაფნი, რა უჩინრად მიჰქრიან,
დრო – რაშს ჰგავს და... მგონია, ზოგჯერ, რაში – ფიქრია...
მომქანცველი სრბოლებით, თითქოს წამებს მითვლიან, –“
ფიქრებს წამომიშლიან, – წამოქოჩრილს, ნისლიანს...

დროის რაშნი, – ზესწრაფნი, თავაწყვეტით მიჰქრიან, –
სრბოლას სცნობენ – არც სხვაგვარს, არც სიყვარულს, ფიქრიანს...
მოხედვასაც ვერ ასწრებ, დრო კი, უკვე, გასულა
დღეს, რომ ეტრფი მომავალს, ხვალ დარჩება – წარსულად...

რაც არ უნდა იჩქარო, დროში, განა, ეტევი?!
ვინლა ჩივის გასწრებას? ვერაფრით, ვერ ეწევი,...
ამად, სჯობს, რომ სიცოცხლის – ზღვა შარბათის – დავლიოთ,
სჯობს: სიცოცხლე, ნეტარი – სიყვარულში გავლიოთ...

დგას შემოდგომა...

დრო გარდასულა, დგას შემოდგომა, –
გული ვერ უძლებს ტკივილს,
ნატრობს გაზაფხულს, მის, კვლავ დადგომას,
მის დარ-მზეს, სულის ყივილს...

მოხევის ჩივილი...

რით მწუნობს, ეს, მზექალა, –
პირქუშად განწყობილა,
ვერ გაჭრა, ვერც, ზე-ძალამ,
პიტალო, რამ, ყოფილა...
უარიც არ მიკმარა,
სიყვარულს, ამ, ფოფინას, –
ახლოს არ გამიკარა,
შორით წვა მამყოფინა.

მწამს, გაიბრწყინებს!..

მწამს, გაიბრწყინებს ბედის მზე თვალად, –
რადგან იმედის ფანტელს მათოვებს,
ცხოვრებამ სვე, თუ, სხივით შეცვალა,
ვიცი, გულნაკლულს რომ არ დამტოვებს...

ბრწყინდება...

სინორჩით ტრფობა კიაფობს, –
მაჭრობს და... მერე ღვინდება...
წლებით: ის, ძველ ხიბლს, კი, არ თმობს,
სიდარბაისლით ბრწყინდება...

მიეფერ–მიეფოფინა...

მდელო ათქვირდა, ტყე-ველებს, –
მზემ ოქროს სხივი მოჰფინა,
ვერხვებს, ფესვდამზრალ მთეველებს,
მიეფერ-მიეფოფინა...

სურათი...

თოვს... შენზე ფიქრებით თენდება დღე,
ცა, სჩუქნის მიდამოს – განთიადს, – ძღვენს,
რიჟრაჟი შეჰხარის ფანტელებს, – მმღერს,
მე, კი, შენს სიყვარულს ვავედრებ ღმერთს...

სიყვარულ მაინც მასწავლე...

„გასრულდეს, ესე, ამბავი, ვითა, სიზმარი ღამისა“,
ვერ გეალერსე და... ვიწვი, მკლავს დარდი, – ერთი რამისა:
ვერ-რით აგინთე, ეგ, გული, – დრონი მიჰქრიან წამისად...
სიყვარულ, მაინც, მასწავლე, – ვარ მადლობელი ამისა...

ირმისთვალა ფანტელები...

ზამთარია... სივრცეს შვენის ირმისთვალა ფანტელები,
მოფრინავენ ცეკვა-ცეკვით, გამოუსხამთ ნაზი ფრთები,
ის, ბავშვობა გამახსენეს, სილაღით, რომ ფანტეს წლები,
თითქოს: მათთან ერთად ვცეკვავ, სიცოცხლის მზით ავივსები...

სადაც, სიკეთე ზეიმობს!...

როცა ფიქრს აწრთობ, ამზევებ, და... სწრაფვა მიზანსრულია,
როცა, გულისხმას ენდობი, თვლი, – სწორად მიმართულია,
როცა, სიმართლეს მსახურებ, – შვება გულს შიგან რგულია...
სადაც, სიკეთე ზეიმობს, იქ, მუდამ სიხარულია...

მარიამ ძამუკაშვილი

მალულად ვაკვირდები გვერდით ჩავლილთა სახეებს, – ღიმილს ვეძებ, იქნებ, ვინმემ აღმიქვას ადამიანად, შემომხედოს, პატარა სიხარული მაჩუქოს, – უნდილად მაინც შემეღიმილოს. ყველას საკუთარი საზრუნავი გასჩენია, ყველას ქვად ქცევია გული. მგონია, გაჭირვებული ადამიანი რომ დაინახონ, ისე ჩაუვლიან გვერდით, ზედაც არ მიხედავენ. მეც ვცდილობ, გულგრილი გამომეტყველება გადავიკრა სახეზე, მაგრამ, ვიცი, რომ არ გამომივა, – კვლავ, შორიდან ვათვალიერებ ყველა გამვლელს იმედით.

მარიამ ძამუკაშვილი

ის, – ორი ცრემლი...

მარიამ ძამუკაშვილი

დილიდან უჟმური ამყვა...

ცივი, მოქრუშული ამინდია, საწვიმარი ღრუბელია ჩამოწოლილი, წვრილად ჟინჟლავს. თითქოს უზარმაზარ საცერში იცრება ღრუბლების ცრემლი...

არაფერი მეხალისება, საქმეს გული ვერ დავუდე, – ფანჯრის რაფაზე შემოდებული გადაშლილი წიგნისკენ, გუშინ რომ ვკითხულობდი, გახედვაც მეზარება. არც კი მიცდია ხელსაქმის ყუთისთვის სახურავი ამეხადა. მოკლედ, სახლში არ მედგომება. გარეთ კი უღიმღამო, უსიხარულო ამინდია...

რა ვქნა?! გულმა ისევ ქუჩისკენ გამიწია.

– წავალ, გავივლი, გულს გადავაყოლებ, იქნებ, გუნებაც გამომიკეთდეს, – ვესაუბრები ჩემს თავს.

საწერ მაგიდაზე დაუდევრად მიყრილ ხურდებს და ხუთლარიანს ხელი მოვუსვი, ჯიბეში ჩავიყარე, მეორეში ტელეფონი ჩავიტენე და თითქმის სირბილით გავემართე გაჩერებისკენ, – სამარშრუტო ტაქსისთვის მინდოდა მიმესწრო, მაგრამ, შენც არ მომიკვდე, – ავტომობილის კუდსღა გავაყოლე თვალი.

უნდა გამოგიტყდეთ, არასოდეს ვყოფილვარ გამორჩეული პედანტობით, იმ ადამიანებივით, რამდენიმე დღით ან ერთი კვირით ადრე რომ გეგმავენ საკეთებელს. თავში აზრი რომ გამკრავს, მინდა მყისიერად განვახორციელო, მკლავს ლოდინი, ამიტომაც დავაგვიანე ტრანსპორტზე. წინასწარ, იშვიათად თუ შევხედავ საათს, გზაშიღა მახსენდება, რომ ყველაფერს თავისი დრო აქვს. თუმცა, ხშირად მიმართლებს შემთხვევითობა...

ნელი ნაბიჯით შევყევი აღმართს. ქოლგაც არ წამომიღია, – მსუბუქი ჟინჟლი თმას მისველებს, წამწამებზე მტვერივით მეფინება ნესტის უწვრილესი ნაწილაკები. მთავარ გზაზე ავედი. დიდი ხნის მოცდა არ დამჭირვებია... მოხერხებულად მოვიკალათე რბილ სკამზე. მესიამოვნა სითბო და ხალხის მოგუდული ბუბუნი...

გაჩერებაზე ჩამოვედი. თელავს ნაცრისფერი დასდებოდა. აქ მეტად იგრძნობა უამინდობა. ყადორის ქუჩა შევიაღმართე, ხიდი გადავჭერი და გეზი მოედნისკენ ავიღე.

ძველ ბაღში, ციხე-გალავანთან სიმშვიდეა, კანტიკუნტად გადი-გამოდის ხალხი. ფრთხილად მივაბიჯებ ფოთოლშემოძარცვულ ხეების ხეივანში, მათი სილუეტები გაცრეცილი ცის ფონზე შავად მოჩანს.

მალულად ვაკვირდები გვერდით ჩავლილთა სახეებს, – ღიმილს ვეძებ, იქნებ, ვინმემ აღმიქვას ადამიანად, შემომხედოს, პატარა სიხარული მაჩუქოს, – უნდილად მაინც შემეღიმილოს. ყველას საკუთარი საზრუნავი გასჩენია, ყველას ქვად ქცევია გული. მგონია, გაჭირვებული ადამიანი რომ დაინახონ, ისე ჩაუვლიან გვერდით, ზედაც არ მიხედავენ. მეც ვცდილობ, გულგრილი გამომეტყველება გადავიკრა სახეზე, მაგრამ, ვიცი, რომ არ გამომივა, – კვლავ, შორიდან ვათვალიერებ ყველა გამვლელს იმედით.

აგერ, ახალგაზრდებმა ჩამიარეს. ტელეფონში ჩართულები ერთმანეთს ყურადღებას არ აქცევენ. გზას კი არ მიჰყვებიან, გზას მიჰყავს ისინი.

ორი ხნიერი ქალი ხელკავით მიემართება. გაშლილი ქოლგის ქვემოდან ჩანს, ალბათ, ტკივილებისგან შეწუხებული ფერმკრთალი სახეები. ერთი ოდნავ კოჭლობს. საუბარში გართულან. მათ ირგვლივ, თითქოს სამყარო ჩანთქმულა ამინდის უღიმღამობაში.

ბიჭი ძაღლს მიასეირნებს. მოუსვენრობს ჯიშიანი ლეკვი, – გრძელი ჯაჭვი ხმელ ფოთლებს მიიხვეტავს, ფილაქანს ეხეთქება, ყრუ ხმას გამოსცემს.

პატრონს მეორე ხელში მობილური უკავია, გაფაციცებით ათამაშებს თითებს ღილაკებზე.

მოკლედ, ყველა თავის თავში ჩაკეტილა. მე, – უსაქმური დავხეტიალობ უთავბოლოდ და ადამიანობას ვეძებ. ვიპოვი, კი?!...

შორიდანვე მიიქცია ჩემი ყურადღება წყვილმა, – ახალგაზრდა ქალს პაწია, ასე ოთხი-ხუთი წლის თავთავისფერნაწნავებიან გოგონასთვის ჩაუჭიდია ხელი. სწრაფი ნაბიჯით მიდის, ბავშვი ძლივს ეწევა და მიაკონწიალებს გრძელ ძაფზე გამობმულ წითელ, საჰაერო ბურთს. დავინახე თუ არა, წინათგრძნობა გამიჩნდა, – ვიპოვე, რასაც ვეძებდი... მომიახლოვდნენ. პატარას მზერა ვიგრძენი. ერთხანს მიყურა, მერე ანცად გამიღიმა და სირბილით გაჰყვა დედიკოს.. რამდენიმე ნაბიჯით გავცდი. სულმა წამძლია მიმეხედა უკან, მინდოდა, კიდევ ერთხელ, შემევლო თვალი მისთვის, ვინც ამდენი ხნის ნაძებნი სიხარული მომანიჭა. შემოვბრუნდი... დახეთ საოცრებას, ისიც მიყურებს, – ნახევრად ჩემკენ შემობრუნებულს დედა მიარბენინებს. დიდ ცისფერ თვალებზე და პაწია კოკორივით შეკრულ ტუჩებზე ღიმი გადაჰფენია. გარბის და მიყურებს. ღიმილით ვუპასუხე და ხელი დავუქნიე. ხალხის ტალღამ მხედველობიდან მომტაცა ჩემი ანგელოზი.

საოცარი სიძლიერით აღმებეჭდა მეხსიერებაში უმანკო ღიმილი, რომელსაც ხშირად წარმოვიდგენ ხოლმე, განსაკუთრებით მაშინ, როცა ამქვეყნიური ამაოება ყელზე ბოღმად მომაწვება. მაძლიერებს. სიხარულის აურად მორგებული თან მდევს სიძნელეთა გადასალახად...

ვიწრო ორღობით დავეშვი მოედნიდან... ხმელ ფოთლებს ამოუვსია ქვაფენილის ოღროჩოღრო; მოაჯირიანი საცალფეხო ბილიკის ასფალტზეც ბლომად ყრია; ქუჩის კიდეებზე მიყრილი ათასგვარი ნაგავი თვალისთვის მიუფარებია. აქაურობა სიმშვიდეს მოუცავს. შემოდგომის ოქროს სუსტი ნიავი ატორტმანებს. წყარო ფიქალითაა მოპირკეთებული. წკრიალა, ცივი წყალი გადმოჩუხჩუხებს, უთავბოლოდ ატრიალებს, ვინ იცის, რამდენი ხნის წინ პაწია აუზში ჩავარდნილ ფოთოლს. პეშვი ავივსე, თუმცა არ მწყუროდა, მაინც მოვსვი. ხელებიდან წვეთები დავიბერტყე...

გულმა სახლისკენ გამიწია...

– ბაზარში ჩავივლი, მწვანილს გავიყოლებ, – გავიფიქრე და ხალისიანად ჩავირბინე კიბე. ხალხის ტალღა წყლის ზედაპირზე მოტივტივე ნაფოტივით მაქანავებს აქეთ-იქით.

– გავალ, გარეთ ვიყიდი, იქ უფრო სიმშვიდეა, – გასასვლელისკენ გავემართე.

სანამ კართან მივალ, პატარა მოშიშვლებული ადგილია. ღონიერი წვიმის დროს ისეთი გუბე დგას, ჭირს მორიდება. ამ ადგილზე შეიძლება, ცოტა, თავისუფლად ამოისუნთქო ხალხმრავლობისგან...

ზუსტად შუაში მხრებში მოხრილ ჩია ტანის ადამიანს ვკიდე თვალი. ქალს გავს. ყავისფერი, გაქუცული პალტოს ქვემოთ მტკაველზე მოუჩანს

მხატვარი სოფიო ჭელიძე

გახუნებული კაბის ბოლო. შავწინდიანი ფეხები მოზრდილ, გვერდმოქცეულ, ალბათ, ქმრის ნაქონ ფეხსაცმელში აქვს წაყოფილი. შავი, ნაქსოვი, გაცვეთილი ხელთათმანებიდან გამხდარი თითის წვერები მოუჩანს. სიძველისგან გათხელებულ ქსოვილში ვერცხლისფერი ბეჭედი დავლანდე. ისეა გალეული, ალბათ, არასოდეს მოუშორებია. თავზე, ქუდის ზემოდან უზარმაზარი, ფერგადასული თავშალი დაუდევრად მოუხვევია, – სახე სრულად არ უჩანს. ფეხებთან, შავი, პოლიეთილენის პარკში რამდენიმე ბოლოკი თუ ხახვი უგდია... ყიდის... იქვე, ცარიელი ნაჭრის წვრილ თეთრკოპლებიანი, თავღია ჩანთა დევს... დგას ჩუმად, ხმას არ იღებს... ელოდება... დროდადრო, თითქოს, კანკალი წამოუვლის, ხელს სახესთან მიიტანს, ისევ უღონოდ დაუშვებს.

გულმა რეჩხი მიყო. რამდენიმე წამი ნაბიჯის გადადგმას ვერ ვახერხებ. ბოლოს, როგორც იქნა, გონს მოვეგე. თავში ათასი ფიქრი მიტრიალებს. გვერდით ჩავუარე, გავცდი... რაღაც მეჭიდება. თითქოს ტყვია ჩამასხეს სხეულში. ტვინში გამდნარი ფოლადი მეღვრება, თავი მიხურს. ჯიბეში ჩაყრილ ხუთლარიანს და ხურდებს ისე ძლიერ მოვუჭირე ხელი, ტკივილი ვიგრძენი. თავბედს ვიწყევლი, – რატომ მეტი ფული არ მაქვს წამოღებული.

ახლა სხვა ფიქრი მეჭიდება:

– იქნებ, იმდენად თავმოყვარეა, არც კი აიღოს შეთავაზებული;

– იქნებ გაუხარდეს?

ეს ჩუმი ჭიდილი რამდენიმე წამი გრძელდება.

ბოლოს, თავს მოვერიე, მტკიცე გადაწყვეტილება მივიღე, – უკან მივტრიალდი. მივუახლოვდი, აკანკალებული ხელი დავუჭირე და ფული ჩავუდე. ყინულის სიცივე ვიგრძენი, თბილი ხელები შემოვაჭდე. მინდოდა, მისი გამოფიტული, უსისხლო სხეულისთვის სიცოცხლე მიმეცა, შეკრულ მუჭზე მოვეფერე.

– ბებო, ხომ არ გეწყინება, ეს მცირედი რომ შემოგთავაზო?...

ახლაღა დავინახე მისი სახე. გამხდარი, მისავათებული. ბებრული, უწამწამო თვალის უპეებში ორი მბრწყინავი ცრემლი გზადაგზა ნაოჭებში იკარგება. უკბილო პირით რაღაც ჩაიჩიფჩიფა, აშკარად მლოცავდა. რამდენიმე სიტყვა გავარჩიე:

გაიხარე, შვილო, დიდხანს იცოცხლე, ღმერთი გადაგიხდის სიკეთეს...

მეტი ვეღარ შევძელი. ყელში გაჩრილი ბურთი მახრჩობს. მოვტრიალდი გასასვლელისკენ. მინდა ვიყვირო, ქვეყანა შევძრა, მაგრამ ხმა მიწყდება, ცრემლი რა არის, ისიც ვერ გადმომიგდია.

ირგვლივ ვერაფერს ვამჩნევ, ისე ვარ ნახულით შეძრული.

– წავალ, გავივლი, გულს გადავაყოლებ, გავერთობი, – წამომიტივტივდა დილანდელი, – თურმე, ფუფუნება მიძებნია, ვბრაზობ ჩემს თავზე.

...ვიღაცას ვეჯახები.

– თვალები გაახილე, – მესმის, სადღაც, ბურუსიდან, – ამ ხალხმა სულ დაკარგა ზრდილობა, ბოდიშსაც არ მოგიხდიან.

თვალებიც მიხილია, ვსუნთქავ კიდეც, მაგრამ მაშინვე ვერ ვხვდები ჩემი ,,უზრდელობით“ უკმაყოფილო ადამიანის ნათქვამს. არც ვაქცევ ყურადღებას. გონება და სხეული ერთ, დიდ ბოღმას შეუპყრია...

ვიტირე, როგორც იქნა. მლაშე ცრემლი ლოყებზე ჩამომდის, ნიკაპთან ინასკვება. არც მიცდია შემშრალება, რა აზრი აქვს, მოდის და მოდის... პატარა შვებას ვგრძნობ.

... დრო, კი, მიიზლაზნება...

გონებიდან არ მშორდება ბებრული თვალის უპეებში ორი, მბრწყინავი ცრემლი, სულს მიფორიაქებს...

ჯიბეში ყოველთვის მაქვს მისთვის გადანახული გროშები...

კიდევ ბევრჯერ მივედი ნაცნობ ადგილზე, მაგრამ მოხუცი აღარასოდეს მინახავს...

პოეტის ეითი ღექსი

დარეჯან ჭანკოტაძე

ჩემს დათუნას

ეძღვნება 8 წლის დავით აფაქიძეს

ჩიტებმა დედას ახარეს,
დაგებადება ბიჭიო.
მას თან დაჰყვება სიკეთე,
ვაჟკაცობა და ნიჭიო.

მშობლების სიხარულია
სიყვარული და იმედიც...
სიმღერას როცა დაიწყებს, –
მოფრინდებიან ჩიტებიც.

მართლაც გამოჩნდი პატარავ,
ნეტარობს გულის სიმებიც;
საქართველოს რომ ეზრდება
ბიჭი, – სამშობლოს იმედი.

როლანდ გიორგაძე

ყვირილზე ყანის ბოლოდან თმაშეკრული ჯაბუკი გამოხტა, წამიერად შეყოვნდა, მერე თოხი შორს გასტყორცნა და გაკოფებულ ეზენს წინ გადუდგა. ეზენმა ფეხებით ჰაერი დატორა და ფლოქვები მინას დასცხო. ბიჯმა პატარა შეყოვნებით ისარგებლა და ეზენს კისერზე ჩამოეკიდა. დამფრთხალმა და ქანცგამოლილმა გოგომ თავი ველარ შეიმაგრა და სიმინდის ზღვაში გადაეშვა. ჯაბუკი გოგოსთან მიიჯრა, ფრთხილად გადმოაბრუნა... ტკივილისგან კი არა, სირცხვილისგან ალანძული, ნუკრივით დამფრთხალი გოგოს ცრემლების გუბიდან ორი გიშერი იმზირებოდა... გადარჩა, გაიფიქრა ბიჯმა და ღიმილადქცეულმა თავისი ზეკოსავით კრიალა თვალები შეანათა.

როლანდ გიორგაძე

ტილოზე ამოქარგული მზე

ვუძღვნი მეუღლეს მარინე ტორონჯაძეს

საიმედო ვერაფერი უთხრეს – მედიცინას გასაოცარი მიღწევები აქვს თვალის დაავადებათა თანამედროვე მეთოდებით მკურნალობაში და ეს უწყვეტი პროცესიაო. კიდევ ბევრი რამ თქვა ექიმმა. ოთარი ზრდილობის გამო უსმენდა. მისთვის ყველაფერი ნათელი იყო – ყველაზე უარესისთვის უნდა მომზადებულიყო. იმ დღიდან მოყოლებული ცდილობდა თვალდახუჭულს ევლო. ნაბიჯებით ზომავდა მანძილს სახლიდან ავტობუსის გაჩერებამდე, ბაღში ტოტებგაშლილ, უზარმაზარ ხის ძირას ჩაბეტონებულ ძელსკამამდე. სახლში ყველა ნივთს აკვირდებოდა, წვერსაც კი თვალდახუჭული იპარსავდა. ჯერჯერობით მთლად საგანგაშოდ არ ჰქონდა საქმე, მაგრამ ფერთა გამაში თეთრი ფერი გაბატონდა და ეს უკვირდა ექიმს, იშვიათი შემთხვევაა ჩემს პრაქტიკაშიო, უფრო სიმუქეს უჩივიანო. არ უნდოდა მწარე ხვედრს გულხელდაკრეფილი შეხვედროდა. გულში კი გაივლებდა, იქნებ დავასწრო ამ განსაცდელს და მზერადაუშრეტელი გავიდე სააქაოდანო. ყველაფერი ღვთისგანაა, მის ნებას ვინ გადაუვაო. თხოვნაც კი ერიდებოდა, რა წმინდა ცხოვრებით მე მიცხოვრია ჩემი თხოვნა ღმერთმა რომ შეისმინოსო. დღეებს დაეშურა, ადრიანად გადიოდა სახლიდან, ათვალიერებდა არემარეს. დიდხანს შესცქეროდა ცის თაღს, მზეს, იმახსოვრებდა ფერებს, დაჟინებით აყურადებდა ფოთოლთა შრიალს, ფრთოსანთა მხიარულ ჟივილ-ხივილს და ცდილობდა ჩიტები ჭიკჭიკის მიხედვით გამოეცნო.

იმ დღესაც ადრიანად დაადგა გზას, ბაღამდე ათასი ნაბიჯი იყო. პატარა შადრევანთან ჩამოჯდომა უყვარდა, რომლის მოჩუხჩუხე ნაკადში ბელურები ბანაობდნენ ხოლმე. ჩაიყურყუმელავებდნენ, მერე ფრთებზე გადავლებულ წყალს დაიფერთხავდნენ და სივრცეში გაიჭრებოდნენ, ბაღს წრეს დაარტყამდნენ და ხეზე ჩამოსხდებოდნენ. შადრევანთან მის სათაყვანო შაშვს თვალი ვერ მოკრა. შაშვის გალობა ყველაფერს ავიწყებდა. იჯდა გარინდებული და მოგონებების უკიდეგანო სივრცეში ინთქმებოდა...

* * *

ქალი დიდხანს იჯდა სარკესთან. ცივი შუშიდან არეკლილი ორეული შესცქეროდა, დაჟინებით უმზერდნენ ერთმანეთს. დანანებით გადაიქნია თავი. მერი შერვაშიძის ფოტოს დაჰყურებდა ხშირად. უკვირდა, როგორ შეინარჩუნა ღრმა სიბერემდე მომხიბვლელობა და მოხდენილობაო. მას კი თმა არასოდეს შეუღებავს. უცნაური, ვერცხლისფერი კი არა, უფრო ფერფლისფერი შეფერილობის თმა ახალგაზრდობიდან გამოჰყვა, რომელიც შინაგანად თბილს, ამაყ და გოროზ იერს აძლევდა და მის მიმართ კრძალვით განგაწყობდა. კიდევ ერთხელ შეავლო თვალი ორეულს, აქნილ წარბებზე თითები გადაისვა და წამოდგა. შარვალი თუ კაბა? შარვალი ამჯობინა, უფრო დამაჯერებლად გრძნობდა თავს. ისევ მოხდენილად დადიოდა, თვალსაც კი გააყოლებდნენ ხოლმე... ქალი ეზოში გამოვიდა და ნაცნობ გზას დაადგა.

ამას წინათ ქუჩაში მიდიოდა. მოზრდილი გოგონები შეეფეთნენ. თამამად ჩაცმულნი, მოშილიფებულნი. ფეხი შეანელეს და ცნობისმოყვარეობით ახედეს, ჩაიფრუტუნეს და გადაიკისკისეს. ყურში მოესმა, როგორ თქვა ერთმა – მოხდენილად კი გამოიყურება, მაგრამ მის ასაკში შარვალი მეტისმეტიაო. ჰმ, ჩაიცინა, ერთი პირველთაგანი იყო ვინც შარვლით შეიმოსა. ეჰ გოგოებო, მოვა დრო და მიხვდებით, რომ თითოეული ადამიანი წაუკითხავი წიგნია და ყველას როდი ხელეწიფება მისი წაკითხვა.

* * *

ზაფხულის ხვატი იდგა, ჰაერი არ იძვროდა. მიუხედავად აუტანელი სიცხისა მკვირცხლად ამოირბინა აღმართი. მდინარეში ნაბანავებს სველ ტანზე მიკვროდა სამოსი. ბეჭებზე დაცემულ თმებსაც ვერ მოესწრო გაშრობა. ქვაყუნციასთან ღარის წყალს დაეწაფა, გული გაიგრილა, მერე სახეზეც შეისხა და აღმართს აუყვა. მაღლობიდან ამაყად იმზირებოდა ორსართულიანი ოდა სახლი. პირველი სართული ქვითკირისა იყო, მეორე სართული მთლიანად წაბლის ხის, რომელიც განსხვავებულ, მისთვის დამახასიათებელ სურნელს აფრქვევდა, სასიამოვნოს. სახლში არავინ იყო. კიბე აირბინა. ბევრი ლხინისა და ქეიფის მომსწრე აივანი ისეთი გრძელი იყო ას კაცს თავისუფლად უმასპინძლებდა. აივნიდან თვალწარმტაცი ხედი იშლებოდა მდინარე უძინარას ხეობაზე თავისი მაღლობებითა და დაბლობებით, ყანებითა თუ ვენახებით. ჩამოჯდებოდა აივანზე თოთხმეტი წლის ახტაჯანა, ობოლი გოგონა, რომელსაც არც მამა ახსოვდა, არც დედა – მამა ომმა შეიწირა, დედა დარდმა. შეუხორცებელი იარა მის გულში ვერც დრომ და ვერც ასაკმა შეახორცა. თავისი სამყარო ჰქონდა და მის სამყაროში არავის ახედებდა. ბაბუა თუ გამოაფხიზლებდა და ირეალურიდან გამოიყვანდა: არ გადმოვარდე, არ დამღუპო შვილო, აივნის მოაჯირი ცხენი ხომ არ არის, რომ შემოსკუპებულხარო. ყველა სურვილის შემსრულებელი ბაბუა მხოლოდ თოფთან მიახლოებას უკრძალავდა. ცნობილი მონადირე იყო ბაბუა. იმ საშინელი ომის, შიმშილისა და სიდუხჭირის დროს იმდენი ნანადირევი მოჰქონდა მეზობლებსაც კი უნაწილებდა... თოფი ქალის საქმე არ არისო – იტყოდა ხოლმე და თვალისჩინივით უფრთხილდებოდა, – ბაბუაჩემის ჩამოტანილია ტრაპიზონის ომიდანო. გოგოს კი ანდამატივით იზიდავდა იარაღი, ერთი სული ჰქონდა ხელი შეევლო. ჩქარი ნაბიჯით გადაჭრა აივანი და დიდ ოთახში შევიდა. მოპირდაპირე კედელზე გაკრულ უზარმაზარი ხალიჩიდან ამაყად შემოსცქეროდა ქორბუდა ირემის დატოტვილი თავი. აქვე ეკიდა ხმალი, ხანჯალი და მისი სანუკვარი ორლულიანი სანადირო თოფი. მიუახლოვდა, ფრთხილად მიიდგა სკამი და საოცნებო ნივთი კედლიდან ჩამოხსნა. ემძიმა, კონდახზე ფრთხილად ჩამოუსვა ხელი, თითქოს ეალერსებოდა. ძირს დაუშვა, ამოაბრუნა და ლულაშიც ჩაიჭყიტა. მერე ჩახმახსაც შეავლო ხელი და აივანზე გავიდა. მერცხლების გაუთავებელი ჟღურტული ისმოდა. გოგონამ თოფი შემართა, ბაბუასავით მხარზე მიიყრდნო, ნიკაპიც მჭიდროდ მიაბჯინა. უხილავ მტერს მიაძახა: ბუჰ, ბუჰო! მერე რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და მისდაუნებურად სასხლეტს ხელი გამოჰკრა. იქუხა, რასაც თვალი შეასწრო ლულიდან გამოვარდნილი ალი იყო. საშინელმა ტკივილმა ძირს დასცა და

მხატვარი სოფიო ჭელიძე

გონი დაკარგა. თოფის ქუხილზე ყანიდან მომავალი ბაბუა მოვარდა. ნატყვიარს მერცხლის ბუდე ნაფლეთებად ექცია და რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, აივნის წინ აშოლტილ მსხლის ხიდან ყვავიც გადმოეგდო. კარგა ხანს გაყვა მხრისა და ყბის ტკივილი.

* * *

მიუყვებოდა გზას მოხდენილი ასაკოვანი ქალი და ფიქრებს ელაციცებოდა. რა ქარმა გადმოაგდო ნეტავ ეს კაცი ჩემი ადგილი რომ დაუმისებია? თვითონაც არ იცოდა, რატომ არ ჩამოისვენა ამოჩემებულ სკამზე. მოერიდა იმ მამაკაცის, რომელიც მხცოვანების ბილიკს შესდგომოდა. საკმაოდ მოხდენილი კაცი იყო. თითქმის ყოველდღე ხედავდა. იმ დღეს თვალებით შეეფეთა. შედრკა. სხეული ურჟოლამ მოიცვა. სწრაფად დახარა თავი და რომ არ წაქცეულიყო სკამზე ჩამოესვენა. კაციც შეცბა. კვლავ ქალს შეავლო მზერა. შეუძლებელია... ბედისწერად ქცეული, ცრემლის ტბაში მოტივტივე ორი გიშერი. სწრაფად წამოდგა და ფეხარეული აგურისფრად მოკირწყლულ ბილიკს გაუყვა. ქალი კარგა ხანს იყო გაოგნებული. წარსულიდან მომზირალმა ნაცნობმა თვალებმა ისეთი თრთოლვა მოჰგვარა, როგორც შორეულ ყმაწვილქალობაში. აფორაჯებულმა და აფორიაქებულმა თავი ჩაღუნა, თავისდაუნებურად წარბებზე ცერა თითები გადაისვა. უკან მიიხედა,



როლანდ გიორგაძე

სიყრმეს მიაპყრო მზერა და იქაურობა კარგად მოჩხრიკა. ნუთუ ის არის?!

* * *

მზეს ჯერ კიდევ ვერ მოეკრიბა ის ძალა, საჩრდილობელს რომ მოგაძებნინებს. სისხამზე სიმინდს ნამბული დჰკრავს, მიწასაც დაანოტიოებს და ყანაც ადვილად ითოხნება. არაფერი ისე არ ართმევს კაცს არაქათს როგორც თოხი, ოფლს ღვარად დაგადენს. ყველა სათოხარში იყო გაკრეფილი. ზღვასავით ლივლივებდა წელამდე ამოზიდული სიმინდის ყანა. თინიკო კი სახლის მეთვალყურედ იყო გამწესებული. დილის საქმეები მოითავა, ქათმებიც დააპურა და ღორიც გადააბა. ახლა თავის საყვარელ აივანზე, სკამზე იჯდა. ბაბუამ გააფრთხილა, აივანის მოაჯირზე შემომჯდარი აღარ გნახოო. წელს სკოლას ამთავრებ, გასათხოვარი გოგო ხარ უკვეო. რას ამბობ ბაბუ, სანამ ჩემი პრინცი არ ჩამოიგელვებს და აივნიდან არ მომიტაცებს სახლიდან ფეხის გამდგმელი არა ვარო – უპასუხებდა კისკისით. ვატყობ, დიდი ლოდინი არ დაგჭირდება, შენ რა გიჭირს, მე რა მეშველება უშენოდო. შენც თან წაგიყვან ბაბუკელა, შენ როგორ დაგტოვებო და კისერზე ჩამოეკიდებოდა ბერიკაცს. იჯდა ღიმმორეული, იდაყვებზე თავჩამოყრდნობილი და ნაცნობ პეიზაჟს გასცქეროდა. მზე უშურველად აფრქვევდა მწველ სხივებს ცისქვეშეთს. მერე კი ყველა სხივი ერთ დიდ კონად შეკრა და მდინარეში მოელვარე სვეტივით ჩაუშვა. ცოტა ხანში წყალი აფუთფუთდა, ამოდუღდა და მთელი ხეობა რძისფერ ნისლში გაეხვია... ყმაწვილი ქალი უცნაური ზმანებიდან ცხენის ჭიხვინმა გამოიყვანა. თავი წამოსწია. ეს ხომ მერცხალაა, ნეტავ მარტო რად მოვიდა? სადაა დედამისი? დედა მართლაც რომ დინჯი ჰყავდა. იმდენად უწყინარი და მშვიდი, ფაშატს დინჯა შეარქვეს. თინიკოც არაერთხელ ამხედრებულა დინჯაზე, – შეკაზმულზეც და უბელოზეც. მაგრამ გამორჩეულად მაინც მერცხალა უყვარდა – ყორანივით შავი ულაყი, თითქმის მის ხელში რომ გაიზარდა. არაფერს არ აკლებდა, ბანდა, ასეირნებდა. ნატეხი შაქარი სულ ჯიბეში ედო და მალულად აჭმევდა, იმიტომ რომ ბაბუა უშლიდა – კბილებს გაუფუჭებსო. დაინახავდა თუ არა ცხენი ჩიჩვირით ჯიბეში უძვრებოდა. თინიკოც შემოეხვეოდა ყელზე და ფაფარს უვარცხნიდა, ხან უწნავდა. განუყრელი მეგობრები იყვნენ. ბაბუამ ბოლო დროს მის გახედნაზე დაიწყო საუბარი. ჯერ უნაგირს უნდა შეეჩვიოსო. რამდენჯერმე შეეცადა აღეკაზმა უნაგირით, მაგრამ არ იგუა. თრთოდა, ჭიხვინებდა, ყალყზე დგებოდა, კინაღამ ღობეები დალეწა. ბაბუა იცინოდა და ამბობდა: რამდენიც არ უნდა იხტუნოს მაინც მოუწევს თავის ხვედრთან შეგუებაო... მაგრამ მე აღარ შემიძლია, კარგი ვაჟკაცი უნდაო... თინიკო გულში ფიქრობდა: რაღა ვიღაც უცხო უნდა შეასკუპდეს ჩემ გაზრდილ ცხენსო. მე ვიქნები პირველი, პირველობას არავის დავუთმობო. გაიხედ-გამოიხედა, არავინ ჩანდა. ამაზე ხელსაყრელი დრო არ მექნებაო და ეზოში ჩაირბინა.

– მერცხალ, მერცხალ! – დაიძახა. ულაყმა ყურები ცქვიტა. ჩაიხვიხვინა და თინიკოს მიუახლოვდა.

– აი, ჩემი საჩუქარი, ჩემო ლამაზო, – თინიკომ ერთი მუჭა ნატეხი შაქარი გაუწოდა. ცხენმა ხრაშახრუში აუტეხა ნუგბარს, – ხომ ხედავ, მე ყველანაირ სურვილს გისურლებ, ახლა შენც უნდა შემისრულო, მე უნდა ვიყო ის პირველი, ვინც შენზე ამხედრდება.

თითქოს რაღაცის მოლოდინში ცხენი აცახცახდა. თინიკომ ისიც კი გაიფიქრა, ხელი ხომ არ ავიღო ჩემს განზრახვაზეო, მაგრამ ეს იყო წამიერი ორჭოფი. ცხენს მიუახლოვდა, თვალებზე ეამბორა, ფაფარი გადაუვარცხნა, ხელი კისერზე მოუთათუნა და მერე ელვის უსწრაფესად ზურგზე მოექცა. ცხენი ჯერ გაოგნდა, მერე ყალყზე დადგა, დაიჭიხვინა, ადგილიდან უსწრაფესად მოწყდა და ხის დაბალ ჭიშკარს გადაევლო. გოგო ჭინკასავით ჩააფრინდა ფაფარში, ფეხები შემოასალტა და კისერზე გაწვა. ერთსხეულად ქცეულნი ქარზე უსწრაფესად მიფრინავდნენ. თავქვე მიმქროლავ გოგონას უფრო და უფრო უჭირდა თავის შემაგრება. როგორმე უნდა შევაჩერო, როგორმე უნდა შევაჩეროო! რეკდა გონება. ქვიან შარაზე გადმოვარდნა სიკვდილის ტოლფასი იქნებოდა. ცხენი კი ყოველნაირად ცდილობდა აბეზარი ტვირთისგან გათავისუფლებას. გაცდა თუ არა ორღობეს ცხენი თქარათქურით მწვანედ აბიბინებულ ყანებს შორის გაწოლილ საურმე გზას დაადგა. ყანების ბოლოს დიდკლდოვანი ხევი იყო, საიდანაც მდინარე უძინარას შემზარავი ხაფი ხმა და გუგუნი ისმოდა. გოგო შიშმა შეიპყრო, ცხენის შეჩერების არანაირი ძალა აღარ გააჩნდა. განწირულმა რამდენჯერმე დაიკივლა – მიშველეთ! მიშველეთო! მემორადეები* კანტიკუნტად გამოვიდნენ ყანიდან. ტყვიასავით ჩაიქროლა ულაყმა. ცხენი საბედისწერო ხევს უახლოვდებოდა. თავზარდაცემული, საძრაობადაკარგული გლეხები შიშით შესცქეროდნენ თავაწყვეტილ ულაყს, საკუთარი უილაჯობით დათრგუნვილნი მხოლოდ ხელებს ასავსავებდნენ

* მორადი – ყანის მეორედ გათოხნა

და ხმამაღლა გაჰყვიროდნენ... ყვირილზე ყანის ბოლოდან თმაშეკრული ჭაბუკი გამოხტა, წამიერად შეყოვნდა, მერე თოხი შორს გასტყორცნა და გაცოფებულ ცხენს წინ გადუდგა. ცხენმა ფეხებით ჰაერი დატორა და ფლოქვები მიწას დასცხო. ბიჭმა პატარა შეყოვნებით ისარგებლა და ცხენს კისერზე ჩამოეკიდა. დამფრთხალმა და ქანცგამოცლილმა გოგომ თავი ვეღარ შეიმაგრა და სიმინდის ზღვაში გადაეშვა. ჭაბუკი გოგოსთან მიიჭრა, ფრთხილად გადმოაბრუნა... ტკივილისგან კი არა, სირცხვილისგან ალანძული, ნუკრივით დამფრთხალი გოგოს ცრემლების გუბიდან ორი გიშერი იმზირებოდა... გადარჩა, გაიფიქრა ბიჭმა და ღიმილადქცეულმა თავისი ზეცასავით კრიალა თვალები შეანათა. შუბლიდან სახვევი მოიხსნა, საფეთქელთან ახლოს გამოჟონილი სისხლი ფრთხილად მოწმინდა. შუბლზე ხელი გადაუსვა და ჩამოშლილი თმები უკან გადაუწია, მერე კი ფრთხილად შეუკრა. ხელის შეხებისას გოგოს უცნაურმა ჟრუანტელმა თხემით ტერფამდე დაუარა. იწვა დარცხვენილი და გარინდებული. ოფლიანი თავსახვევის სუნი ცხვირს უწვავდა და მისდა გასაოცრად ზიზღის ნაცვლად რაღაც გამოუცნობ ბურუსში ხვევდა. ეს არ იყო მარტო ოფლის სუნი, მას კიდევ რაღაც სხვა სურნელი ახლდა, რომელმაც მისთვის შეუცნობელ სამყაროში გადაისროლა...

* * *

ფეხარეულ კაცს დიდხანს არ უვლია. საშინელმა მოთენთილობამ შეიპყრო. არ წავიქცეო, გაუელვა გულში. მტირალა ტირიფს შეაფარა თავი წვრილი ტოტები ქალის თმასავით რომ ჩამოშლოდა. ძელსკამზე ჩამოჯდა, ბეჭებით საზურგეს მიესვენა. ასევე ჩამოშლოდა გოგოს იმ საბედისწერო დღეს სახეზე თმები, რომლის მიღმა, ცრემლებში მობანავე ორმა გიშერმა სააქაოს მოსწყვიტა ბიჭი. ვერც ვერასოდეს დაივიწყა. რომ არა ის შემთხვევა, ნეტავ როგორ წარიმართებოდა მისი ცხოვრება?

* * *

ხომ შეეძლო ცხენს ოთარი გადაეთელა? სად იყო ფიქრის დრო, განწირულმა ყვირილმა გამოაგდო ყანიდან და რაც შემდეგ მოხდა ღვთის სასწაულად მიიჩნია. არც ხალხის შეძახილები ესმოდა, ვერც თვალცრემლიან მოხუცს ხედავდა, რომელიც გულში იკრავდა. ვაჟკაცის სახელი გაუვარდა. დიდი ლხინი გადაიხადა თინიკოს ბაბუამ. თინიკო მეზობლის ქალებთან ერთად სუფრას ემსახურებოდა. გამომშვიდობებისას თინიკოს ბაბუამ, გერასიმემ შვილიშვილს დაუძახა – შენ გადამრჩენელს, ჩვენ გადამრჩენელს მადლობა უთხარი შვილო, მადლობა უთხარი რომ არ დავიღუპეთ და გამწარებული არ გამიშვა სამარეში. ოთარს მისი მადლობა რად უნდოდა, თვალები ისედაც ყველაფერს ამბობდნენ. მოსაუბრეებს მეზობლის ენაკვიმატი ქალი ფოტინე მიუახლოვდა, ხელში თეფშები ეჭირა და პირველი სართულისკენ მიემართებოდა. სანამ კიბეს დაუყვებოდა თავი მოსაუბრეებისკენ მოაბრუნა და სიცილგარეული ხმით თქვა: გერასიმე, გერასიმე, ბედი კარზე მოგდგომია, ხელი არა ჰკრაო! ბაბუას უცბად არ უპასუხნია, პირველად სახე შეეკუშტა, მერე ღიმილმა გადაკრა და უპასუხა: ეჰ, ფოტინე, ფოტინე, აქამდე უბრად იმიტომ იყავი ეგ რომ გეთქვა? მარტო მე კი არა მთელი სოფელი ასე ლაპარაკობს, უკეთეს სასიძოს სად იპოვისო. ახალგაზრდებს ალმა გადაჰკრათ სახეზე, უხერხულობისგან აღარ იცოდნენ საით გაეხედათ. ისევ ბაბუამ განმუხტა სიტუაცია. რა დროს სიძე-მაყრობაა ფოტინე, ესენი ხომ ჯერ ბავშვები არიან! პატარა პაუზის შემდეგ კი დაამატა: ხომ გაგიგონია ადამიანთა ბედი აქ კი არა ზეცაში წყდება, ზეცაში... მეტი არაფერი უთქვამს. უკან შებრუნდა და სუფრაზე შემორჩენილ მოქეიფე სტუმრებისკენ გაემართა. თინიკომ ჭიშკრამდე გააცილა სტუმარი. დამშვიდობებისას ოთარმა ხელი გაუწოდა. მის ვაჟკაცურ ხელში გოგოს ნაზი თითები ბელურასავით აფართხალდა. მხოლოდ ორი სიტყვა უთხრა – მალე განახავო და თავქვე დაეშვა. თინიკოს ხელი ისე უხურდა გეგონებოდა ნაღვერდალში შეეყოო. უცნაური გრძნობისაგან აფორიაქებულმა სირბილით გასწია სახლისკენ.

* * *

ოთარმა ხელები მოიფშვნიტა, მუხლებზე დაიკრა და ფეხზე წამოდგა. გამოვიდა ტირიფის კორომიდან, მიიხედ-მოიხედა, დეკორატიულ ქვის კედელთან მოწანწკარე წყალი შენიშნა, ახლოს მივიდა და ცივი წყალი სახეზე შეისხა, მერე დაეწაფა, გული გაიგრილა და ისევ ტირიფის კორომში შეძვრა. ჩამოჯდა, თავი ჩაქინდრა და გაწყვეტილ ფიქრს აედევნა.

* * *

ოთარი მეზობელ სოფლიდან იყო, დედულეთში ბებიასთან და ბაბუასთან ხშირად ჩამოდიოდა, მარტოდ დარჩენილ მოხუცებზე ზრუნავდა და ეხმარებოდათ.

იმ წელს მისაღები გამოცდები უნდა ჩაებარებინა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ფილოლოგობას აპირებდა. დავბრუნდები სოფელში, ოჯახს შევქმნი და მასწავლებლად ვიმუშავებო. სამხედრო სამსახურში მოულოდნელმა გაწვევამ მთელი ცხოვრება აურია. თინიკოც კი

ვერ ნახა. გზიდან წერილი მოწერა და სიყვარულიც წერილით გაუმხილა. სამწლიანი განშორება ადვილი არ იყო.

სამხრობისას ცაგო თინიკოს ჭიშკარს მიუახლოვდა და დაიძახა:

– თინიკო! თინიკო!

პირველ სართულზე სამზადის ორნამენტებიანი, წაბლის მძიმე კარი გაიღო და თმაშეკრულმა თინიკომ გამოიხედა.

– ცაგო ბიცოლა, აქ რას დგახარ, შემოდი! – შინ შეიპატიჟა მასპინძელმა.

– სად მცალია გოგო, ისეთ დღეში ვარ ცეცხლი მიკიდია, სტუმრები ჩამომივიდნენ დედაქალაქიდან, მეტად საპატიო სტუმრები, არ მინდა რომ შევრცხვე, უნდა დამეხმარო. მერე მე ვიცი შენი პატივისცემა, – არ ცხრებოდა ცაგო. – მეტად საპატიო სტუმრებია, საკადრისად უნდა დავხვდეთ.

– ცაგო ბიცოლა, რა პატივისცემაზეა ლაპარაკი. სიმინდის ფქვილს ვცრიდი, ბაბუასთვის ჭადები მინდოდა გამომეცხო.

– რა დროს მჭადებია, – არ დაამთავრებინა ცაგომ, – საღამოსთვის სუფრა გვექნება. რა თქმა უნდა, ბაბუაც დაპატიჟებულია. კარგად გამოიპრანჭე, ქალაქელი გოგოებია, ერთი მზეჭაბუკცაა, თვალი უნდა დავუყენოთ გოგო, თვალი! – ეშმაკურად გაიღიმა, მხრები შეარხია, თავი მაღლა ასწია და წარბებიც აძგიბა.

– კარგი, ცაგო ბიცოლა, დაგეხმარები. – ცოტა შეცბუნებულმა უპასუხა თინიკომ.

საღამოს გერასიმე შვილიშვილთან ერთად მეზობლის ოჯახს ესტუმრა. დიდებული, ნამდვილი ქართული სუფრა იყო გაშლილი. ქალაქიდან არცთუ ისე ბევრი სტუმარი იყო ჩამოსული – ოცდაათს გადაცილებული მამაკაცი, მისი ორი და, და ბაბუას ტოლი მხცოვანი მამაკაცი – მათი მამა. კარგად მოილხინეს. ახალგაზრდა მამაკაცი მისდა გასაკვირად ძალიან მალე გაუშინაურდა, უმრავ რამეს ეკითხებოდა და ისიც გულუბრყვილოდ ყველაფერზე პასუხობდა. რამდენჯერმე მოხუცი კაცის მზერა დაიჭირა, მუშტრის თვალით რომ ათვალიერებდა. არ ესიამოვნა, მოიწყინა და სახლში წასვლა დააპირა.

– ბაბუ, ბაბუ, – მკლავში ხელი მოჰკიდა და ყურში ჩასჩურჩულა – სახლში მინდა წასვლა.

– რას ლაპარაკობ შვილო, სირცხვილია, თუ პატივისცემაა ოჯახს ბოლომდე უნდა ვცეთ პატივი, ასეთია ბაბუა სუფრის წესი.

ლხინი გახურდა. ცელქმა ცოლიკაურმა ყველა გაახალისა და ისედაც თბილი ატმოსფერო კიდევ უფრო დაათბო. სიმორცხვის და უხერხულობის გუშაგებმაც მიიძინეს. ახალგაზრდა კაცი გიტარას დასწვდა და ქალაქური მელოდია დაამღერა. ვერაფერს იტყვი, საუცხოოდ მღეროდა. მოხდენილი კაცი იყო, შავგვრემანი და შავთმიანი, ლამაზად ჩაწიკწიკებული თეთრი კბილებით. უხდებოდა ღიმილი, რომელიც სახეს სანდო იერს აძლევდა. თინიკომ რამდენჯერმე მისი მზერაც დაიჭირა. შეკრთა, დაირცხვინა და ლხინის დამთავრებამდე მისკენ აღარც გაუხედავს. დაახლოებით ერთი კვირა დარჩნენ სტუმრები და ერთი კვირა ეხმარებოდა თინიკო ცაგოს. ახალგაზრდა კაცს თენგიზი ერქვა, მის დებს – ია და ეკა. ია გვერდიდან არ შორდებოდა თინიკოს და საქმიანობაში ეხმარებოდა. ათას რამეზე საუბრობდნენ, უფრო სწორად ია საუბრობდა. ხანდახან მოხუცი კაციც ჩაერეოდა და თავის ჭროღა, მჩხრეკავი თვალებით შიშს ჰგვრიდა თინიკოს. ერთი ორჯერ ბიჭიც ჩაერია, ლამაზი ქართულით საუბრობდა. ჰკითხა ისე, სასხვათაშორისოდ, სკოლა როდის დაამთავრეთო. ეს იყო და ეს. კვირის ბოლოს ცაგოს სტუმრები ქალაქს გაემგზავრნენ.

თინიკოს ყველაზე დიდი სიხარული ოთარის წერილის მიღებისას ეუფლებოდა. მიუხედავად იმისა, რომ უჭირდა მისთვის მოულოდნელი გაქრობა ეპატიებინა. ჩემს უნახავად როგორ წავიდა, ყველაფერი უნდა ეღონა რომ ვენახეო.

ამ ამბიდან არც თუ ისე დიდი დრო იყო გასული, ბაბუამ თინიკოს რომ უთხრა: ბაბუ, თუ სადმე გახვალ დროულად დაბრუნდი, უნდა ვისაუბროთო. შეფიქრიანებული ჩანდა ბაბუა. თინიკოს გაუკვირდა:

– ბაბუა, რა სასაუბრო გაქვს, ახლავე მითხარი, საღამომდე რა გაძლებს. თუ კარგი ამბავია ახლავე მითხარი, საჩუქარი მიყიდე? – არ ისვენებდა თინიკო. – არ მითხრა ახლა ველოსიპედი გიყიდეო.

– ხომ არ დაგავიწყდა შენ ქალი რომ ხარ, მთელ სოფელში გინდა მომჭრა თავი? – ბაბუა სასტიკ უარზე იყო, – ჯერ იყო და ცხენით კინაღამ დამღუპე, ახლა კიდევ ველოსიპედი? არა ბაბუ, ველოსიპედი არაა ქალის საქმე, ვინ დადის ჩვენთან ველოსიპედით. მხოლოდ ქალაქში ვნახე ვიღაც ქალი ველოსიპედით რომ დადიოდა, იქაც უამრავი ცნობისმოყვარე უცქერდა.

– კარგი ბაბუ, რა გაეწყობა, შენზე უკეთესი მოსაუბრე ვინ მყავს, შენთან საუბარი ყოველთვის სახალისო და სასიამოვნოა. გადავდებ ყველა საქმეს, არ ვნახავ არც ლელას, არც მაგდას და საღამოს ვისაუბროთ, ისე როგორც ბავშვობაში ზღაპარს რომ მიკითხავდი, – თქვა ღიმილმორეულმა. – შევთანხმდით ხომ, წავედი ახლა მე, ერთი სული მაქვას როდის მოვა საღამო, ცნობისმოყვარეობა მკლავს.

– წადი ბაბუ, წადი!

თინიკომ შენიშნა ბერიკაცს თვალები დანამოდა. ცხოვრებისაგან სვებედგამწარებული და გულგაკერპებული მხოლოდ ერთხელ ნახა ცრემლიანი. ცხენიდან რომ გადმოვარდა, მაშინ. ნეტა რა ხდება?

ვახშმობის შემდეგ ბაბუა აივანზე გავიდა, სკამზე ჩამოჯდა, თინიკოს მოუხმო და უცნაურად დაიწყო:

– რა მშვენიერია ბაბუ სამყარო, რა მშვენიერია ჩვენი კუთხე, ამაზე უკეთეს სამოთხეს სად ნახავ, – მერე ცოტა შეყოვნდა, გულისჯიბიდან პრიმის კოლოფი ამოიღო, ძლივს გახსნა. ხელები უკანკალებდა, ეტყობოდა რომ ძალზე ღელავდა. ერთი ღერი ამოიღო, მოუკიდა და გააბოლა, – ლამაზია ბაბუ წუთისოფელი, მაგრამ ამასთან ერთად მაცდური და დაუნდობელი, – ისევ შეყოვნდა, ჩაფიქრდა. ცოტა ხანში სახეზე ღიმილმა გადაჰკრა და გააგრძელა, – გახედე ერთი უძინარას ხევს, მზე როგორ გადაგორდა მთის მიღმა, რა ფერებია, გეგონება მთის თავს ალმური ასდისო.

უკვირდა თინიკოს, ადრე როგორც ბავშვს ისე ესაუბრებოდა, ახლა კი როგორც მის ტოლს. რაღაც მნიშვნელოვანი ხდებოდა მის ცხოვრებაში. სკამი ბაბუასთან მიაჩოჩა და სმენად იქცა.

– შეხედე ბაბუ, შეხედე, რა სილამაზეა. სიკვდილი იმიტომ უჭირს ადამიანს ამ სილამაზესთან განშორება რომ უწევს. ერთი რამე გახსოვდეს კარგად, ისე არაფერი აბრძენებს კაცს, როგორც ეს ტიალი წუთისოფელი.

– რა იყო ბაბუ, რა გაოცებული მიყურებ? – შვილიშვილი შიშმა შეიპყრო.

– მოიწი, აქეთ მოიწი და კარგად მომისმინე. ოღონდ არ შეშინდე, ჭკვიანი კაცის ნათქვამია, შიში დროის უქმი დაკარგვაა. ბაბუაშენს იმდენი რამე აქვს ნანახი და განცდილი შიშის გრძნობა კარგა ხანია დაკარგა და არც მეგონა თუ ოდესმე გამახსენებდა თავს. ექიმთან ვიყავი, სასიკეთო ვერაფერი მითხრა, გარდაუვალზე მიმანიშნა მხოლოდ. თავს გაუფრთხილდიო, ნაკლები ჯაფა და მეტი დასვენებაო. სიკვდილს ვინ გაქცევია ჩემო პატარა, მაგრამ არ მეგონა თუ ასე ახლოს დაძრწოდა. სიკვდილის არ მეშინია, შენს გამო შემომეპარა შიში. ყველაფრისთვის მზად უნდა იყო.

თინიკოს ცრემლი წასკდა.

– ბაბუ! ყველა უბედურებამ ჩემთვის რატომ მოიცალა, ნეტავ რით მოვხიბლე? დედა მე არ მახსოვს და მამა, არც მათი ალერსი და ჩახუტება. მათ ჯავრს ბებიაც გადაჰყვა, ნუთუ საკმარისი არ არის? ნეტავ კიდევ რა მელოდება წინ? შენ იყავი ჩემი ბურჯი და იმედი და შენც მტოვებ? მე რა გამაძლებინებს, ვის უნდა შევეკედლო?

– ჰოდა, მაგაზე მინდა დაგელაპარაკო ჩემო ერთავ და ჩემო ანგელოზო. ოღონდ მშვიდად მომისმინე და მერე მშვიდად გადავწყვიტოთ. ცაგოსთან რომ სტუმრად ოჯახი იყო ჩამოსული, ხომ გახსოვს? – პატარა ხანს ჩაფიქრდა, სახეწამოწითლებულმა ღრმად ჩაისუნთქა და პირგამშრალმა ძლივს ამოთქვა, – იმ ოჯახს რძლად უნდიხარ. ხო, რძლად ბაბუ, რძლად. კარგი ოჯახი აქვთ, შეძლებულებიც არიან და ეს ცოტას არ ნიშნავს. დედაქალაქში ცხოვრობენ, შენს სწავლა-განათლებაზე ისინი იზრუნებენ. არაფერს არ მოგაკლებენ. სასიძო არ არის ურიგო ბიჭი, არც შეხედულება აკლია და არც ჭკუა-გონება. ხელის გულზე ეყოლები, – ჩქარა ლაპარაკობდა ბაბუა, უნდოდა სათქმელი სწრაფად ჩაეთავებინა. გაოგნებულმა გოგომ, რომ არაფერი თქვა, თავჩაღუნულმა განაგრძო, – ვიცი არ არის ადვილი გადასაწყვეტი. იფიქრე ხვალამდე, ისე კი იცოდე, მე დამშვიდებული მაშინ გავალ ამ ქვეყნიდან, როცა მეცოდინება რომ შენ თავშესაფარიც გაქვს, ოჯახიც და სარჩო-საბადებელიც. ვიცი ბაბუ, ვიცი და ვიხედები შენს გულში, სიყვარულზე დიდი და ამაღელვებელი გრძნობა ამქვეყნად არ არსებობს, დიდი ბედნიერებაა სიყვარულით შექმნილი ოჯახი, მაგრამ ცხოვრებას თავისი უცნაურობები ახასიათებს, რომლის ამოხსნა ყოველთვის არ ხერხდება. ჩვენს სოფელში ოჯახების უმრავლესობა გაცნობა-გარიგებითაა შექმნილი, სადაც თვალისჩინივით უფრთხილდებიან ოჯახის სიწმინდეს, სიმტკიცეს. მოწონებით იწყება ყველაფერი, იმ ბიჭს ძალიან მოწონხარ, მოწონება და ურთიერთპატივისცემა კი დიდ სიყვარულში გადაიზრდება.

რა ექნა ბაბუას, შექმნილი მდგომარეობიდან მხოლოდ ერთადერთ გამოსავალს ხედავდა:

– ახლა გვეყოფა ჩემო პატარავ, ოღონდ ჩახუტების გარეშე არ დამტოვო ცხოვრებისგან დაწიხლული ბერიკაცი.

თინიკო ფეხზე წამოვარდა, ცრემლდადენილ და მხრებაცახცახებულ ბაბუას გამხმარ მკერდში ჩაეხუტა.

გერასიმემ თავის ერთას კარგი ქორწილი გადაუხადა. სამ დღეს ილხენდნენ. თინიკოს ქორწილისთვის გადანახული შუმი ღვინით სავსე ჭურს მოხადეს თავი. გარეგნულად ყველაფერი ბრწყინავდა. ბაბუა გახარებული იყო, ჩემს შვილიშვილს საიმედო პატრონი და ღირსეული ვაჟკაცი გამოუჩნდაო. სნეულებაც კი გადაავიწყდა. მხოლოდ ერთხელ უსიამოდ ეჩხვლიტა გულში, როცა ფოტინემ უთხრა: გერასიმე, ვითომ გააბედნიერე შვილიშვილი? იმ ბიჭს რაღას ეუბნები სიკვდილს რომ გადაგირჩინაო.

ახალი ოჯახი თინიკოს თან ჰყვებოდა, რომ იტყვიან ხელისგულზე ატარებდა. დედოფალივით იყო, ყველა სურვილს უსრულებდნენ. ქმარი გვერდიდან არ ცილდებოდა. თუ მეუღლეს უგუნებობას შეამჩნევდა, სანამ არ გაამხიარულებდა, თავს არ ანებებდა. შესაშური ხასიათი ჰქონდა, დიდსულოვანი პიროვნება იყო. თინიკო უცხო ენების ფაკულტეტზე მოეწყო. მის ბედს ბევრი შენატროდა. ყველა ხორციელი სნეულება მოშუშების შემდეგ დავიწყებას მიეცემა ხოლმე. სულის ჭრილობა კი მარადიულია და განკურნებას არ ექვემდებარება. ღამე არ გაივლიდა ისე, მის

ზმანებებში ოთარის ხატება რომ არ ამოსვეტილიყო. ვერაფერი ვერ მოუხერხა, რამდენიც არ ეცადა ვერ ჩაგმანა ის კარი, ვერ გაახვია დავიწყების ბურუსში. ოჯახს მემკვიდრე სურდა, თინიკოს კი შვილი არ უჩნდებოდა.

ოჯახის უფროსი წუხილს აშკარად გამოხატავდა: ისე არ მინდა მოვკვდე, შვილიშვილს რომ არ მოვესწროო. თინიკო თვითონაც განიცდიდა. ძნელი გასაძლებია, როცა ზურგს უკან ჩუმ-ჩუმი საუბარი ისმის და შენს მიახლობაზე ჩუმდებიან. ერთდერთი ვინც ამას ყურადღებას არ აქცევდა მეუღლე იყო. ისევ ძველებურად შესციცინებდა, წამოავლებდა ხელს და ოთახებში დაარბენინებდა. თავდავიწყებით უყვარდა თავის სიფრიფანა გიშრისთვალება მეუღლე, მაგრამ ერთ დღეს, როცა ოჯახის უფროსმა ყველას გასგონად თქვა: უნაყოფო ხეს ჭრიანო, ყველაფერი დამთავრდა.

არანაირმა ხვეწნა-მუდარამ არ გაჭრა, თინიკომ კატეგორიულად მოითხოვა განქორწინება. მე შვილი არასოდეს მეყოლება და არ მინდა ეს ოჯახი უშვილძიროდ დარჩესო. მეუღლემ შესთავაზა, ბავშვი ვიშვილოთ და გავზარდოთო. თინიკო უარზე იყო: მამაშენს თავისი სისხლი და ხორცი უნდაო. რას იზამდნენ, დაშორდნენ ერთმანეთს. მიუხედავად გაყრისა, მეუღლე სიცოცხლის ბოლომდე არ აკლებდა მზრუნველობას, კეთილმოწყობილი ბინაც უყიდა. დაშორებიდან ორი წლის თავზე, ოჯახის დაძალებით, თენგიზმა სხვა ქალი შეირთო, ბავშვებიც გაუჩნდათ. თინიკოს სიყვარული იყო თუ სხვა მიზეზი, ბოლო ხანს სმას მიჰყო ხელი, უკურნებელი სენი შეეყარა და გარდაიცვალა. თინიკომ მტკივნეულად განიცადა თენგიზის სიკვდილი, სამძიმარზეც იყო და ჭირისუფლებს დაკრძალვამდე არ მოშორებია. წუხდა, თავს იდანაშაულებდა, მეც მიმიძღვის ბრალი მის სიკვდილშიო.

სხვა მრავალ სატკივართან ერთად თინიკოს გულში ხინჯად ჰქონდა ჩარჩენილი, ბავშვობისას, მის მიერ გასროლილმა თოფმა როგორ იმსხვერპლა მერცხალი და მისი ბარტყები, არც ყვავს დაუშავებია რამე. ბარტყები რომ ვიმსხვერპლე, ალბათ ამიტომ არ მომცა ღმერთმა შვილიო. ხეების დარგვა დაიწყო. ყოველ წელს სახლის გარშემო ნარგავებს რგავდა, გაიზრდებიან და ჩიტები ბუდეებს გაიკეთებენო. მართლაც გაიკეთეს ჩიტებმა ბუდე, ბარტყებიც გამოჩეკეს და კიდევაც დააფრთიანეს.

თინიკოს გათხოვების ამბავი იმდენად მოულოდნელი იყო ოთარისთვის, ეგონა ფეხქვეშ საყრდენი გამოეცალა და ცა დაემხო. ღალატით დანავსულმა სულის ტკივილმა ცხოვრების საზრისი დაუკარგა, ავად გახდა და ჰოსპიტალში მოათავსეს. საშინელი მელანქოლია ტანჯავდა. ექიმებმა ვერაფერი გაუგეს და ერთი თვის თავზე ისევ სამხედრო ნაწილში დააბრუნეს. დრომ ყველაფერი თავის ადგილზე დაალაგა. სამხედრო სამსახურის დამთავრებისთანავე დედაქალაქში დაბრუნდა და ფილოლოგიურზე მოეწყო. თავდადებით შრომობდა. ცნობილი ფილოლოგი გახდა. ცხოვრობდა ჩვეულებრივი ინტელიგენტი კაცის ცხოვრებით. ჰქონდა იმდენი, რაც არსებობისთვის იყო საჭირო. არასოდეს არ ყოფილა ნივთიერით გატაცებული. საბედისწერო შემთხვევამ და უიღბლო სიყვარულმა, გულში ჩაბუდებულმა ქალის ხატებამ საქალეთი გადაავიწყა, ოჯახიც კი არ შეუქმნია და შეხორცებული ჭრილობა კვლავ გაიხსნა, აფორიაქა და საგონებელში ჩააგდო.

* * *

ყოველ დილით ასაკოვანი ქალი და მამაკაცი თითქმის ერთდროულად ქუჩის სხვადასხვა მხარეს აჩქარებული ნაბიჯებით მიუყვებოდნენ გზას. პარკის შესასვლელთან ცოტა ხანს ჩერდებოდნენ, თითქოს გზას უთმობდნენ ერთმანეთს, მერე კი ამოჩემებულ სკამებზე სხდებოდნენ. ერთმანეთს არასოდეს გასაუბრებიან, მხოლოდ თვალებს თუ შეანათებდნენ ხოლმე. მერე ქალი წამოდგებოდა და თავის გზას გაუყვებოდა. კაცი კი მოგვიანებით დაადგებოდა შინისაკენ მიმავალ გზას.

ოთარი იმ დღეს ჩვეულებისამებრ გაუყვა ქუჩას. შევიდა ბაღში და შადრევანთან სკამზე რომ უნდა ჩამომჯდარიყო, თვალში მოხვდა გამჭვირვალე ცელოფნის პარკში ჩადებული თეთრი ფერის ქსოვილი. გაიფიქრა, ალბათ ვინმეს დარჩა და მოაკითხავსო. ჩამოჯდა, იქაურობა მოათვალიერა, არც ქალი ჩანდა შადრევნის მოპირდაპირე მხარეს. ალბათ, რაღაც საქმე გამოუჩნდა და მოგვიანებით მოვაო. აწრიალდა, წამოდგებოდა, იქვე გაივლ-გამოივლიდა და ისევ ჩამოჯდებოდა. მტანჯველად გაიწელა დრო, ჩამოცხა. ქალი კი არ ჩანდა, არც ნივთს აკითხავდა ვინმე. ცნობისმოყვარეობამ ქსოვილზე გადაატანინა მზერა. მიწვდა, გახსნა. პირსახოცი იყო, ოღონდ ძველებური, ოდნავ გახუნებული. გადაატრიალა, მისი ყურადღება ტილოზე ამოქარგულმა მზემ მიიპყრო. თითქოს რაღაც გაახსენდაო, კიდევ ერთხელ გულდასმით შეათვალიერა და შეცბუნებულს კინაღამ ხელიდან გაუვარდა. ეჭვგარეშეა, ეს ხომ ბებიას ნაჩუქარი პირსახოცია მზითა და მისი ინიციალებით ამოქარგული, რომლითაც მაშინ თინიკოს სისხლი მოწმინდა და თავი შეუკრა. გაოგნებული კაცი სკამზე ჩამოესვენა, კარგა ხანს იყო გარინდული. როდის-როდის გამოერკვა, ცას ახედა, ტყვიასავით ჩაუქროლა აჭახჭახებულმა შაშვმა, მისმა საყვარელმა ფრთოსანმა. სახეზე ღიმილმა გადაჰკრა, წამოიწია, აქეთ-იქით მიმოიხედა, აფართხალებულ გულზე პირსახოცი მიიკრა და პატარა ბიჭივით აცუნდრუკებული ჩქარი ნაბიჯით გაუყვა გზას.

ლელა კურტანიძე

სიამოვნებათა რუკაზე გამოფენილ
სახესხვაობებიდან
ზამთარში
ჭარბობს მყუდრო სახლი,
მონიტორები და კაცები,
კატაც,
ბუხრის წინ,
ნახევრადდალეული ღვინო
და გამოულეველი სიმარტოვე.

ლელა კურტანიძე

* * *

მე
არ აგიწევ ხელებს
ცაში,
რადგან თვალები
ისედაც მაგონებს ტბის პირას ანთებულ სანთლებს.
გახსენებული ნიავი
ისევ ისეთი ნაცრისფერია
და ისევ დაკრავს სევდა
წელზე შემოხვეული მკლავების,
რომელიც არ მთხოვდა მოფერებას
არამედ შველას.

არ გადაგიწევ თმას,
რათა დავინახო,
როგორ ჩავიკარგე ამაზონის ტყეში
და ჯუნგლებით სავსე გაქანება
ფრთხილად გადავწმინდო.
შენი მკერდი კი
ჩამქრალი ვეზუვია
სადაც მწიფობენ ფორთოხლის არომატები.

გეხები ყელზე და ვფიქრობ,
თოვლის დედოფალი არც ისე ცივია,
არამედ სიყვარული
კრისტალებში გადატყდა
და მისუსხავს თითებს.

კანზე ალეწილი ვნების თხილამურები
უმისამართოდ მიაქანებენ სიტყვებს
სადაც ფინიშის ხაზი შენი ტუჩებია,
რომელიც მას ღამე წამიკითხავს.

არ აგიწევ ხელებს
რადგან ცა აქვე მაქვს,
და აქვე მაქვს მიწის გული,
როგორც ულაპარაკო ჯოჯოხეთი,
რადგან ცა ასე შორია,
რადგან შენს თითებზე ისევ თრთიან
შემოდგომის არომატები,
რადგან შენს მუცელზე
მხოლოდ შენივე საფლავების ანაბეჭდებს ვხედავ,
რადგან შენი მუხლები
ჩემი ართქმული სურვილებივით იკეცებიან,
რადგან,
რადგან ცა ხარ,
რომელსაც ვერ შევწვდი,
ჩემო თავო, გამოდი შენგან,
„გაიქეცი ბაბილონისგან“.

* * *

ვფიქრობ, პარასკევი საღამოები
ლექსის მოძღვნას იმსახურებენ
და ის ქალები,
რომლებიც პარასკევ საღამოზე წერენ,
არასოდეს გაამხელენ,
რა მოხდა პარასკევს
და რამდენ დღედ არის დაყოფილი
მათი ერთი კვირა.

სიამოვნებათა რუკაზე გამოფენილ
სახესხვაობებიდან
ზამთარში
ჭარბობს მყუდრო სახლი,
მონიტორები და კაცები,
კატაც,
ბუხრის წინ,
ნახევრადდალეული ღვინო
და გამოულეველი სიმარტოვე.

სოფლის ეზოებს
ძაღლების ყეფაც ემატებათ
ქალაქებში კი –
უწესრიგოდ გადაყრილ ნაგავს
შემოჯარული ცხოველები.

ყველა გზა ხსნილია სინამდვილეში
კომენდანტის საათისას,
რადგან ბინების ჩაბეტონებული ჩრდილებიდან
გამოდიან არსებები,
რომლებსაც ვერაფერს უკრძალავენ
რადგან არავის ესმის მათი ენა
და არ აღიარებენ ტოლად
და სწორად.

ლელა კურტანიძე

ასეთი შეკრებები
ნაგვის ბუნკერებთან
არ უხდება პარასკევ საღამოს,
როცა წესით
ყველაფერი კარგად უნდა იყოს,
თუნდაც ყინავდეს.
მაგრამ ამისთვის საჭიროა
ოცდაოთხი საათი კომენდანტი იყოს
და პარასკევ საღამოს
არ წერდნენ ქალები
პარასკევი საღამოების შესახებ,
რადგან ეს დროის სხვაგვარ
ათვლას ნიშნავს,
რომელიც არც უკეთესია
და არც უარესი.

* * *

ხომ არ დამპატიჟებდი ფინჯან ყავაზე?
იმ აივანზე,
საიდანაც დიდებულად მოჩანდა
ჩვენი მომავალი.
ახლა ირგვლივ მხოლოდ ნანგრევებია
და ქუჩა,
სადაც ლამპიონი მხოლოდ ღამით ანათებს.

გამომივლიდი,
მკლავს მკლავზე მომადებდი და
დამალული ღიმილი მომკლავდა,
რადგან გაღიმება
სისხლის სამართლის კოდექსით აკრძალეს.
ჩვენ დავიზეპირებთ ყავის გემოს
და სუნი საუკუნო ფარდად ჩამოწვება
ჩვენ შორის,
ოღონდ ჩამოდი
მაგ სიმაღლეებიდან,
მზემ არ წაგიღოს.

მოვითხოვდი გაზაფხულს
სპონტანური შეხვედრის მახარობლად
და ჩემი კაბა
გავფინე მარადიულ წვიმაში,
აივანზე კი მოჩვენებები დგანან,
აწურულები
და გაკვირვებული მოგვჩერებიან.

უნდა დაგეცვა ჩვენი აივანი
და ყავის გემო,
რომელიც მოკლეს სიტყვებით
„ნახვამდის“
ვინაიდან სიყვარულს არ აქვს
„ხვალე“
არც „გუშინ“
და არც „დღეს“
სიყვარული ყავისფერი მარცვლების
ორთქლადენილი არომატია!

ხომ არ დამპატიჟებდი ფინჯან
ყავაზე?
იქნებ ვისეირნოთ ნაცრისფერ
ქალაქში
სადაც აღარ არის წვიმა
და მშრალია კაბა.
ლამპიონები საღამოს ექვსიდან
ანათებენ,
ქარის ხმა ისმის,
მაგრამ ისიც ისევე წარმავალია,
როგორც სიტყვა „ნახვამდის“,
როგორც სიტყვა „ხვალე“
რადგან ყავა მიცივდება
და მელის აივანი
უშენოდ
უჩვენოდ
უჩუმრად.

* * *

ჩემი აზრით
წუთი წუთზე მოვა მატარებელი,
რომელშიც ჩავსხდებით
და რომანტიულ ვახშამს გავმართავთ,
შემდეგ რომანტიულ ღამეს.
მე ფრიგიდული ვიქნები და
შევასრულებ მხოლოდ მოვალეობებს.
მოგეცემი.
და ყველაზე მოკრძალებულ პოზაში
თავს საწოლის კიდეზე გადავაგდებ,
დავაკვირდები მთვარეს და
ვარსკვლავებს
გაქანებული მატარებლიდან.
შენ კი არც მოგაფიქრდება
ყელზე შემახო
ყველაზე დიდი შეცდომა –
ამომწიო დაქანებული უფსკრულებიდან,
ასეთი მოძრავი ღამისგან.
ამის ნაცვლად
შენ ჩემს ბნელ ხვეულებში მიძვრები
და დასაბამის და დასასრულის
მნიშვნელობებს არკვევ.
და მე აღარ ვაქცევ ყურადღებას
ჩვენს სიშორეს,
რადგან მატარებელი ღამეში მიჰქრის,
შენ კი ჩემს სხეულებრივ ღამეებს იკვლევ.
ასეთი რომანტიული ღამე
მატარებელში უნდა გქონდეს,
რადგან მოძრაობამ მაინც გადაგარჩინოს
საკუთარი სხეულის უფსკრულებისგან,
მხოლოდ ინერციით თუ მიაღწევ
მეორე ნაპირს,
როცა გზა აღარ არის.

ვაჟა
მიროტაძე

სადალაქოში, კარზე გაკრული აბრის ქვეშ ვიღაცას წითელი საღებავით მიეწერა: ორი კოტე.

დალაქებს თავიდან ერთი–ორჯერ მაინც წაეშალათ ეს წარწერა, აქაოდა კანტორიდან ვინმე ინტრიგანი არ მოგვადგეს და არ დაგვსაჯონო, მაგრამ წარწერა შავმუშამბაგადაკრულ კარზე ისევ ჩნდებოდა და ორივე კოტე თანდათან შეეგუენ ამ ამბავს – გულში კიდეც უხაროდათ, რომ ხალხის სიყვარული დაიმსახურეს.

ვაჟა მიროტაძე

ორი კოტე

კოტე კოხრეიძისათვის რომ გეკითხათ შენ უფრო ადრე მოხვედი ამ სადალაქოში თუ მეორე კოტეო, ყელს გამოიბდღვნიდა შაფაქიძე რას მიქვია, კაცს კი არადა ყვავსაც კარგად არ ეხსომება ჩემი აქ მოსვლაო, – იტყოდა ხოლმე სიამაყით...

ახლა მეორე კოტეს წაეკიდებოდა სახეზე ალმური: რა კოხრეიძე, რის კოხრეიძე, მე და პიმენა უფრო ძველები ვართო...

პიმენ დვალი კაი ხნის გარდაცვლილია და რა თქმა უნდა მოწმედ ვერ გამოადგებოდა შაფაქიძეს, ამიტომ ვერ გაერკვიათ ამ შემთხვევაში კოხრეიძე იყო მართალი თუ შაფაქიძე.

სიმართლეს ვერც მე გეტყვით, რადგან თბილისში რომ ჩამოვედი და უნივერსიტეტის სტუდენტი გავხდი, სადალაქოში უკვე ორივე კოტე მუშაობდა.

საპარიკმახეროს ორთაჭალაში სამსართულიანი კომუნალური სახლის პირველ სართულზე ერთი მოზრდილი ოთახი ეჭირა, დანარჩენში ფოსტა-ტელეგრაფი, ბიბლიოთეკა, სასურსათო და შერეული საქონლის მაღაზია და ფეხსაცმელების სახელოსნო იყო.

სადალაქოში, კარზე გაკრული აბრის ქვეშ ვიღაცას წითელი საღებავით მიეწერა: ორი კოტე.

დალაქებს თავიდან ერთი-ორჯერ მაინც წაეშალათ ეს წარწერა, აქაოდა კანტორიდან ვინმე ინტრიგანი არ მოგვადგეს და არ დაგვსაჯონო, მაგრამ წარწერა შავმუშამბაგადაკრულ კარზე ისევ ჩნდებოდა და ორივე კოტე თანდათან შეეგუენ ამ ამბავს – გულში კიდეც უხაროდათ, რომ ხალხის სიყვარული დაიმსახურეს.

დასჯის რა მოგახსენოთ, მაგრამ „ზემოდან“ რამდენიმეჯერ შენიშვნაც მიიღეს ამის გამო, თუმცა მერე და მერე, როცა მათთან შეივლიდნენ, წარწერას თვალს არიდებდნენ, თითქოს ვერ ამჩნევდნენ. სამაგიეროდ კლიენტურა იყო მადლიერი. ასეთი ბევრი ჰყავდათ სეხნია დალაქებს. დღე არ გავიდოდა ამ პატარა, დაბალჭერიან სადალაქოში, რომელიც პელეს, მაცოლას, იაშინის, მესხის და მეტრეველის სურათებით იყო აჭრელებული, ზურგის კედლიდან კი იშვიათი მომხიბვლელობით „ნეიზვესტნაია“ იმზირებოდა, ვინმე ბობოლა პარტიული ან სამეურნეო მუშაკი არ შემობრძანებულიყო გასაკრეჭად.

ახლავე ბატონოო, მყისვე დაფაცურდებოდა კოხრეიძე...

ასეთ დროს შაფაქიძე კეთილი შურით გადახედავდა კოლეგას. კოხრეიძეს რას გამოაპარებდი, ყველაფერს ხვდებოდა, თუმცა არ იმჩნევდა და ყოველი თვის ბოლოს, როცა ყველაფერს მოიანგარიშებდნენ: ეს სახელმწიფო გეგმაო, ეს შავი ანგარიშებიო, ცერათითდასველებული კიდევ ერთხელ გადაითვლიდა მთელი თვის ნაღვაწ თანხას და ზუსტად, თანაბრად გაუყოფდა შაფაქიძეს.

კოტე შაფაქიძემ კარგად იცოდა, რომ შემოსავლიდან ლომის წილი კოხრეიძეს ეკუთვნოდა, რადგან თითქმის ყველა კლიენტი კარგად უხდიდა კოხრეიძეს, მაგრამ ოჰ, არა, არაო, ერთი-ორჯერ იუარებდა, მერე მადლობელი, მადლობელიო და შეთავაზებულ თანხას საბოლოოდ მაინც აიღებდა.

მადლობა მერე იყოს, ოჯახი დროზე შეჰქმენიო, მერამდენედ დაარიგებდა ერთი კოტე მეორე კოტეს. თვითონ კოხრეიძეს სამი შვილი ჰყავდა, ორი გოგო და ერთი ნანატრი,

ნაბოლარა ვაჟი. მათზე ამოდიოდა მზე და მთვარე, სულს ლევდა ოჯახისთვის, შრომაც უხაროდა და ცხოვრებაც.

კოტე შაფაქიძეს მშობლები ადრე გარდაცვლოდა და დედისერთას ახლა ცხოვრების კალო მარტო უნდა ელეწა. ორმოც წელს გადაცილებული ოჯახს არ ეკიდებოდა, თუმცა რასაც შოულობდა კაპიკ-კაპიკ შეჰქონდა შემნახველ სალაროში.

თავიდან თითქოს არაფერი, მერე ისე შეეჩვივნენ ერთმანეთს, რაღა ისინი და რაღა ალალი ძმები, ერთმანეთს არაფერს უმალავდნენ.

შაფაქიძე კოტე ხშირად სტუმრობდა კოხრეიძე კოტეს და სამეურნეო საქმეებში ეხმარებოდა (კოხრეიძეს კაი მოზრდილი ბაღჩა და ბაღ-ვენახი ედგა ორთაჭალაში).

კოხრეიძეს უყვარდა ფიზიკური შრომა, შაფაქიძეს არც იმდენად, მაგრამ მეგობრის ოჯახში ბოლომდე იხარჯებოდა. რთველი უყვარდა განსაკუთრებით, რთვლობას დალაქი უჩვეულოდ აღტაცებული დაგემოვნებით კრეფდა ჩაშაქრებულ მტევნებს, რაღაცნაირი დანანებით გაჰყურებდა გაღმა, მტკვრის ფერდობებზე სიყვითლეშეპარულ დიდრონ ხეებს და უცნაურად სევდამორეული საწნახელში ნელი, მონოტონური მოძრაობით ჭყლეტდა შემოდგომის მზით სავსე ბუდეშურ მტევნებს.

ჩუხჩუხა ბადაგით ქვევრებს რომ აავსებდნენ (კოხრეიძეს ერთი ოცფუთიანი ქვევრიც ედგა სხვა პატარა ქვევრებთან ერთად) საჩურჩხელე-სათათარე ტკბილს შეინახავდნენ, ქართულ გულაბს, ჩაყვითლებულ ხიდისთაურ ატამს, უტკბეს ხომანდულს, აჩალულ სიმინდს, ორშიმო გოგრებსა და ყოველგვარ ნაამაგარს რომ დააბინავებდნენ მოყვარე-მოკეთეებს დაუძახებდა წლის მოსავლის დასალოცად მასპინძელი.

თამადა ასეთ დროს კოტე იყო, შაფაქიძე.

ხომ შუაღამემდე ლხინობდნენ, რაღა თქმა უნდა დილას თავისტკივილაყოლებულები, მაგრამ სამსახურში მაინც არ დაიგვიანებდნენ, აუგს არავის ათქმევინებდნენ.

ჯერ კოხრეიძე მიადგებოდა სადალაქოს, დიდ, იტალიურ ფანჯარას გამოაღებდა, ქოთნის ყვავილებს გულმოდგინედ მორწყავდა, თუნუქის ღუმელზე სათლს შემოდგამდა, ოთახში გაბმული ჭრელზოლებიანი თოკიდან წინა დღეს გარეცხილ-გაქათქათებულ საფენებს ჩამოხსნიდა, გააუთოებდა, კლიენტს მოხერხებულად ჩაუფენდა, ხაზის რადიოს აუწევდა და მუშაობას იწყებდა.

დაგვიანება არც შაფაქიძეს სჩვეოდა. უყვარდა ცაგამთენია ჩიტების ჟღურტული, მსუბუქ ქარბორიოში სიარული, ფეხით გადმოსჭრიდა ხოლმე პარალელურ ქუჩას და ათიოდე წუთში სადალაქოში იყო...

– როგორ ხარ? – ეკითხებოდა კოხრეიძე...

– კარგად, კარგად...

– მგონი ზედმეტი მოგვივიდა წუხელ...

ასეთ დროს შაფაქიძეს ეღიმებოდა, ეღიმებოდა და არაფერს ამბობდა.

მერე მუშაობდნენ, მუშაობდნენ, სალაპარაკოდაც ვერ იცლიდნენ. როცა ხალხი შეხალვათდებოდა ან სულაც მიილეოდა, მაშინ თუ გაახსენდებოდათ, რომ სადილობა კაი ხნის ჩავლილი იყო.

ამ დროს ერთ-ერთი მიდიოდა ძია იორამასთან (იორამა ჭოხონელიძე რაჭველი კაცი, მათ გვერდით სასურსათო-სამეურნეო მაღაზიის სურსათის სექციაში მუშაობდა გამყიდველად) იღებდა ნახევარ კილოგრამ ძეხვს, „კილკას“ ტომატის სოუსით, კომბოსტოს, ნივრის, კიტრის, წიწაკის მწნილეულს, პურს, ცოტა ყველს, შედარებით იაფფასიან არაყს, საგულდაგულოდ გადაწმენდნენ კუთხის მაგიდას, გადააფარებდნენ ზედ ალაგ-ალაგ ჩრჩილისგან შეჭმულ გაცრეცილ გადასაფარებელს, გადმოალაგებდნენ თეფშებს, ჭიქებს და ღმერთო შეგვეწიეო, – პირჯვრისწერით გატეხდნენ ლუკმას.

სადილს ტრადიციულად იორამა უძღვებოდა. ენაწყლიანი კაცი იყო, ძველი ბუღალტერი, ომში და ათას დარჯაკში გამოვლილს, ცხოვრებისაგან უღმერთოდ ნაჟეჟ-ნაგვემ კაცს, ცალი ფეხი ქერჩში დაეტოვებინა, ფეხი კი არადა ახლაც უკვირს საერთოდ როგორ გადაურჩა იმ მეხთატეხას.

– მოდით, ნაჩუქარი სიცოცხლის სადღეგრძელო დავლიოთო, – იტყოდა ძია იორამა და თვალებზე ცრემლი მოადგებოდა...

კლიენტი აღარ აწუხებდათ და ძია იორამაც კოტეებთან პურობას გააგრძელებდა, მარტო მე და ერთი ჯეელი ვუცდიდით დალაქებს.

– ჩაუფინეო, – ჭიქას ბოლომდე მივსებდა კოხრეიძე...

– შეგერგებაო, – კვერს უკრავდა შაფაქიძე...

ვუარობდი, ლექციებზე ვიყავი წასასვლელი, საღამოს დასწრებულზე ვსწავლობდი.

მხატვარი სოფიო ჭელიძე

იორამას გული საგულეში ჰქონდა. ერთ თვეზე მეტია პრაქტიკაზე გოგონა გამოუგზავნეს. ის დალოცვილი ისე მალე და კარგად გაერკვა ყველაფერში, იორამა არსად არ ჩქარობს, დარწმუნებულია, რომ მისი შემცვლელი საქმეს არ გააფუჭებს.

– კოტე! – მიუბრუნდება იორამა ძია შაფაქიძეს, – შეირთე შვილო ნათელა (იმ პრაქტიკანტზე ეუბნებოდა) ანგელოზია და ანგელოზი...

კოტეს ეღიმებოდა და ამით მთავრდებოდა ყველაფერი.

ჯეელი კი ბოლომდე ცლიდა იმ ჭიქას, იმ ჭიქას და მომდევნოსაც.

– პოეტი ხარ, ნუ დალევ, ისე გვითხარი რამეო, – ყელს მიწევდა შაფაქიძე.

– მოდი უთხარიო, – მხარს აუბამდნენ იორამა ძია და კოხრეიძეც.

ბონდოია ბიჭო, მარწყვი დამწიფებულა,

შენს საფლავზე ბონდო, წუხელ გაწვიმებულა...

ჩვენი საამაყო ძმა ხარო, – აღტაცებას ვერ მალავდნენ თვალცრემლიანი დალაქები და გულში უმცროსი ძმასავით მიხუტებდნენ.

ის ჯეელი გაოცებული მიყურებდა, შურიანადაც...

მე ვიჯექი შეზარხოშებული კოტე შაფაქიძის სადალაქო სკამზე, ჩემს გვერდით ის ჯეელი მოკალათებულიყო და ელექტრომანქანის ღუღუნში სულს ორი კოტეს სევდიანი სიმღერა მიფორიაქებდა, რა არის ჩვენი სიცოცხლე, ჩიტივით გაგვიფრინდებაო...

ასეთ დროს რაღაცნაირი ჩუმი სევდით ვითვრებოდ-ვითენთებოდი და მიყვარდა, ძალიან მიყვარდა ძია იორამა და ორივე კოტე.

კვირა არ გავა დალაქებს არ მივაკითხო.

– მოვიდა ჩვენი ბულბულიო, – ერთხმად მომაძახებდნენ და მერე დაწვრილებით გამომკითხავდნენ: რას ვჭამ, რას ვსვამ, ხომ არაფერი მიჭირს, ხანდახან კი, ვითომ შემთხვევით, ფულს სიძველისგან გახუნებულ-გაქუცულ პალტოს ჯიბეში ტაქტიანად ჩამიცურებდნენ.

* * *

თბილისიდან რუსეთში სამუშაოდ ისე წავედი მეგობრებს ვერ დავემშვიდობე.

უცხოეთში ხშირად მახსენდებოდა ორივე კოტე და ბიძია იორამა, მით უმეტეს თუ საპარიკმახეროში მოვხვდებოდი.

წლების მერე დავბრუნდი საქართველოში.

ძირეულად შეცვლილი დამხვდა თბილისი, უცხო, მოწყენილი ხალხით და უსიხარულო სახეებით.

სიყვარულის დეფიციტი იგრძნობა დედაქალაქში.

სადალაქოში წასვლა გადავწყვიტე.

მაშინ ორმოცს გადაცილებულები იყვნენ. ნეტავ ახლაც თუ მუშაობენ, როგორ გამოიყურებიან, როგორ ცხოვრობენ, შერჩათ კი ის სიმხნევე და სიხალისე?

ამ ფიქრში ვარ და სადალაქოს კარიც შევაღე.

დალაქს თავი არ აუწევია, კლიენტს ემსახურება, მგონი მისალმებაც ვერ გაიგონა.

შევხედე, კოტე უნდა იყოს კოხრეიძე, ძალიან შეცვლილი ჩანს, დაღლილი, გამხდარი, წვერმოშვებული, მარტო შუბლზე გარდიგარდმო დამჩნეული ნაიარევით თუ მიხვდები, რომ სწორედ ეგ კაცია შენი ძველი მეგობარი.

მეორე სკამი თალხი სამოსითაა შემოსილი...

ჩავახველე...

მაინც არ იხედება.

მივედი და ცუდის მოლოდინში მხრებზე

კანკალით დავადე ხელი.

გაჩერდა, შემკრთალმა შემომხედა.

– თქვენ, კოტე ხართ, კოხრეიძე? – ხმა ამიკანკალდა.

– კი, მე ვარ, – მითხრა დაბნეულმა და ხელი გამომიწოდა, – ვერ გიცანითო, – მოაყოლა შეცბუნებულმა.

– მეორე კოტე?

– მეორე კოტე, ეე, ეგერ მარჯვნივ... კედელზე დაკიდებული შავჩარჩოიანი სურათისკენ გამახედა და თვალიდან კურცხალი მოსწყდა.

მუხლმოკეცილი კოტე შაფაქიძის დაობლებულ სკამზე დავეშვი.

მერე კარგა ხანს ვიჯექი იმ სკამზე და სამოც წელს გადაცილებული, ჭაღარამორეული კოხრეიძე მიყვებოდა თუ როგორ დაიღუპა ამ ერთი თვის წინ უშვილძიროდ გადაგებული შაფაქიძე ავარიაში, ისე რომ კოხრეიძეს ცოცხალისთვისაც ვერ მიესწრო საავადმყოფოში.

უბედურ შაფაქიძეს წლების მანძილზე ნაშოვნი და ნაჩალიჩევი თანხა ანდერძით კოხრეიძისთვის დაეტოვებინა.

ავი წინათგრძნობა ჰქონდა: ამიტომაც ანდერძს, შესაბამის საბუთებს და მეგობრისადმი მიწერილ ბარათს თან ატარებდა:

– მე ვერ ვივარგე, შენზე ახლობელი ვინ მყავს, დედას გაფიცებ, ეს ფული ჩემს სახელზე შენს ოჯახს მოახმარეო...

ამ წერილს რომ მიკითხავდა ბავშვივით ზლუქუნებდა კოტე კოხრეიძე, – დროული კაცი.

– ძია იორამა?

– კვირას დავკრძალეთ, კოტესთან ახლოსაა მისი საფლავი...

გული მომეწურა, კლიენტი გაკვირვებით გვიყურებს მე და კოხრეიძეს, გაკვირვებით და თანაგრძნობით.

დრო გადის. არ ვიცი რა ვქნა, მოულოდნელი ელდით ზარდაცემულმა.

იმოქმედე! დარეკა გულმა.

ბევრი არ მიფიქრია, ძია იორამასეულ მაღაზიაში შესვლა გადავწყვიტე: ავიღებ პურს, ყველს, ძეხვს, მწნილს, არაყს და ისე როგორც ჩემს უფროს მეგობრებს უყვარდათ, სადალაქოში, ისევ კოტე კოხრეიძეს მივაკითხავ, მერე ცალად დარჩენილი კოტე მიმეგზურებს და ქალაქის განაპირა, მოკრძალებულ სასაფლაოზე კოტე შაფაქიძისა და ძია იორამას ობოლ საფლავებს მოვეფერები, მოვეფერები და ძალიან, ძალიან დავთვრები, რომ როგორმე მეგობრების არყოფნა სიმთვრალითა და ამ მოთხრობის წერით გამოვიგლოვო.

მხატვარი ბექა ხუცურაული

გიორგი ზუბიტაშვილი

მთებზე თოვლია, სანისლეთიკ
და შენ უჩვეულოდ გეღიმება...
დაე, დამიდგეს, მზეო, თვალი,
არ ვნახო შენი შეღამება.
თუკი, სიყვარული ვეღარ ვიგრძნო,
თუკი, გაფერმკრთალდეს ჩემი სული,
მაშინ ამ ტრამალებს დავეხიზნო,
მაშინ დამიშნელდეს გაზაფხული.

გიორგი ზუბიტაშვილი

დაიბადა 2001 წლის 12 დეკემბერს ქ. ყვარელში. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ქართული ფილოლოგიის მიმართულებით. გამოცემული აქვს პოეტური კრებული „მზე ხელისგულზე ჩამომეღვარა“. არის რამდენიმე ქართულ-ინგლისურენოვანი ლიტერატურული კრებულის თანაავტორი.

* * *

ნეტავი რიყის ქვა ვიყო,
ჟამო, ვერ მომერეოდი,
ვერ მამწუხრებდი, ქალღმერთო,
რარიგად ავმღერდებოდი.
გულზე ცვარ-ნამი მედინოს,
ნუკრისთვის დავპურდებოდი,
თუ ქვადაც ვერა ვივარგო,
შავ მიწად გადვიქცეოდი.
სამოსად ხავსი მეფინოს,
იმითაც დავმშვენდებოდი,
მნახავდი, მწყემსო კეთილო,
საყდრადაც აგეგებოდი.

პეიზაჟი

მზეაგორებულ გოროზ გორაზე,
ცხენი ბალახობს ლაფშა-თეთრონი,
ცელქი ნიავი ფაფარს უწეწავს,
ცაზე მიდიან წყებად წერონი.
მოჰქრიან ჯანხით, მოდუდუნებენ,
მდინარეები კვნესა-მღერითა,
ჩამორაკრაკებს კლდეზე ჩანჩქერი,
მთა მთას ამუნჯებს უტყვი ჟღერითა.
ჭრიჭინით მჭვალავს ჭრიჭინობელა,
ნარის ყვავილი იხდენს ნამმძივებს,
ბური ჩამოჰყეფს ბილიკს დიდოთა,
მზე ჩალისფერი ანთებს ქვა-ძივებს.
ვისია ნეტავ ლაფშა-თეთრონი,
კაზმული ატლას-ოქრო-ვერცხლითა,
იქნებ იმ ქალის გულმკვლელს ეკუთვნის
გორას რომ მოდის ნელა ველითა,
მოდის ნარნარით, თან მოიმღერის,
რაღაცას, დიდის სევდა-წყენითა,
ისიც ნანდაურს მისტირის ალბათ,
სევდანარევი ტკბილი ენითა.
მზეაგორებულ გოროზ გორაზე,
მზე ჩადის ძალით, განანებითა...
მეც მას ჩავყვები, დავემგზავრები,
იმ თეთრაქალის დანანებითა.
მთვარე მოსული მზეს ჩაანაცვლებს,
ოქროცვარული დალალებითა.

* * *

მაინც არ ვიცი ვინა ვარ,
ზღვა ვარ კაცისგულსიღრმითა?!
იქნება ცა ვარ – მიწის-ზე,
მორთული ვარსკვლავთ სირმითა.
ვაჰთუ, ქარი ვარ გამვლელი,
ქროლვით დამლევი ბილიკის,
მნახველი ამა სოფლისა,
მქადაგებელი ქილიკის.
იქნება წვიმის წვეთი ვარ,
ან ცრემლი დედის ბაგისა,
ან და ეკალი, ყვავილი,
საფლავს მოსული ჯაგისა.
თავს არ ვგრძნობ საჩემსაუფლოს,
ნარი ვარ, აღმა-გზის ნარი...
ცხოვრების ერთი კაცი ვარ,
ხან ცოცხალი ვარ, ხან – მკვდარი!

დაღესტანი

შორს, მთებს გადაღმა გაზაფხულია,
აქ, მანდილს იხვევს შილდის ქედები,
შორს, მთის გადაღმა ის აულია,
სადაც აკვანთან სხედან დედები.
სადაც ლეკური ისმის ნანილა,
ლექსად იღვრება ხევის წკრიალი,
სად, მთა-გორები ფიქრით დაღლილა,
აყვავებულა დეკა-იანი.
დაღესტნის მთებში, რასულ ჰამზათოვს,

გიორგი ზუბიტაშვილი

პოეტის მძიმე ხურჯინი ეწვა,
მის ნაბილიკარს ანვიმს და ათოვს,
მის ნაბილიკარს ლექსის მკვა ერქვა.
იქ, ალბათ ვინმე ასული ლეკის,
აულის გზაზე დაიარება,
ათრობს სურნელი აპრილის დეკის,
აშინებს ტრფობის აღიარება
და საცნაური მზერით
და თრთოლვით,
გაჰყურებს ალბათ ჩემსავით ქედებს,
ლეკის ასული, ვით ქარი ქროლვით,
თავის მიჯნურს და სიყვარულს ეძებს.
აქ, მთებს გადმოღმა გაზაფხულია,
აქ, მანდილს იხვევს შილდის ქედები,
აქ, მთის გადმოღმა ის სოფელია,
სადაც აკვანთან სხედან დედები.

მერი ატმის ყვავილებიდან

მარტია, ჩემო საყვარელო, მარტი თავნება,
კვლავ მათრობელა
გაზაფხული... კვლავ მენატრები,
დავალ, თან დამდევს შენი ხმა და შენი ზმანება,
ჩვენს ბილიკებზე იშლებიან ახლა ატმები.
ეს ლაჟვარდები სააპრილო გაზაფხულისა,
აღარ მაოცებს, აღარ
მხიბლავს – აღარც განვიცდი,
რა, მძიმე იყო სიყვარული ერთი მგოსნისა?
ასე უბრალოდ, ასე უღვთოდ რომ დაგავიწყდი.
ეჰ, ნეტავ ახლა ჩემთან იყო, ვით გაზაფხული,
ამ ძაძამოსილ არემარეს ააყვავებდი,
ხომ მიშველიდი, მზეფენილი, ყვავილისფერი,
მეც ამ დაუთვლელ ცოდვას ხომ არ დავაშავებდი!
მკერდზე სათუთად დაგივლიდა მთების ნიავი,
ვით ატმის ხეებს, შენაც ისე აგათრთოლებდა,
მერე ეშმაკიც ეშმაკური ძალით, სიავით,
ჩვენს გზებს ვერასდროს ასე ვეღარ დააშორებდა!
იასამნები საყვავილოდ ემზადებიან,
სდუმან მთები და ბობოქრობენ ტყეთა ქარები,
სხვა სილამაზე?! – ისევ ვამბობ, შენი თმებია!
თმები ნარნარა, ჩანჩქერების შესადარები.
მარტია, მარტი, ჩემო კარგო, ჩემო ძვირფასო!
გიხსენებ შენ და მარტი ტირის, სხვა არაფერი,
დავდივარ ასე, ათასი გზით, ათასი მხარით,
სადღაც შევხვდებით კიდევ ერთხელ, ძვირფასო მერი!

ქარის ლირიკა

ამოდის მზე და ნათდება,
ჭირხლდაჭირხლული მთა-წვერი,
აყვავდე, რა დაშავდება,
ყვავილო, – არც არაფერი!
მთებს გავყურებ და მდინარე
სიცოცხლის ხმათა ფერია...
დარდი მიამბე, წყალ-ხევო,
– სათქმელი არაფერია!
ტყეებს ყვავილი დაუსხამთ,
სიო-ქარების ნაფერი...
გინატრო, რა დაშავდება,
ქალღმერთო, – არც არაფერი!

* * *

მზერა ალმაცერი... დაღმა-სერი,
სერი დამარტული, ნაწვიმარი...
გვერდით მომყვები და გელიმება,
განა რაჲ დარჩა საღიმარი.
დავალთ, წინ მიწა-ცის სამანია,
ტყეებს ეფინება
ყვავილთ ბური...
გზის გაღმა იასამანია,
გამოღმა მთებია უდაბური.
მთებზე თოვლია, სანისლეთიც
და შენ უჩვეულოდ გელიმება...
დაე, დამიდგეს, მზეო, თვალი,
არ ვნახო შენი შეღამება.
თუკი, სიყვარული ვეღარ ვიგრძნო,
თუკი, გაფერმკრთალდეს ჩემი სული,
მაშინ ამ ტრამალებს დავეხიზნო,
მაშინ დამიბნელდეს გაზაფხული.

რომანსი

ნუ ჩქარობ წასვლას, სანამ დრო არის,
სანამ შენი ხმა მინდა მესმოდეს,
სანამ ბილიკი აგვაცდენს თავად,
ანდა ვიღაც სხვა ტყვიას მესროდეს!
სანამ მზე ჩავა, ცას ნუ ჩამიქრობ,
იქნებ ხვალ ერთურთს ვეღარსად შევხვდეთ
და მოგონების ალის ამარა,
გზას კვლავ შეხვედრის იმედით ვდევდეთ.
სევდა მერევა, ვერ ვმალავ სევდას,
სიო მიკოცნის ბაგეს დანატირს,
ნუ ჩქარობ წასვლას, გეძახი, მაგრამ
შენი დარჩენაც ალბათ არა ღირს.

დედი...

სიტყვაცივი ვარ, თოვლივით ცივი,
ვერ გესანთლები ბავშვივით, დედი,
ჩემი ბრალია... ჩვენს ქვეყანაში,
თურმე პოეტებს არ სწყალობთ ბედი!
შენს შვილსაც ბევრი დაატყდა მეხი,
დრომ მის თავზედაც ეკალი ლენა,
თუ გემართლები, გამიწყრეს ღმერთი!
ფეხთ გამეცალოს მშობელი მიწა!
ეჰ... გულცივიც ვარ, ყინულზე ცივი,
თვალს ამჩნევია ყველა იარა,
უნდა შემინდო სიცივე, დედი,
დრომ შეუმჩნევლად გადამიარა!
გავკაჟდი, ვეღარ ვიფერებ ალერსს,
სულის ყვავილი დრომ გამითელა,
ახია ჩემზე, გამიწყრეს ღმერთი,
ჩაკვდეს იმედი ნაპერწკლის ხელა.

ჯემალ შაინიძე

მე ალბათ შენთვის ყველაფერს შევძლებ,
თუ დროზე ადრე მოვიდა თოვლი...
რადგან ამ თოვლში შენს თვალებს ვეძებ,
ადრე დაკარგულს, შიშით და თრთოლვით.
იქამდე კიდევ უამინდობას
გადაგარჩინოს ჩემმა ლექსებმა.
შენთვის იმდენი რამე მინდოდა,
რომ გული ჩუმი სევდით მევსება.

ჯემალ შაინიძე

* * *

ცა იქუფრება, შორს ელავს ჯანღი,
სულმა სევდები მყისვე მოდენა.
ყველგან გეძებე, აღარსად ჩანდი,
მზე იყო ცაზე, ვით ცეროდენა.

ჩემს სულში ახლა ეს ქარიც ატანს,
თავს არ მანებებს მაინც ვერაგი,
ოთახში ჩუმად წრიალებს კატა,
ვაგდივარ ტახტზე, როგორც პერანგი...

* * *

მე ალბათ შენთვის ყველაფერს შევძლებ,
თუ დროზე ადრე მოვიდა თოვლი...
რადგან ამ თოვლში შენს თვალებს ვეძებ,
ადრე დაკარგულს, შიშით და თრთოლვით.
იქამდე კიდევ უამინდობას
გადაგარჩინოს ჩემმა ლექსებმა.
შენთვის იმდენი რამე მინდოდა,
რომ გული ჩუმი სევდით მევსება.
გარეთ კი თითქოს ბნელდება უცებ
და მოდის ღამე – მფარველი ყოვლის.
მე კი ლოდინით ყველაფერს ვუძლებ,
რომ კიდევ ერთხელ ვიხილო თოვლი...

* * *

სიჩუმის ლანდი მინელდა, დალბა,
ოთახში წყნარად გაისმის ბახი.
სოფლელი გოგო მიგონებს ალბათ
და თან მიდენის შინისკენ ნახირს.

ოთახში როგორ აგორდა სითბო,
გარეთ კი ისევ ქარია ნელი.
მე მარტოობას ისევ არ ვიტყობ,
და დამაქვს სევდა – ჯერაც უთქმელი.

მზე დაკიაფობს ვარდების კოკორს,
თითქოს და უყოფს სიცოცხლის ნაწილს,
და მე ვიგონებ იმ სოფლელ გოგოს,
რომელსაც, ალბათ, ვერ ვნახავ ისევ...

ჯემალ შაინიძე

* * *

შენსავით ძლიერ ვის უყვარს რთველი,
ვის უყვარს ხნულში ყურძნების კრეფა,
მე შენგან ახლა სიყვარულს ველი,
მეყო ის ძველი ჩხუბი და ყეფა...
შენსავით გამრჯედ ვინ უვლის ყურძენს,
ვის უყვარს მისი ფერადი წვენი.
როგორც მზე უყვართ გადაჭრილ კუნძებს
ისე მიყვარხარ, ფიქრით და თმენით...

რთველი

ა.თ.

დამთავრდა რთველი. მშვიდობით, კარგად.
უკან დავტოვეთ ალაზნის ველი.
თვალს მიეფარა, რა უცებ გაქრა
გრემიც – ლამაზი და საყვარელი.
მაგრამ, ძვირფასო, რამ დამავიწყოს
შენი ლამაზი თვალთა ხავერდი.
აჰა, მე უკვე დავცალე ღვინო
და ახლა შენთან ვარ ალავერდი!

* * *

შენ წვები ზღვასთან და შენი მხრები
ივსება რბილი ბროლით და ქვიშით.
შენ ულამაზეს ზვირთებს ეხები
და ეთხოვები თრთოლვით და შიშით.
და გახსენდება რამ მელოდია
ანახლებით და აკვიატებით,
ზღვიდან ზვირთები ისევ მოდიან,
შენც ეგებები დაგვიანებით...
მე მიყვარს, როცა ნაპირთან გხედავ,
შენ ზღვასთან მაინც სხვაგვარი ჩნდები,
მე მიყვარს შენი ლამაზი სევდა,
და აზვირთული, მაღალი მხრები.
და შენი მხრები მე მიყვარს,
როცა ივსება რბილი ბროლით და ქვიშით.
შენ ულამაზეს ზვირთებს ეხები
და ეთხოვები თრთოლვით და შიშით...

* * *

ა.თ.

და როიალი მღეროდა თმენით
უხსოვარ დროთა საოცარ მითებს,
უსმენდა ყველა და შენი სმენით
შენც აყოლებდი მუსიკას თითებს.
მღეროდა სმენით დაღლილი ფარდაც,
შორს არწასული ჟინით და ვნებით,
შენ იმ საღამოს არავინ გგავდა
მაგ უჩვეულო შარმით და კდემით.
შევახებ თითებს მუსიკის გორგალს,
დანატრებული სიჩუმის ჰანგებს,
მღერიხარ შენც და თითებიც ტოკავს,
მღერიხარ შენ და სიტყვებს ვერ აგნებ,
და იწურება საღამო ჩქარი,
შორს ჩაძირული თვალებით, შენით,
უკვე სახლში ვარ, მოვხურე კარი,
თუმც კვლავ შენთან ვარ ფიქრების შრენით.

მიხო
მოსულიშვილი

ქალბატონი ოვაცია – ოფოფების თეატრია და, ერთი ოფოფიც კი აღარ დარჩა წამლად, ერთიც კი!

ქალბატონი კაკაფონია – სულ კაჭკაჭებით, ყვავებით, ძერებით, სვავებით და ამისთანა უბრალო ფრინველებით გაივსო აქაურობა!

ქალბატონი ილუზია – და ეს კიდევ, საერთოდ, ფრინველიც კი არ არის!.. (სალი-სალიკუნას) თქვენ ფრენა იცით?

ანდუყაფარი – აი, როგორი ინტრიგანები არიან! ვითომ კარგად მიგიღებენ და სინამდვილეში ძირს გითხრიან!

ტიკსუსუნე – ფრენასაც ვასწავლით და ნატვრების მოპოვებასაც!

მიხო მოსულიშვილი

ოფოფების თეატრი

(საბავშვო პიესა ერთ სიზმრად და ცხრა ზმანებად)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ოლე“ №5, 2021 წელი

მეხუთე ზმანება – ნატვრის დატყუება

ტიკსუსუნე – აბა, მაშ, ვიწყებთ ამ ლექსის რეპეტიციას!

ოთხი ბე – ყურადღება! რეპეტიცია იწყება!

ტიკსუსუნე – სად არიან მსახიობები?

ოთხი ბე – არ ვიცი, მაესტრო!.. აქამდეც უნდა მოსულიყვნენ! (გამოხსნის გარდერობის კარს) არ არიან!

ოფოფები – აქა ვართ, აქ!

ოთხი ბე – ააა, უკვე მოსულან!..

ტიკსუსუნე – ვერ შევამჩნიე... დავიწყოთ!

(ოფოფი ქალბატონები იწყებენ წრიულად ფრენას).

ქალბატონი ოვაცია – გამარჯობა, მაესტრო!

ტიკსუსუნე – გაგიმარჯოს!

ქალბატონი კაკაფონია – ძალიან მოგვენატრეთ!

ტიკსუსუნე – მეც!..

ქალბატონი ილუზია – და, ბოლოს და ბოლოს, რომელი ჩვენგანი უნდა შეირთოთ ცოლად?

ტიკსუსუნე – ეგ ჯერ არ ვიცი...

ოთხი ბე – ჯერ ფიქრობს!

ტიკსუსუნე – დითირამბები არ მინდა!.. დავიწყოთ!

ოთხი ბე – და პროტაგონისტი?

ტიკსუსუნე – პროტაგონისტი იქნება...

ქალბატონი ოვაცია – მე!

ქალბატონი კაკაფონია – შენ კი არა, მე!

ქალბატონი ილუზია – და მე?

ტიკსუსუნე – არც ერთი... გაიცანით, ჩვენი თეატრის ახალი პროტაგონისტი, სალი-სალიკუნა!

ოთხი ბე – ბრავ...

ქალბატონი ოვაცია – ოფოფების თეატრია და, ერთი ოფოფიც კი აღარ დარჩა წამლად, ერთიც კი!

ქალბატონი კაკაფონია – სულ კაჭკაჭებით, ყვავებით, ძერებით, სვავებით და ამისთანა უბრალო ფრინველებით გაივსო აქაურობა!

ქალბატონი ილუზია – და ეს კიდევ, საერთოდ, ფრინველიც კი არ არის!.. (სალი-სალიკუნას) თქვენ ფრენა იცით?

ანდუყაფარი – აი, როგორი ინტრიგანები არიან! ვითომ კარგად მიგიღებენ და სინამდვილეში ძირს გითხრიან!

ტიკსუსუნე – ფრენასაც ვასწავლით და ნატვრების მოპოვებასაც!

ოთხი ბე – რასაკვირველია!

მიხო მოსულიშვილი

(ოფოფები ამოიოხრებენ).

ტიკსუსუნე – ოღონდ მას შემდეგ, რაც ანდუყაფარს ვიპოვნი და სასტიკად დავამარცხებ! უსასტიკესად!

ოთხი ბე – რაში დაამარცხებთ, მაესტრო?

ტიკსუსუნე – მე ეგ სმაში ვერ მომყვება და...

ოთხი ბე – სცენიდან ამბის მოყოლაში!

ოფოფები – ვერა!

ტიკსუსუნე – ასე, რომ ლექსებით შევებრძოლები, თავს ლაფს დავასხამ და ისე გავუშვებ!

ანდუყაფარი – ან დამასხამ, ან ვერა!

ოთხი ბე – ოღონდ ჯერ რეპეტიციაა!

ტიკსუსუნე – დავიწყოთ. ეს ლექსი იცით, ალბათ, უკვე, წეღან რომ ვთქვი და პირველი სტროფის ბოლოში გამეორება დამეზარა.

ოფოფები – ვიცით, ვიცით!

ტიკსუსუნე – ესე იგი, მიზანსცენა ასეთია: ქალბატონი ოვაცია, ქალბატონი კაკაფონია და ქალბატონი ილუზია დგებით სალი-სალიკუნას უკან. (დადგებიან) სალი-სალიკუნა, შენ ოდნავ წინ წამოდი, ნახევარი ნაბიჯით (სალი-სალიკუნა წინ გამოდის). ქალბატონო ოფოფებო, თქვენ ადგილზე ცეკვავთ ვალს-ბოსტონს!

ქალბატონი ოვაცია – აღარ გვინდა ეს ვალს-ბოსტონი!

ქალბატონი კაკაფონია – თანაც ადგილზე!

ქალბატონი ილუზია – სხვა ცეკვა გვინდა!

ტიკსუსუნე – კარგი, მაშინ ტანგო!

ქალბატონი ოვაცია – ტანგო – ადგილზე?!

ქალბატონი კაკაფონია – ეს როგორ?!

ქალბატონი ილუზია – უკავალრებოდ?!

ტიკსუსუნე – ადგილობრივი ტანგო, კი! და უკავალრებოდ და დამთავრდა ლაპარაკი!

ანდუყაფარი – არ აჰყვეთ, სალი-სალიკუნა, დაგღუპავთ!

სალი-სალიკუნა – ნუ გეშინიათ!

ოთხი ბე – ლაპარაკი სცენაზე!

ანდუყაფარი – ახლა ვნახავთ, როგორ დაგტყუებს ნატვრას!

ტიკსუსუნე – არ ვიცი, მეჩვენება თუ რა ხდება?.. ვინ ლაპარაკობს მანდ?

ოთხი ბე – არავინ, მაესტრო! სცენაზე სამი გამოცდილი ოფოფი ქალბატონი და ერთიც ახალბედა პროტაგონისტია!

ტიკსუსუნე – (ოთხ ბეს) მუსიკა მზად არის?

ოთხი ბე – (ტომრიდან მაგნიტოფონს ამოიღებს) კი, ძალიან!

ტიკსუსუნე – პროტაგონისტო! მუსიკა რომ ჩაირთვება და თქვენს უკან ოფოფები ცეკვას დაიწყებენ და იმღერებენ ჩემ ლექსს, აბა, ვინ იქნებით თქვენ?

სალი-სალიკუნა – არ ვიცი...

ტიკსუსუნე – თქვენ ხართ ქვემეხი!

ოთხი ბე – რა ძალიან კარგი ხართ, მაესტრო! რა ძალიან კარგი!

ტიკსუსუნე – ჰო, ხუთას მილიმეტრიანი ქვემეხი! ჰაუბიცა ჯერ ვერა! ხომ იცით, ქვემეხი სხვაა და ჰაუბიცა – სულ სხვა? ჰაუბიცის ნაღმი ზემოდან დაეცემა ხოლმე და ქვემეხი კიდევ – პირდაპირ ისვრის!

ანდუყაფარი – (სალი-სალიკუნას) დაგღუპავს!

სალი-სალიკუნა – (ხელს წინ გამოიშვერს და მრისხანედ იყურება) ასე?

ტიკსუსუნე – არა, არა... ამას თქვენთვის ფიქრობთ!

სალი-სალიკუნა – კარგი...

ტიკსუსუნე – ანუ, თქვენი განცდებისგან აკეთებთ ყუმბარებს და მაყურებელს ესვრით! და რაკი ჯერ ჰაუბიცა არა ხართ, როგორ ესვრით?

ოთხი ბე – პირდაპირი დამიზნებით!

ტიკსუსუნე – ჰო, შიგ გულში უმიზნებთ!

სალი-სალიკუნა – ვაიმე, მაესტრო, ქვემეხი და ჰაუბიცა გავიგე, მაგრამ ყუმბარები როგორ უნდა ვისროლო, ამას ვერ ვხვდები!

ტიკსუსუნე – იცით, როგორ მზადდება კარგი ყუმბარები? თქვენს სანუკვარ ოცნებებზე და ნატვრებზე ლაპარაკობთ!.. ეს სულ სხვა რამეა, რაღაცა ის კი არ არის...

ოთხი ბე – ბრავო-ბრავო-ბრავისიმო-ბის! ამასაც ჩავიწერ! (იწერს).

ტიკსუსუნე – აპლოდისმენტები და დითირამბები საჭირო არ არის!

ოფოფები – ტაშ-ტაშ-ტაში! (ტაშს უკრავენ).

სალი-სალიკუნა – მივხვდი, მივხვდი! მე

ჩემი უნდა გავაოფო!

ტიკსუსუნე – გააოფოთ კი არა, გააოფოფოთ! და მარტო თქვენი ნატვრები კი არა, თქვენი მეგობრებისაც, რომ მაყურებელს შედარების საშუალება მივცეთ!

ოთხი ბე – (მოიმარჯვებს დიქტოფონს) მშვენიერი ყუმბარები იქნება, მშვენიერი!.. თან იმ მეგობრების სახელებსაც ამბობთ!

სალი-სალიკუნა – გავიგე, გავიგე!

ტიკსუსუნე – დითირამბები! არ გვინდა! მეთქი!

ოფოფები – ტაშ-ტაშ-ტაში! (ტაშს უკრავენ).

ანდუყაფარი – არაფერი უთხრა!

სალი-სალიკუნა – დავიწყო?

ტიკსუსუნე – დაიწყე!

სალი-სალიკუნა –

ვაიმე, როგორ მაოცებ,
თავი მგონია ფორუმზე –
დგახარ და თემას ა-ოფფ-ებ,
ვერ შევთანხმდებით ქვორუმზე...

ანდუყაფარი – (გადაიხარხარებს) კარგი ხართ, სალი-სალიკუნა!"

მეექვსე ზმანება – ტიკსუსუნე ბრაზობს

ტიკსუსუნე – სტოპ! არ ვარგა!..

ოთხი ბე – (ოფოფ ქალბატონებს) სტოპ! სტოპ!

(ოფოფი ქალბატონები შეწყვეტენ სიმღერას).

ტიკსუსუნე – ვინ დააყენა აქ ეს შუქები?! რა უნდა აქ ამ ჭაღს!

ოთხი ბე – ჭაღი?! მე არ ჩამომიკიდია, მე არა...

ტიკსუსუნე – თქვენ კი, ქალბატონო ოფოფებო! ჰო, თქვენ, მარტო ოფოფები რომ მომინდომეთ აქ! რომ დამდგარხართ მანდ და დასეტყვილი ყვავებივით რომ ჩამოგიყრიათ ფრთები!.. ჰო, ჰო, რას მიყურებთ! დასეტყვილი ყვავებივით!

ოფოფები – (დაიწყებენ ხელების ქნევას) ასე?

ტიკსუსუნე – მასე კი არა! (მიირბენს იმათთან) აი, ასე! (გამალებით იქნევს ხელებს). გაიგეთ?

ოფოფები – ძალიან! (ისინიც იქნევენ ხელებს).

ტიკსუსუნე – ანუ, ეს ლექსი არის ისეთი ჰუმანიური, რომ მტრების სადღეგრძელოც კი ისმევა, მტრებისა! და მთელი თქვენი ენერგია ამ ფრენაში უნდა ჩადოთ!.. აბა, რა უნდა ისწავლოს ამ... (დაინახავს ანდუყაფარს). სალამი მაინც ღვთისაა და, – გამარჯობა, ანდუყაფარ!

ანფუყაფარი – მაინც გაგიმარჯოს!

ტიკსუსუნე – (ჩაიხითხითებს) თქვენ გგონიათ, მართლა ვერ გხედავდით?

ანდუყაფარი – კარგია, ახლა მაინც რომ ინებეთ ჩემი შემჩნევა!

ტიკსუსუნე – როგორ გაგიძლოთ გულმა, როცა თქვენ ადგილზე ეს გოგო ამყავდა და ხმა არ ამოიღეთ?

ოთხი ბე – ჰა?

ტიკსუსუნე – სულ მარტო რომ დარჩები, მერე მიხვდები, რა უგზო-უკვლოდ დადიხარ და როგორ დიდ სისულელეებს აცხობ ტორტებივით!

ოთხი ბე – ჰო, ტორტებივით!

ანდუყაფარი – თქვენი დასი იმიტომ დახეტიალობს ბავშვების სიზმრებში, რომ იქიდან ბავშვების ნატვრები მოიპაროთ! თქვენ გინდათ, უნატვროდ დატოვოთ ბავშვები და ამის ხარჯზე ამოავსოთ ეგ თქვენი უძირო თეატრალური ტომარა!

ტიკსუსუნე – კი, მაგრამ თქვენც მშვენივრად დაეხეტებოდით ბავშვების სიზმრებში ჩვენთან ერთად!

ანდუყაფარი – ჰოდა, აღარ ვივლი!.. მე ისეთი თეატრი მინდა, რომ ნატვრები კი არ მოვპარო ბავშვებს, არამედ უკეთესი ნატვრები ვანატრო! და ულამაზესი ოცნებებით ვაოცნებო!

სალი-სალიკუნა – ვაი, რა კარგად თქვით, ანდუყაფარ!

ტიკსუსუნე – აჰ, კარგად თქვა, არა? მე ამას ისეთ რამეებს ვეტყვი, რომ უკბილებოდ შევჭამ და უხელებოდ დავამტვრევ!

ოფოფები – ეგ უკუდო მგელზე მჯდომი!

ოთხი ბე – ჰო, ძალიან!

ტიკსუსუნე – (ოთხ ბეს) მეტს ვერაფერს ეუბნები? პრეს-ატაშე და კაპელდინერი

მაინც არ იყო!

ოთხი ბე – რა ვქნა, მაესტრო? ულვაში მაინც ჰქონოდა, ვეტყოდი, – შეგირცხვა ულვაში მეთქი და რომ არა აქვს?

სალი-სალიკუნა – სამაგიეროდ, თქვენ გაქვთ ულვაში, ბატონო კაპელდინერო!

ოთხი ბე – (ხელებით ამოიგრეხს ულვაშს) ვაი, მართლა მქონია!

ტიკსუსუნე – (სარეჟისორო მაგიდასთან მიდის და თავის სკამზე დაჯდება) რომ შეაგდეთ ქვა და შეუშვირეთ თავი, ანდუყაფარ... ის მაინც თუ იცით, რომ საახალწლოდ ეს ჩვენი შეგროვილი ნატვრები – ყველა აგვიხდება, სულ ყველა!..

ოთხი ბე – ჰო, ძალიან!"

ტიკსუსუნე – და სიზმრებში მოხეტიალე კი არა, ნატვრის თეატრი ვიქნებით?

ოთხი ბე – ჩამოიღეთ ყავარიდან ეგ გრძელი კუდი, ანდუყაფარ და იყავით ჩვენთან!

ოფოფები – რას გვერჩით, თორემ კი!

ანდუყაფარი – მე ჩემი გითხარით უკვე!

ოთხი ბე – არც იწვრილა, არც იკითხა!

ტიკსუსუნე – კარგი, ასე იყოს მაშინ!.. მაგრამ იცოდე, თუ ავაფრინე ჩემი ოფოფები, აღარც დავაფრენ! აღარც!

მხატვარი სოფიო ჭელიძე

ოთხი ბე – ვითომ ესმის რამე?

ტიკსუსუნე – გავაგებინებ!

მეშვიდე ზმანება – ნეტავ, რად ელტვის განაკიდეს ნატვრის ბუნება?

(სალი-სალიკუნას ერთი მხრიდან ოფოფი ქალბატონები დაუდგებიან, მეორე მხრიდან – ანდუყაფარი).

ანდუყაფარი – ის ვერ გაგაგებინეთ, რომ მსახიობის ოსტატობა ის აღარაა, რასაც თქვენ ასწავლით!

ტიკსუსუნე – აბა, რა არის?

ქალბატონი ოვაცია – სალი-სალიკუნა, არ დაუჯერო!

ქალბატონი კაკაფონია – სისულელეა!

ქალბატონი ილუზია – ჩვენზე კარგ ოსტატებს ვერსად ნახავ!

სალი-სალიკუნა – უკვე აღარ ვიცი, რომელს დაგიჯეროთ?

ოთხი ბე – როგორ თუ რომელს?! ამას კიდევ კითხვა უნდა?

ტიკსუსუნე – ჩემი თეატრი ერთადერთი და განუმეორებელია.

სალი-სალიკუნა – არ ვიცი...

ანდუყაფარი – მოისმინეთ ჩემი მონოლოგი!

ანდუყაფარის მონოლოგი

ნეტავ, რად ელტვის განაკიდეს ნატვრის
ბუნება?
განაკიდეს კი შუაგული ესალბუნება...
ფიცარნაგზე ხარ, მაღლით ზეცამ მოგცა
უფლება,
მხოლოდ სიმართლით ისაუბრო მფეთქავ
გულებთან.

თითოჩაგდებით რად იძინებს თითქოს
დარბაზი?
ფუჭი გამხდარა მიმიკა და ჟესტი
ხანდაზმით.
ჩაგიქრა სიტყვა, ვერ კიაფობს, როგორც
ალმასი –
იგავ-არაკით ვერ შეცვლი და ვეღარც
ანდაზით.

„პუბლიკას სიტყვა, როგორც დაშნა,
დაჰკარ დაშლამდის!" –

სუფლიორიც კი გევედრება თვალთა
ხამხამით.
თუ არ იქურდებ, სპექტაკლები
წავა ანშლაგით,
თაიგულებით, ცრემლითა და
სიცილ-ხარხარით.

აი, რად ელტვის განაკიდეს ნატვრის
ბუნება,
თუმც განაკიდეს შუაგული
ესალბუნება...

სალი-სალიკუნა – ესე იგი, ნატვრები არ უნდა მოვიპაროთ და ისე ვითამაშოთ!

ანდუყაფარი – აი, თუ ვერ გაიგებდა!

ტიკსუსუნე – (ჩაიცინებს). რეებს მიედ-მოედები შენა?

სიზმრად მოხეტიალე
ამ თეატრის შურითა –
ფიქრებს ნატვრად ვერ აქცევ
კრულვითა და ურვითა.

ნატვრა ნატვრას მოებას, –
ჩვენ ეს გვინდა გულითა,
ნატვრის თეატრს ვოცნებობთ
სიტყვით მხიარულითა!

ოთხი ბე – არული კუდიანებს! არული კუდიანებს!

ტიკსუსუნე – დითირამბები არ მინდა!

ოთხი ბე – ბრავო-ბრავო-ბრავისიმო-ბის!

ქალბატონი ოვაცია – ოვაციები!

ქალბატონი კაკაფონია – კაკაფონიები!

ქალბატონი ილუზია – ილუზიები!

მერვე ზმანება – ლექსებით ომი

ოთხი ბე – ძირს ანდუყაფარი!

ოფოფები – ძირს! ძირს! ძირს!

ტიკსუსუნე – მომისმინეთ! (ხელს დაჰკრავს მაგიდას).

(ოთხი ბე და ოფოფები გაჩუმდებიან).

ანდუყაფარი – ამ მიტინგების მეტი ხომ არაფერი იცით!..

ტიკსუსუნე – ჩვენი ოცნება ნატვრის თეატრზე ეჭვქვეშაა!

ოთხი ბე – ძალიან!

ტიკსუსუნე – და სასწორზეა ოფოფების თეატრის ღირსება! და სახელი!

ანდუყაფარი – მართალია!

სალი-სალიკუნა – აი, ეს კი ნამდვილი ფორს-მაჟორია!

ტიკსუსუნე – ალბათ!.. და რა გამოსავალია ამ მდგომარეობიდან?

ოთხი ბე – გამოსავალი არ ჩანს, აქ ჩიხია!

ქალბატონი ოვაცია – გავაგდოთ ეს ახლად გამომცხვარი პროტაგონისტი!

ქალბატონი კაკაფონია – რასაკვირველია, მე მშვენიერი პროტაგონისტი ვიქნები!

ქალბატონი ილუზია – შენ კი არა, მე ვიქნები!

ოთხი ბე – და მე ხომ არ შემეთავსებინა ეგ საქმეც?

ტიკსუსუნე – არა!..

ოთხი ბე და ოფოფები – არა?

ტიკსუსუნე – ჩვენი დასის დევიზია – „ან სრული ფურორი, ან სრული ფიასკო!“ დითირამბები არ მინდა!

ოთხი ბე – ბრავო-ბრავო-ბრავისიმო-ბის!

ქალბატონი ოვაცია – ბის!

ქალბატონი კაკაფონია – ბის!

ქალბატონი ილუზია – ბის!

ტიკსუსუნე – ჰოდა, მეც შესაბამისად მოვიქცევი!

ანდუყაფარი – როგორ?

ტიკსუსუნე – ჩემი თეატრალური ტომარა სცენაზე!

ოთხი ბე – ჩვენი ნატვრების ტომარა? რას ბრძანებთ, მაესტრო! ამ ტომარას როგორ ჩამოდიხართ, როგორ?!

ტიკსუსუნე – მომიტანე!

ოთხი ბე – (მიაქვს ტომარა და შუა სცენაზე დგამს) ეჰ, მაესტრო!

ოფოფები – ეჰ!

ტიკსუსუნე – აი, ანდუყაფარ, მე ამას ჩამოვდივარ! ამ ტომარაში ჩემი დასის მოგროვილი ყველა ნატვრაა და თუ მაჯობებთ, თქვენი იყოს!

ოთხი ბე – ამ ტომარაში ჩვენი ფრთებია!

სალი-სალიკუნა – და თუ თქვენ აჯობეთ?

ტიკსუსუნე – მაშინ ჩემთვის შემოსაკვრელი მუშტი თავად მოგხვდებათ, სალი-სალიკუნა ჩვენ უნდა დაგვითმოთ და სულ უნდა გადაიკარგოთ აქედან!

ანდუყაფარი – თქვენი გამოწვევა მიღებულია! სალი-სალიკუნა, იმ ტომარასთან დადექით!

ოთხი ბე – ჩვენც აქ დავდგებით!

ოფოფები – დიახაც რომ! (ისინიც დადგებიან ტომარასთან).

ტიკსუსუნე –

უკვე იმდენი მტრებია,
ჩემი ნატვრების ტომარა,
სადაც რომ ჩემი ფრთებია,
ლამის დამირჩეს ოხრადა.

დითირამბები არ მინდა!

(ოთხი ბეს და ოფოფი ქალბატონების აპლოდისმენტები).

ანდუყაფარი –

ნატვრის ქურდობა, ტიკსუსუნ,
არ მიღირს მაგდენ ომადა.
სჯობს, სრულად რომ გაისუსო,
ტუჩებზე იცხო პომადა!

სალი-სალიკუნა – (გადაიკისკისებს) დედას აქვს კარგი წითელი პომადა, მოგიტანოთ?

ტიკსუსუნე – დიქცია – ცუდი! მიმიკა – უარესი! ჟესტი – საძაგელი! გრიმასა – ყალბი! დითირამბები არ მჭირდება!

(ოთხი ბეს და ოფოფი ქალბატონების აპლოდისმენტები).

ოთხი ბე –

ტყუილის ფიქრი გრძელია,
პომადას გვაწვდის მელია.
როგორი ჭკუათხელია
და მტერზე უფრო მტერია!

ოფოფები –

მაესტრო სანატრელია,
ანდუ კი – გასაგდებია!

ტიკსუსუნე – დითირამბები არც თქვენ გინდათ, ხომ? (ტაშს დაუკრავს) ბრავო-ბრავო-ბრავისიმო-ბის!

ოთხი ბე – ჩვენ მოვიგეთ!

ოფოფები – ვაშა! ვაშა! ვაშა!

სალი-სალიკუნა – ვაიმე, მართლა ამათ მოიგეს?

ანდუყაფარი – მოიგეს კი არა, წააგეს!

ტიკსუსუნე – რატომ წავაგეთ?

ანდუყაფარი – ჩვენ ლექსებში ასეთი რითმები იყო: ტომარა – ოხრადა – ომადა – პომადა...

ოთხი ბე – იყო, მერე რა?

ანდუყაფარი – მერე ის, რომ გრძელია – მელია – ჭკუათხელია – მტერია წინას არ ერითმება!

სალი-სალიკუნა – ჰო, ჰო, ამათ რითმა შეცვალეს! და წაგებულები არიან!

ოთხი ბე – ვაი!

ოფოფები – ვუი!

ტიკსუსუნე – (ოთხ ბეს) ვერ დააჭირე ენას კბილი?

ოთხი ბე – ბოდიში, მაესტრო!

ტიკსუსუნე – შენი ხმა აღარ გავიგო!

სალი-სალიკუნა – ესეც ერთით ნული! და დითირამბები გვინდა! (ტაშს შემოჰკრავს).

მეცხრე ზმანება – ნატვრების ტომარა

ტიკსუსუნე – მოდით რა, რითმის შეცვლაზე წაგება არ იყოს!

ოთხი ბე – თორემ ჩვენ გავიბუტებით და აღარ ვითამაშებთ!

ოფოფები – ძალიან გავიბუტებით!

სალი-სალიკუნა – და ბუტიების თეატრი იქნებით?!

ტიკსუსუნე – არა, არ ვიქნებით!

ანდუყაფარი – არა, რითმის შეცვლა არ შეიძლება, წესია ასეთი!

ტიკსუსუნე –

ნეტავ, ბევრი ნატვრა მომცა,
და სულ ყველა ამიხდინა,
არვის აღარ მოვპარავდი,
საოცნებო ნატვრას, წმინდას.

(ოთხი ბეს და ოფოფი ქალბატონების აპლოდისმენტები).

ანდუყაფარი –

ბავშვებს აღარ დატოვებდი
ატირებულთ – მშობლებს წინა.
უნატვრელად სიზმარი ხომ
ვერავინ ვერ მოიხდინა!

(სალი-სალიკუნა უკრავს ტაშს).

ტიკსუსუნე –

და გავხსნიდი „ნატვრის თეატრს“,
ეს ოცნება სულ მაქვს ფიქრად.
გავხდებოდი ნატვრის მეფე
ოფოფების ოფლის ღვრითა.

დითირამბები არ მინდა!”

(ოთხი ბეს და ოფოფი ქალბატონების აპლოდისმენტები).

ტიკსუსუნე – მოვიგეთ! ჩვენ მოვიგეთ! ესეც ერთით ერთი! ყანწი შემივსეთ, ყანწი! (ოთხი ბე შეუვსებს ყანწს და ტიკსუსუნე სვამს). ვაი, სიხარულისგან სადღეგრძელოს თქმა დამავიწყდა!

ოთხი ბე – არა უშავს, ახლა თქვით!

ტიკსუსუნე – ჩვენი ნატვრის თეატრს გაუმარჯოს!

ანდუყაფარი –

ტიკსუსუნემ მოილხინა,
ყველა ბავშვმა მოიწყინა.
შენი მოსვლა აღარ გვინდა,
რადგან დახვალ ერთობ ყინჩად!

სალი-სალიკუნა – (გადაიკისკისებს) ესეც ორით ნული!

ტიკსუსუნე – დითირამბები მინდა!

(ოთხი ბე და ოფოფი ქალბატონები კვნესიან და ოხრავენ).

ანდუყაფარი – კარგი, მოდით, ანგარიში გავანულოთ და საბოლოოდ შევებათ!

სალი-სალიკუნა – მესამე და – სამართალი!

ოთხი ბე – მოდი!

ოფოფები – აბა, მიდი, ჰკა მაგას ლექსი ხმალივით!

ტიკსუსუნე –

ანდუყაფარო! – რას თუ გადარო?
კაი სიტყვაზე დასტურს არ ხარო!
რომც დაგიძახონ მზისა სადარო,
მაინც ვერ იტყვი „ტანო-ტატანოს“!

დითირამბები ისევ არ მინდა!

(ოთხი ბეს და ოფოფი ქალბატონების აპლოდისმენტები).

ანდუყაფარი – ოო, ეს კი მართლა კარგი მითხრა!

სალი-სალიკუნა – მერე თქვენ ვერაფერს პასუხობთ?

ანდუყაფარი – ჯერ ვერა!

ტიკსუსუნე – აი, ამას ჰქვია ძვლებიანად შეხრამუნება!

ოთხი ბე – წამოვიღო ტომარა, მაესტრო?

ოფოფები – უნდა წამოიღო, აბა, რა!

სალი-სალიკუნა – ვაიმე, ანდუყაფარო!

ანდუყაფარი –

ბევრიც მიძახო „ანდუყაფარო“ –
შენს ოფოფებზე ყაბულს არ ვარო.
გადატრიალდეს თუნდაც სამყარო,
აღარ შემოგრჩეს ჭკუის სალარო!

სალი-სალიკუნა – (მიირბენს ოთხ ბესთან და ტომრის წართმევა უნდა) სად მიგაქვთ! ჩვენ მოვიგეთ!

ოფოფები – (ისინიც ექაჩებიან ტომარას) თქვენ კი არა, ჩვენ მოვიგეთ!

ტიკსუსუნე – ან სრული ფურორი, ან სრული ფიასკო! (ისიც ტომარას მივარდება და თავისკენ ექაჩება).

ანდუყაფარი – ეს არის თქვენი პირობა? (ისიც ტომარას დაეჯავჯგურება და თავისკენ ქაჩავს).

სალი-სალიკუნა – ახლა რატომ აღარ იბუტებით, თქვე ბუტია ოფოფებო!

(ამდენ ძიძგილაობაში ნატვრების ტომარა იხსნება და იქიდან გადმოიყრება თეთრი ფურცლები, რომლებზეც ბავშვების ნატვრები წერია).

ტიკსუსუნე – (ხელები გაუშვებს ტომარას) ჩვენი ნატვრები!

ანდუყაფარი – თქვენი კი არა, ბავშვების ნატვრები! (ტომარას იქნევს აქეთ-იქით და თეთრი პეპელებივით ფარფატებენ ქაღალდები).

სალი-სალიკუნა – (გამოჯავრებით)

დაგამარცხეთ, ტიკსუსუნე,
დაჯექი და იკრუსუნე!
თუ კრუსუნი ვერ გიშველის,
მაშინ ცხვირით იქსუტუნე!

(თავჩაქინდრული ოფოფი ქალბატონები რიგ-რიგობით შედიან გარდერობში.

გარდერობში შედის ატირებული და აქსუტუნებული ტიკსუსუნეც).

ოთხი ბე – (მოიკიდებს ტიკს და ცარიელ ტომარასაც. საყვედურით, ანდუყაფარს) რატომ, ანდუყაფარ, რატომ, თორემ კი...

ტიკსუსუნე – (გარდერობიდან) გამოადგი ფეხი...

ოთხი ბე – მოვდივარ... (ანდუყაფარს, ხმადაბლა) გარდერობმეისტერი მაინც არ დაგჭირდებათ? ახალ თეატრში?

ანდუყაფარი – არა...

სალი-სალიკუნა – ყველა ბავშვს უკვე დაუბრუნდა თავისი ნატვრა?

ანდუყაფარი – ყველას, ყველას!

სალი-სალიკუნა – მაშინ ვიცეკვოთ!

(სალი-სალიკუნა და ხოხობი ანდუყაფარი ცეკვავენ პეპლებივით აფარფატებულ ნატვრებში. ისევ ისმის ვიოლეტას არია ჯუზეპე ვერდის „ტრავიატადან“).

ანდუყაფარი – მე გასწავლით, როგორ უნდა იმღეროთ ეს არია ფორტუნინოს ოპერიდან!

სალი-სალიკუნა – ესე იგი, მე შემიძლია სიმღერა?

ანდუყაფარი – დიახ, თქვენ კარგი სოპრანო იქნებით!

სალი-სალიკუნა – მართლა?

ანდუყაფარი – მართლა!.. და ჩვენ გვექნება ჩვენი თეატრი...

სალი-სალიკუნა – ოღონდ, ოფოფების თეატრი არ გვინდა, კარგი?

ანდუყაფარი – კარგი...

(დასასრული)



მხატვარი ბეჟან ბოტკოველი

ნუნუ ძამუკაშვილი - 70

აი, იას ხიბლით მგალობელი

2022 წლის პირველი იანვრიდან, 71-ე წლის ათვლა დაიწყო, ნიჭიერმა, ბავშვების საყვარელმა პოეტმა – ნუნუ ძამუკაშვილმა. მისი საბავშვო ლექსების კრებული „ზრდილობიანი მატარებელი“ პატარების სამაგიდო წიგნად იქცა. პოეტი ეწევა აგრეთვე ფართო საზოგადოებრივ მოღვაწეობას, – ხელმძღვანელობს მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურულ კახეთთან“ არსებულ ახალგაზრდა მწერალთა სექციას.

მისი დამსახურებაა, რომ პერიოდულად ეწყობა კონკურსები და გამარჯვებული ავტორები ჯილდოვდებიან: ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს დიპლომებითა და სიგელებით.

ნუნუ ძამუკაშვილი სახელოვანი ჟურნალის – „ოლეს“ ერთ-ერთი რედაქტორია.

თვალსაჩინო მოღვაწეობისათვის დაჯილდოებულია: შიო მღვიმელის, რაფიელ ერისთავისა და ჟურნალ „ოლეს“ ლიტერატურული პრემიებით, საქართველოს მწერალთა კავშირისაგან ქართული კულტურის ამაგდარის დიპლომით, დაჯილდოვდა აგრეთვე ქრისტიანული პოეზიის ფესტივალის პრიზით – წმინდა ნინოს ჯვრის მედალი.

ბავშვების საყვარელ პოეტს ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლესა და... ახალ-ახალ მდიდარ შემოქმედებით და საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთი“

მკითხველს ვთავაზობთ იუბილარის ახალ ლექსებს:

გაზაფხული მოვიდა

მზემ გაუთბო ნაზად გული
სიყვარულით მთა და ველს,
ახლა, ია და ენძელა
ვრცელ მიდამოს რთავენ.

ფრინველებს რომ, მუდამ მოსწონთ
მშობლიური მხარე,
მალე მოვლენ და სტუმრობა
მათი – გაგვახარებს.

და... მოვუსმენთ ლამაზ ჰანგებს:
ბულბულ-იადონებს,
თავის ნატრულ მიწა-წყალზე,
რაღა დააღონებთ?!..

მონახავენ, ვიცით, უმალ,
თავის კერა-ბუდეს,
გვწამს, – სამშობლოს სიყვარული
ყველას გულში უდევს.

საქართველოს

მიყვარს ჩვენი საქართველო,
მზის სხივებით ნაბანი;
იაკობის ნაჩუქარი, –
მშობლიური ანბანი.

მოვიარეთ, შევისწავლეთ –
ჩვენი ქვეყნის მთა-ბარი,
და... ვინატრეთ, მადლი გვქონდეს:
დავითის და თამარის.

გაზაფხული

გაზაფხულდა, – მთა და ბარი
ყვავილებით დაიქარგა,
არის დიდი მოკითხვები, –
ყველა უნდა ვიყოთ კარგად.

მზემ, თავისი, თბილი ხელი
შემოხვია ყველა ნარგავს,
აზურმუხტდა მიდამო და
წვიმაც, უქმად, წვეთს არ კარგავს.

ცისარტყელაც აციმციმდა,
ყელი ნაზად მოიღერა,
გამოშალა შვიდივ ფერი, –
და... მიდამოს მოეფერა.

ყოჩაღი ბავშვები

ლიკას, ნიკას ნერგი მოაქვთ,
უნდა გააშენონ სკვერი
და, იქნება – ეს მიდამო,
კიდევ, უფრო მშვენიერი.

რა ყოჩაღი ბავშვებია,
რა ლამაზი გახდა სკვერიც,
და... დედიკომ გამრჯე და-ძმას
გამოუცხო თაფლის კვერი.

მთვარე

გამოვიდა სავსე მთვარე, –
ყველა შუქი უნთია,
ბებომა თქვა: დაირაა,
ბესომა თქვა: ბურთია.

მთვარემ: მე და ვარსკვლავები, –
ცას რომ გავალამაზებთ,
საღამოთი, სასეირნოდ,
გაგინათებთ – სავალ გზებს.

ნათოს ნახატი

ნათომ მინდორი დახატა, –
იქვე, ახლოა ამუნა,
გოჭი მოქანდა, „ბალახი“
კინაღამ, შეახრამუნა...

ამაზე გაწყრა მურიკო,
თავს კი უშველა გოჭმაჭმა,
ნათოს ნახატი, – ბალახი –
კინაღამ, გოჭმა მოჭამა...

გადაარჩინა ნახატი, –
მადლობელია ნათია;
მზე გულიანად იცინის
ირგვლივ, ყვავილნი ანთია.

გამრჯე ნიკა

მოვამზადებ სალათას, –
ნიკამ თქვა: ამ საღამოს
დაისვენოს დედიკომ,
რატომ უნდა დავღალოთ?

ბოსტნეული უხვად გვაქვს:
სტაფილო და კომბოსტო,
ვიცი, მშობლებს, ზურასაც
სალათები რომ მოსწონთ.

მეზობელიც ესტუმრათ
– ღმერთმა მოგცეთ ბარაქა,
ნიკას მომზადებული
მოეწონათ სალათა.

ბესოს სურვილი

ფანდურს სწავლობს ბესიკი
ხმა ჰქონია – პირველი;
და, რაც სწავლა დაიწყო,
მისგან კონცერტს სულ ველით.

ნატრობს: მყავდეს და-ძმანი,
რომ შევაწყოთ სამი ხმა...
და... რა კარგი იქნება, –
თუ, ეს ნატვრა ამიხდა!

ია

იამ ლურჯი თვალები
შეანათა კაბადონს,
ლურჯი ფერი ვინატრე
და... ჩავიცვი კაბადო...

მდელო, შენ გენაცვალე,
ცვარით, ნამით ნაბანო
და... მზით განათებულო –
იაკობის ანბანო.

გადავაგორეთ ზამთარი

გადავაგორეთ ზამთარი, –
პაპამ ასე თქვა, – დილას,
ბებოს ნაქსოვი წინდებით
ვიყავით ყველა თბილად.

ზამთარი, განა ბურთია?..
გადავაგორეთ, როგორ?
პაპიკო, აბა, გვითხარი,
იცინის ციცო-გოგო.

გადავიტანეთ ზამთარი, –
უხვი და დიდთოვლიანი...
ახლა, მოგველის: ენძელა
და... თვალჟუჟუნა იანი.

გაზაფხული მოდის!..

ზამთრის თვეა, – თებერვალი, –
გაიშალა – ყოჩივარდა;
ჰკითხეს, – რა გეჩქარებოდა?
ცხრათვალა მზე შემიყვარდა.

რას დამაკლებს თებერვალი?!..
თურმე, ჩიტიც ასე ფიქრობს;
თუ გამოჩნდა თოვლის ფიფქი,
ვეტყვი: გზა მშვიდობის ფიფქო!..

შემოაღებს მარტი კარებს,
ლურჯ იასაც მოსვლა უნდა,
და... გარემოს მივახარებთ:
გაზაფხულდა!.. გაზაფხულდა!!!..

ჩვენი ბეკო

თმახუჭუჭა ბატკანი
დადის ბაკი-ბუკით,
ყველას ეთამაშება,
ყველაფერი უკვირს.

ბავშვებს მოაქვთ ბალახი, –
სულ ნორჩი და ლორთქო,
ბეკომ, მთელი ეზო,
ბალახებით მორთო.

გადამაძრეთ ქათიბი,
რომ იცოდეთ, დამცხა,
ბებო წინდებს დაგიქსოვთო, –
გაისტუმრებთ ზამთარს.

პაპამ, კრიჭით, ბეკოს –
გადაკრიჭა „ქარგა“,
მატყლი მისცა – ბებიას, –
გარეცხეო კარგად.

შემდეგ... ბებომ მოქსოვა –
ბავშვებისთვის – წინდები...
კარგად ვიცით, ბეკუნა,
სიკეთეს რომ გვპირდები.

ფირუზ კოჭლამაზაშვილი

ფირუზ კოჭლამაზაშვილი

***

თუშეთში გნახე ქალაო, –
შენზე დავიწყე ლოცვა,
ყალყზე შემდგარსა მერანსა
აჯირითებდი, როცა.

ჩემი, შენდამი, ტრფიალი
აი, იქიდან იწყება...
თანა მდევს შენზე ოცნება,
ვერ შევძელ გადავიწყება...

შენი და მთის სილამაზე
ჩამოვიტანე ბარადა,
მოუყვებოდი ტოლ-სწორსა,
რომ დავსხდებოდით ჯარადა.

თუშური ცხვარი ტიროდა

თუშო, მოვიდა ზაფხული,
შენ სიმინდს სთოხნი ბარადა,
თუშეთ, ნისლები გიხმობენ,
მთაზე რომ სხედან ჯარადა...

თუშეთსა მოღნატრებია
ის, შენი მამა-პაპანი,
რომ მიატოვე, გაწყვიტე –
მეცხვარის უღლის ჭაპანი.

თავზე გეხუროს მუდამა,
პაპის ნამუსის ქუდები,
მეცხვარის ქოხში დააწყე –
თუშური ყველის გუდები.

თუშო, მოვიდა ზაფხული,
შენ სიმინდს სთოხნი ბარადა,
თუშეთ, ნისლები გიხმობენ,
მთაზე რომ სხედან ჯარადა...

თუშეთსა მოღნატრებია
ის, შენი მამა–პაპანი,
რომ მიატოვე, გაწყვიტე –
მეცხვარის უღლის ჭაპანი.

ფირუზ კოჭლამაზაშვილი

რაინაულის საფლავზე
თუშური ცხვარი ტიროდა,
საგუდე ტყავი, სანაგვეს,
სად ხარ, ბასიკო?!* ყვიროდა...!

ვნატრობ...

მე, ხომ, ტყვე გავხდი, ქალაო,
შენზე ოცნების ფიქრისა,
ვერ შევაჩერე, ვერაფრით,
და უსასრულოდ მიჰქრისა.

შენზე ნატვრით და ოცნებით
ვერ დავიძინე ღამითა,
ნეტავი, მბანდე სახესა
შავი თვალების ნამითა.

გნატრობ, ნეტავი, მომეცეს
შენი ალერსის ნებაო,
მეცხვარე ბიჭი, შორიდან,
შენი ყურებით დნებაო.

მინდა, რომ შენი ალერსით,
სანთელივითა ვდნებოდე,
ამასაც დავინატრებდი
რომ... არასოდეს ვკვდებოდეთ.

* ერთ-ერთი, ყველაზე, სახელგანთქმული მეცხვარე

ყელზედაც მოგეხვეოდი

ნეტავ, ბალახად გადვიქცე, –
ყვავილოვანი ხვიარა,
შენს ტანმზეც აღმომაცენა,
რომ მიმკურნალო იარა,

ყელზედაც მოგეხვეოდი,
დაგიფარავდი სხეულსა,
წამლადა შემერგებოდი
და მომარჩენდი სნეულსა...

სტუმრად ეწვიე

წადი და სტუმრად ეწვიე
თუშეთის ლამაზ სანახებს,
ლამაზი ქალი თუ, გინდა,
ჩემი თუშეთი განახებს...

ნეტავი, დაბრუნდებოდეს

ნეტავი, დაბრუნდებოდეს
ჩემი გავლილი წლებია,
მთებიდან რასას მიმღერდეს
ჩამონადენი წლებია.

ჭაბუკმა, ისევ, გავშალო –
მთებში, თუშური ცხვარია,
არ შევარცხვინო, არასდროს,
ჩემი წინაპრის გვარია.

ისევ, მესმოდეს, არწივო,
მწვერვალზე შენი ყივილი,
რომ სიხარულით შევცვალო
ამ, ჩემი გულის ტკივილი.

დურბინდით, მალ-მალ, გავხედო
სოფელში – ჩემსა ნანდობსა,
ჩემ ფარის ცქერით აღამებს
მჯერა, უჩემოდ დარდობსა.

ღმერთო, დამწერე ჯვარიო

მეცხვარემ შემოიმღერა
რაინაულ მაქვს გვარიო,*
„შირაქის გზაზე მოვდივარ,
უკან მაბრუნებს ქარიო.

წინ, შემეყარა პეპელა,
წითლად უჩანდა მხარიო,
საყვარლის** კაბას ვამსგავსე,
ღმერთო, დამწერე ჯვარიო“...

*იგულისხმება ხალხური მთქმელი – ეროდიონ რაინაული.
**თუშურად, – შეყვარებული, ანუ – ნანდობი.

მხატვარი ბექა ხუცურაული

თარგმანი

ევგენი ვოდოლაზკინი

ნამდვილი პროფესიონალები უკრავდნენ და არა რომელიღაც სასაფლაოს ორკესტრანტები. ისინი ერთმანეთს უხმოდ უგებდნენ, თავებს აქნევდნენ და სიფათებს მანჯავდნენ – როგორც ჯაზის მუსიკოსებშია მიღებული და ყველაფერს იმპროვიზაციით ასრულებდნენ. ჩამავალმა მზის სხივებმა მათ სინითლე მოჰფინა, განსაკუთრებით კი მანდილოსანს, რომელსაც გამომწვევად ალისფერი პალტო ეცვა – პირდაპირ ინვოდა. ის არ უკრავდა, უბრალოდ იდგა და მუსიკოსების გვერდით ფეხებს აბაკუნებდა. ქალის სახეს ჯამბაზის ცხვირი ამშვენებდა – ასევე ნითელი, რომელიც რეზინით ჰქონდა მიმაგრებული.

ევგენი ვოდოლაზკინი

ოლიმ, №1, 2022

პროზაიკოსი ევგენი ვოდოლაზკინი დაიბადა 1964 წელს კიევში. 1986 წელს დაამთავრა კიევის ტარას შევჩენკოს სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. არის ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

მიღებული აქვს: პრემია „დიდი წიგნი“ (2013, 2016), პრემია „იასნაია პოლიანა“ (2013), პრემია „მილოვან ვიდაკოვიჩი“, სერბეთი (2015).

ასეთი განსხვავებული დაკრძალვები

პარიზის წიგნის სალონს მარტის შუა რიცხვებში ვეწვიე და რესპუბლიკის მოედანთან ახლოს – სასტუმროში დავბინავდი. საღამოს საქმე არ მქონდა და სასეირნოდ წავედი. სიარულისას, ყოველთვის რაღაც კონკრეტულ ობიექტს ვირჩევ, რომლისკენაც მივდივარ. ამჯერად, გადავწყვიტე პერ-ლაშეზის სასაფლაოსთან მივსულიყავი. სასაფლაო ძალიან ლამაზია და მოძრაობის საბოლოო წერტილადაც (რაც არ უნდა იყოს, სასაფლაოა) ზედგამოჭრილია.

პერ-ლაშეზი დაბალ ბორცვზე მდებარეობს. ორმოც წუთში მივედი. სასაფლაო მემორიალურია, თუმცა, თავიდან (ახლა ამის დაჯერება ძალიან ძნელია), არაპოპულარული იყო. ლაფონტენისა და მოლიერის ფერფლის გადმოსვენებამ პარიზელ მიცვალებულებზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა და სასაფლაომ საფუარივით იწყო გაზრდა. სხვადასხვა დროს აქ დაასაფლავეს ბალზაკი, პრუსტი, უაილდი, პიაფი და აგრეთვე (კაცმა არ იცის როგორ შემოაღწია), ანარქისტი მახნო.

აქ ადრეც ვყოფილვარ და ახლა განსვენებულების სანახავად არ მოვსულვარ – აბორგებული პარიზის შუაგულში მიცვალებულთა ქალაქის სიმშვიდე და სიმყუდროვე მიზიდავდა. შესაძლოა, აქეთკენ გულმა იმიტომ გამომიწია, რომ რამდენიმე თვის წინ, პარიზიდან შორეულ უკრაინაში, საკუთარი მამა დავკრძალე.

პერ-ლაშეზის შესავლელ ჭიშკართან ორი დარაჯი დამხვდა. მივესალმე, მაგრამ მათ სალამზე არ მიპასუხეს. საერთოდ, სასაფლაოს მცველები პირქუშები არიან. გზა განვაგრძე. სანამ სასაფლაოს ერთ-ერთ ქუჩაზე გადავუხვევდი (იქ ნამდვილი ქუჩებია) შევტრიალდი. დარაჯები უხმოდ შემომყურებდნენ. მივხვდი, რომ საკუთარ თავთან მარტო ვრჩებოდი – ცოცხლები, ალბათ, აქ აღარ შემხვდებიან.

მამა ნალჩიკში დაიბადა და ბაქოში იზრდებოდა. მისი წინაპრები კი სტავროპოლიდან იყვნენ. კიევში მას შემდეგ აღმოჩნდა, რაც დედაჩემზე იქორწინა. მათ ერთად ოთხი წელი იცხოვრეს, გამაჩინეს და გაიყარნენ. პეტერბურგში გადასვლის მერე მამას იშვიათად ვხედავდი. ახლა კი მას სხვადასხვა ნივთები მახსენებენ – ხალხით სავსე ქუჩაში გამომკრთალი პალტო (მამას ასეთივე პალტო ეცვა), რადიოში ყურმოკრული მსგავსი ხმის ტემბრი.

შესაძლებელია მამამ ჩემს ფიქრებს უპასუხოს? – ვფიქრობდი სასაფლაოზე. საბჭოთა კავშირიდან არასოდეს გამგზავრებულა და დასაშვებია ახლა პერ-ლაშეზე იმყოფებოდეს? ლაპარაკი მეტაფიზიკურ ყოფნაზეა – მოლიერისგან განსხვავებით, მამას აქ გადმოსვენების არანაირი შანსი არ აქვს. ანდა, სჭირდება კი.

მამაჩემი დასაფლავებულია სოფლის სასაფლაოზე, უკრაინის გადაკარგულ მხარეში. წარმოშობით იმავე სოფლიდანაა მამაჩემის მეორე ცოლიც – ტაისია, კეთილი და მზრუნველი ქალი. მან გადაწყვიტა, რომ მამას სოფლის სასაფლაოზე მშვიდად განესვენა. ვფიქრობ, მართალიც იყო – იმისდა მიუხედავად, რომ მამას სიცოცხლეში სიმშვიდე არასოდეს უძებნია.

მამამ ოთხი წელი ფლოტში იმსახურა და რათა მისი გაღვიძების საშუალება არავის მისცემოდა, მუდმივად დადგენილ დროზე ნახევარი საათით ადრე დგებოდა. ის ყოველთვის პოულობდა კანონით ნებადართულ შესაძლებლობას, რომ ფლოტის წესდებას არ დამორჩილებოდა. კიევში გადასვლის მერე მისი დღის რეჟიმი არ გაიოლებულა. ფული არ ჰყოფნიდა და დილიდან საღამომდე ქარხანა-

ევგენი ვოდოლაზკინი

ში მუშაობდა, საღამოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ლექციებს ესწრებოდა, ღამით კი ვაგონებს ცლიდა. ყოველ სემესტრში კი, ინსტიტუტიდან გარიცხვის შესახებ ცნობას იღებდა. მამა დეკანატში მიდიოდა და მოკლედ და მკაცრად თხოულობდა აღდგენას. საკუთარ სიმართლეში ეჭვი არ ეპარებოდა. აბა, ერთი ეცადათ და ქარხანაში და სატვირთო სადგურზე მუშაობით გათანგულებს ესწავლათ კიდეც. მამას აღადგენდნენ. აბა, რა უნდა ექნათ?

ერთხელ იმასაც მიაღწია, რომ ჩვენი ნათესავი ბიჭი სკოლიდან არ გაერიცხათ. მამას არ უნდოდა, რომ ის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში წასულიყო.

– ასეთივე სასწავლებელი დაამთავრა კოროლიოვმა... – უხალისოდ ეწინააღმდეგებოდა სკოლის დირექტორი.

– ბიჭი რომ კოროლიოვი იყოს, სასწავლებელს არ დავიწუნებდი, – მოკლედ უჭრიდა მამა. – მაგრამ ის კოროლიოვი არ არის.

მამის სიკვდილი ღამით გავიგე. დილით კი, ისე რომ დეპეშას (მტკიცებულებას) არ დავლოდებივარ კიევში გავფრინდი. მინსკის გავლით მივფრინავდი და გაფრთხილებული ვიყავი, რომ დეპეშის გარეშე, უკრაინელ მესაზღვრეებთან, შესაძლოა საქმე გართულებულიყო. არ გართულებულა. მესაზღვრეებმა მკითხეს, რა მიზნით ვიყავინ ჩასული და იოლად გამატარეს. როგორც ჩანს, ჩვენ ჯერ კიდევ ერთი ხალხი ვართ.

ადრე დილით ტაისიამ, ჩემმა ნახევარძმამ – საშამ და მე მამა მორგიდან გამოვიყვანეთ. სასახლე სოფლიდან ჩამოსულ სატვირთო „გაზელზე“ შევდგით. მერე საშას მანქანაში ჩავჯექით და წინ წავედით. კიევიდან გასვლისას, ბაზართან ყვავილების საყიდლად გავჩერდით, რასაც ათი წუთი დასჭირდა და უკან დაბრუნებულებმა „გაზელის“ მძღოლს მხიარულ ხასიათზე წავასწარით. არის მიმიკა, რომელიც სიცილსა და ტირილს ერთნაირად გამოხატავს. მძღოლმა ავტოინსპექციის მანქანისკენ მიგვანიშნა. სატვირთო არასწორად ჰყავდა გაჩერებული და მათთან მოლაპარაკება შევთავაზე, რაზეც მძღოლმა მხოლოდ ხელი ჩაიქნია:

– Хиба ж то люды? Тварюкы*

ავტოინსპექტორები ჯარიმას წერდნენ – უფრო ზუსტად, ჯარიმას წინა სავარძელში მჯდომი წერდა, მეორე კი ფეხზე იდგა, მანქანას ეყრდნობოდა და ეწეოდა. მე მათკენ გავემართე – უნდა ითქვას, რომ ჯარიმის გადასახდელად მივდიოდი. მათ ჩემი მიახლოება შეამჩნიეს, მაგრამ არ მობრუნებულან. მივესალმე და ვუთხარი:

– Вэзу батька ховаты. И оцэ трэба платыты штраф?**

ეს ყოვლეგვარი მანჭვა-გრეხისა და აგრესიის გარეშე ვთქვი. მანქანაში მჯდომმა წერა შეწყვიტა და ტუჩებზე მიჭერილ თითებს შორის ჰაერი ხმაურით გამოუშვა. მერე ხელი შუბლზე გადაისვა და სავარძელზე გადაწვა.

– Нэ трэба.***

ამას არ ველოდი. პოლიციელებს ხელი ჩამოვართვი და ძმის მანქანაში ჩავჯექი. „გაზელის“ მძღოლი პატივისცემით მომჩერებოდა. მისი მანქანიდან მხიარული მუსიკა მოისმოდა. მამას ასეთი მუსიკა უყვარდა, შეზარხოშებული კი საბჭოთა სიმღერებს მღეროდა.

პერ-ლაშეზზეც მუსიკა ჟღერდა – მართალია, არა საბჭოური, მაგრამ ისეთივე კარგი – საავარაუდოდ ჯაზური. ხმები შორიდან მოცურავდა და ძლივს მოისმოდა არა იმდენად მუსიკა, რამდენადაც რიტმი, რომელსაც კონტრაბასი გამოსცემდა. სასაფლაოზე ცოცხალი მუსიკა უკრავდა. ხმებისკენ მშვიდად გავემართე. დიახ, ეს ჯაზი იყო.

ნახევარძმა საშა გაზის პედალს ბოლომდე აწვებოდა. ცხადად წარმოვიდგინე, ოღროჩოღრო გზაზე, ჩვენს უკან მომავალ „გაზელში“, მამა მუსიკის ხმაზე კუბოში როგორ ხტუნაობდა. საშა ჩქარობდა, რადგან სოფელში დათქმულ დროს უნდა ჩავსულიყავით. დროდადრო ტელეფონით ვიღაცასთან ლაპარაკობდა და ქელეხთან დაკავშირებულ მოკლე, კონკრეტულ დავალებებს უკრაინულ ენაზე გასცემდა. თავსხმა წვიმა მზით იცვლებოდა, რომელიც საქარე მინაზე ჩამოცურებულ წვიმის წვეთებში კრთებოდა. მერე კვლავ თქეში მოდიოდა. საშამ იმედი გამოთქვა, რომ ღრუბლები გაიფანტებოდა, რადგან, თავსხმა წვიმა მამის სახიდან გრიმს ჩამორეცხავდა. დამავიწყდა, რომ მორგში გრიმს უსვამენ.

ჩასვლისას აღმოჩნდა, რომ თურმე ტყუილად ვჩქარობდით. სოფელში არავინ ღელავდა. ეკლესიასთან გაჩერებულ მანქანებთან ადამიანები მშვიდად მოდიოდნენ, მერე მიდიოდნენ, კვლავ მოდიოდნენ და ჩერდებოდნენ. მკერდზე ხელებს იჯვარედინებდნენ და ადგილზე შეშდებოდნენ (ზოგი ხელებს ჯიბეებში იყოფდა, სხვებს დაბამბულ ქურთუკზე დოინჯი შემოეწყო), ხანდახან ლოყებს ზუმფარას ხმით იფხანდნენ და ეწეოდნენ.

ვიღაცამ თქვა, რომ ტონიას მოყვანა იყო საჭირო და მე და საშა მეზობელი ქუჩისკენ გავემართეთ. ბაღის ბილიკზე წელში მოხრილი დედაბერი გამოჩნდა, რომელიც ორ ყავარჯენზე დაყრდნობილი ჩვენსკენ ნელა მოდიოდა. მისი ხელებისა და ფეხების შეწყობილ მოძრაობაში იყო რაღაც სპორ-

* Хиба ж то люды? Тварюкы – განა ესენი ადამიანები არიან? პირუტყვები (უკრ.)

** Вэзу батька ховаты. И оцэ трэба платыты штраф? – მამა დასამარხად მიმყავს და ჯარიმა უნდა გადავიხადო? (უკრ.)

*** Нэ трэба. – არ უნდა გადაიხადო (უკრ.)

ტული და ეგზოტიკური, ხოჭოების რბოლასავით. წელში მოხრილ ტონიას სახე ზევით აეწია და დიდი თვალებით – დაუხამხამებლად მოგვჩერებოდა. ტონია ეკლესიასთან მივიყვანეთ.

კუბოს ორი ქვესადგამი ქუჩაში ნელა მოცურავდა და ასევე ხის კონსტრუქცია, რომელიც მრავალ ადგილას იყო გაბურღული. როდესაც ეს ყველაფერი ეკლესიაში შეიტანეს, რამდენიმე კაცმა მამის სასახლე ქვესადგამებზე დავასვენეთ. ეკლესიაში (რომელიც თანდათან ხალხით ივსებოდა) ციოდა. წესის აგების მოლოდინში ზოგიერთი გასათბობად ქუჩაში გადიოდა. ხის კონსტრუქცია კუბოზე დადგეს და გაბურღულ ადგილებში სანთლები ჩაამაგრეს. მომეჩვენა, სანთლები რომ დაანთეს, დათბა. ცეცხლის დანახვაზე, რაც არ უნდა პატარა იყოს, არა მარტო თბება, თითქოს მხიარულებაც მოდის. ათეულობით ანთებული სანთლით გარშემორტყმული მამა ისე ნაღვლიანად აღარ გამოიყურებოდა.

ვიღაც ქალმა მამას ფეხები შეუკრა და როდესაც ხელებზე გადავიდა, შეამჩნია, რომ მკერდზე მხოლოდ მარცხენა ხელი ედო. მარჯვენა, რატომღაც სხეულის გასწვრივ ჰქონდა გაჭიმული. ქალი გაოცებული სახით გაირინდა. ვერ მიმხვდარიყო ხელები როგორ შეეკრა. ამას ვერც მე ვხვდებოდი და არც ის მესმოდა, სწორედ წესის აგების წინ რატომ იყო ეს საჭირო. როგორც ჩანს, ამაში, რაღაც ფარული აზრი იმალებოდა.

– Нэ згынается,*– ხელზე თქვა ქალმა.

ირგვლივ გამეფებულ სიჩუმეში სასახლესთან ტონია მილასლასდა.

– Я зигну.**

ტონიამ ორივე ყავარჯენი კუბოს მიაყუდა და მამის ხელს დასწვდა. შინაგანად დავიძაბე, მაგრამ ქალმა მარჯვენა ხელი მარცხენასთან ზედმეტი ძალისხმევის გარეშე მიიტანა.

თვალები ავწიე და ეკლესიაში შემოსული მღვდელი დავინახე. ის სასახლის თავთან იდგა და ხელების შეკვრას ჩაფიქრებული აკვირდებოდა. წესის აგებამ მშვიდად, ღირსეულად ჩაიარა. როგორც ჩანს, ამ სოფელში ყველა საქმე ასე კეთდება. – Вы раба Божого Гэрмана розв'язалы?*** – წესის აგება რომ დაამთავრა იკითხა მღვდელმა.

– Та розв'язалы, батюшко.****

მე დავინახე: შეუხსნეს.

– Ну, тоди з Богом.*****

მღვდელმა რამდენიმე დარიგება იმ ენაზე მოგვცა, რომელიც მამამ კიევში ცხოვრებისას ვერ შეისწავლა. ორიოდ წუთში, ეკლესიის ჭიშკარს, მისაბმელიანი ძველი „ჟიგული" მოადგა. სწორედ ამ მისაბმელზე დავდგით თავახდილი კუბო.

პროცესია დაიძრა. წინ მიდიოდა კაცი, რომელსაც ხელში ჯვარი ეჭირა. ოდნავ უკან, ეკლესიის წმინდა დროშები მოჩანდა. დროშებს, საეკლესიო გუნდის თანხლებით, მღვდელი მოჰყვებოდა, შემდეგ – „ჟიგული", რომლის მისაბმელზეც მამა იყო დასვენებული. მისაბმელს კი ტაისია მისდევდა, მერე საშა და მე, ჩვენ ტონია მოგვყვებოდა (აქეთ-იქიდან ორი ძაღლით), მერე კი – მთელი სოფელი. „ჟიგული" ნელა მიდიოდა, მაგრამ გრუნტის გზაზე მაინც ჯაყჯაყებდა. მამაჩემის ხელებმა (განსაკუთრებით კი ტონიას მოხრილმა მარჯვენამ) მაღლა აწევა დაიწყო. იდაყვები ჯერ კიდევ მუცელს ებჯინებოდა, აი, ხელის მტევნები კი ჰაერში ლივლივებდნენ – თითქოს, სასახლეში მწოლი მამა ანგელოზებს ესაუბრებოდა. მისი ხელები ოდნავ ქანაობდნენ, რაც საუბარს სიმშვიდესა და ძალდაუტანლობას ანიჭებდა.

სასაფლაომდე ნახევარი კილომეტრი იქნებოდა. ყოველ ას მეტრში პროცესია ჩერდებოდა და მღვდელი მგალობლების თანხლებით შესანდობარ ლოცვებს კითხულობდა. მიწის ბელტებმა, მამის კუბოზე დაცემისას, ბარაბნის მსგავსი ხმა გამოსცეს და სიმშვიდე დაარღვიეს. როდესაც საფლავი მიწით ამოავსეს, ყველამ სასაფლაოს მიპირდაპირე მხარეს მდებარე კაფეს მიაშურა, სადაც ქელეხი იმართებოდა. მათ უნდა გავყოლოდი, მაგრამ ვიღაცამ შემაჩერა:

– У родычив своя путь.******

და იმ გზაზე მიმითითა, რომელიც განსვენებულის ნათესავებს მარტოებს უნდა გაგვევლო. ტაისია და საშა შემომიერთდნენ და ნახევარ საათში უკვე კაფეში ვისხედით. მღვდლის წაკითხული ლოცვების მერე მდუმარება გამეფდა. უფრო სწორად, დროდადრო ყრუ ბუბუნი გაისმოდა და დანა-ჩანგალი წკარუნობდა. არც საერთო საუბარი ყოფილა და მით უმეტეს, არც სადღეგრძელოები თქმულა. უკანასკნელი ლოცვის სიტყვები აღმოჩნდა.

პერ-ლაშეზზე ჯაზური ორკესტრი უკრავდა. კრემატორიუმის კარში სასახლე ბლუზის თანხლებით შეცურდა. მე არ ვიცოდი, რომ აქ მოქმედი კრემატორიუმია და შესაძლებელია ასე იოლად მოკალათდე სარა ბერნარის, ბომარშეს, ან, ვთქვათ შოპენის გვერდით – ან, უარეს შემთხვევაში, იქაურობას ფერფლად მოეფინო.

ნამდვილი პროფესიონალები უკრავდნენ და არა რომელიღაც სასაფლაოს ორკესტრანტები. ისინი ერთმანეთს უხმოდ უგებდნენ, თავებს აქნევდნენ და სიფათებს მანჭავდნენ – როგორც ჯაზის მუსიკოსებშია მიღებული და ყველაფერს იმპროვიზაციით ასრულებდნენ. ჩამავალმა მზის სხივებმა მათ სიწითლე მოჰფინა, განსაკუთრებით კი მანდილოსანს, რომელსაც გამომწვევად ალისფერი პალტო ეცვა – პირდაპირ იწვოდა. ის არ უკრავდა, უბრალოდ იდგა და მუსიკოსების გვერდით ფეხებს აბაკუნებდა. ქალის სახეს ჯამბაზის ცხვირი ამშვენებდა – ასევე წითელი, რომელიც რეზინით ჰქონდა

* Нэ згынается, – არ იხრება (უკრ.)

** Я зигну. – მე მოვხრი (უკრ.)

*** Вы раба Божого Гэрмана розв'язалы? – მონა ღვთისა გერმანეს ხელ-ფეხი შეუხსენით? (უკრ.)

**** Та розв'язалы, батюшко – შეუხსნეს, მამაო (უკრ.)

***** Ну, тоди з Богом. – მართლა, მაშინ ღმერთმა ხელი მოგიმართოთ (უკრ.)

****** У родычив своя путь. – ნათესავებმა თავისი გზით უნდა იარონ.

მიმაგრებული.

ერთნი კრემატორიუმის შენობაში შედიოდნენ, სხვები გამოდიოდნენ. მე კართან გაუბედავად გავჩერდი, მაგრამ ვიღაცამ (რა სტუმართმოყვარე დაწესებულებაა) კარი გამოაღო და მკითხა:

– ბოდიშით, თქვენ შედიხართ?

– დიახ. რა თქმა უნდა...

ჩემს მოკლე პასუხზეც კი მიხვდა, რომ ფრანგი არ ვიყავი. გამიღიმა – თითქოსდა უცხოელს კრემატორიუმი რად უნდოდა? და მართლაც – რად მინდოდა? თუმცა, პასუხი ვიცოდი – ტუალეტი მინდოდა. ტუალეტს მიმართულების მაჩვენებლის დახმარებით მივაგენი. სკამზე ლამაზი ზედამხედველი (პარიზში მათ მადამ პიპის ეძახიან) იჯდა და რატომღაც მაშინვე მივხვდი, რომ ჩვენიანი იყო. უცხოეთში დიდი ხნით ნაცხოვრები ადამიანი (მე დიდხანს ვცხოვრობდი) თანამემამულეს ადვილად ცნობს. რუსულად დაველაპარაკე. მან პროვინციული აქცენტით შემომჩივლა, თუ რამდენი ადამიანი შარდავს ტუალეტს მიღმა – შესახედაობით წესიერი ადამიანები არიან, სინამდვილეში კი...

– სამუშაოზე მიმიღეთ, – გავეხუმრე.

მან ეჭვით შემომხედა.

ნელ-ნელა ყველანი კრემატორიუმის წინა მოედანზე შეიკრიბნენ. ორკესტრმა ფეერიული იმპროვიზაციით გაიბრწყინა. მე განაპირას მდგარ ადამიანთან მივედი და ვკითხე:

– მაპატიეთ, ეს რა არის?

– დაკრძალვა.

– უცნაური...

მან თავი დამიქნია. კიდევ რაღაცის კითხვა მინდოდა, მაგრამ ვერ გავბედე.

ჯამბაზისცხვირიანმა ქალმა ყველანი წრეში ჩააყენა და ცეკვისკენ მოუწოდა. ორკესტრი ხალხურ მელოდიაზე გადავიდა. მათი დაკრული სწორედაც რომ ხალხურად მომეჩვენა, რადგან უბრალო და მშვენიერი იყო. ცეკვაც დაიწყეს – ბაკაბუკითა და ტაშის ცემით. ცეკვა მეც მომინდა, მაგრამ მესმოდა, რომ პარიზის სტუმრისთვის ეს მეტისმეტი იქნებოდა.

– ვინ არის ეს ქალი? – ვკითხე ჩემს თანამოსაუბრეს.

– ქვრივია. მისი ქმარი ჯაზის მუსიკოსი იყო.

როდესაც ქვრივმა გვერდით ჩაგვიარა, შევნიშნე, რომ თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე.

– რატომ უკეთია ჯამბაზის ცხვირი?

მან ცხვირზე ორი თითი მოიჭირა და დუდღუნით თქვა:

– სიკვდილის მიმართ სიძულვილს გამოხატავს.

ერთხანს კიდევ ვიდექი და გასასვლელისკენ გავემართე. რატომღაც აზრად მომივიდა, რომ მოშორებით მოსეირნეებს, ადვილად შეეძლოთ აქ ღამე დარჩენა. გზად კიდევ ერთ სამგლოვიარო პროცესიას გადავეყარე. ამჯერად, კუბო არა კრემატორიუმისკენ, არამედ გათხრილი საფლავისკენ მიჰქონდათ. ესე იგი, პერ-ლაშეზზე მხოლოდ ფერფლს არ კრძალავენ. ეს კარგია. სასაფლაო, მემორიალურიც რომ გახდეს, თავისი პირვანდელი დანიშნულება არ უნდა დაკარგოს. დაკრძალვაზე უცხოებს არ უშვებდნენ. სასაფლაოს მცველები ბილიკზე იდგნენ და ყველა დაინტერესებულ ადამიანს გზას უღობავდნენ. ალბათ, ყურადღება რომ არ მიიქციონ, აქ დაკრძალვა საღამოს ინიშნება.

მხატვარი სოფიო ჭელიძე

კარში ჯაზის მუსიკოსებს შევეჩეხე. სასაფლაოდან გასულებს დაკვრა არ შეუწყვეტიათ. ეტყობა, უახლოეს რესტორანში მიცვალებულის მოსახსენიებლად მიდიოდნენ. არ მინდოდა ისეთი შთაბეჭდილება შექმნილიყო, თითქოს ქელეხში მათთან ერთად წასვლას ვაპირებდი და გზის მეორე მხარეს გადავედი. ჩემმა თანამოსაუბრემ მიცნო და რადგან ორკესტრი უკრავდა ხმამაღლა შემახსენა: „სიკვდილის მიმართ სიძულვილი“. მერე ორივე ხელი ასწია და თავს ზემოთ ბოქლომივით შეაერთა. ეს მოძრაობა მეც გავიმეორე და რამდენიმე წამს ასე ვიდექით. მამის აწეული ხელები გამახსენდა – სიკვდილის მიმართ სიძულვილის ერთგვარი გამოხატულება. შესაძლოა, არა ისეთი მკვეთრი, როგორც პარიზში, მაგრამ სრულიად აშკარა. მამა ჯერ არ დაგვეკრძალა და მამაზეციერს უკვე რაღაცას ევედრებოდა.

რუსულიდან თარგმნა აკაკი დაუშვილმა

ნოდარ იაგორაშვილის პოეტური ნათელხილვა

ნოდარ იაგორაშვილის პოეზია უდიდესი სიყვარულია: სამშობლოს, მამულის, მისი ყოველი ქალაქის თუ სოფლის, მისი ყოველი ქუჩის, მისი ყოველი ტყის თუ ველის, ყოველი ხის თუ ფოთლის.

შუამთის ტყის, თუ, გომბორის მთებზე მობუტბუტე ღრუბლის ქულებმა ააღებინა კალამი, რომ სადიდებელი ეძღვნა მათთვის. ლექსში „აი, რად მიყვარს ჩემი თელავი", – ეს სიყვარული გამოსჭვივის.

რამ აატირა ცა – ბუმბერაზი, რატომ აფრქვევდა ცრემლში სინაზეს, ცხრაასწლოვანი, თეთრი ჭადარი, რას უმღეროდა, რა სილამაზეს;

რამ ათქმევინა სადიდებელი, კახელ კაცს, რამაც ცეცხლით აღავსო,
არ უნახია, ვისაც თელავი, მას საქართველო არ უნახავსო.
როგორ დავთვალო ყველა სიკეთე, ყველა ღირსება ჩამონათვალი
თელავი – ჩემი სიყვარულია, უფლისგან ნაზად ჩამონათალი;
თელავი, – ჩემი, ტურფა სამშობლოს, ფრთამოქარგული პატარძალია,
აი, რად მიყვარს – ეს, დალოცვილი, აი, რად მიყვარს ასე, ძალიან.
ან, ლექსი, – „იქნებ როგორმე"
გომბორის თავზე ბუტბუტებენ ღრუბლის ქულები,
ნიავი ცდილობს – წვიმის წვეთებს წამოეცელქოს,
ჩემი თელავის სილამაზეს ვეჩურჩულები,
იქნებ, როგორმე, ნადიკვარზე ვალსი მაცეკვოს.

მკითხველი გვერდს ვერ აუვლის ლექსს „ჩემს თელაველებს", – აქ, სიყვარულის ამოფრქვევაა, – თელავისადმი და თელაველებისადმი.

ჩემი თელავის ყველა ქუჩას თითზე დავითვლი,
უფალმა ღმერთმა ნადიკვარზე ცრემლად დამადნოს,
შაქარყინულის ნატეხივით გულში ჩავითლი,
რომ თქვენი სიტკბო, სიხარული ჩამებადაგოს.

ნოდარის კალამი სიყვარულით ემორჩილება. მის ლექსებში მისი გული და სულია ჩადებული. იგი ლოცავს: „წინწყაროს" და „მრავალჟამიერს". ლექსში –

„თბილისი და თბილისელი დამილოცე ღმერთო".
დაგელოცოს „წინწყარო" და „მრავალჟამიერი",
სინარნარე აულაღდეს მთაწმინდაზე ცისკარს;
საქართველოს დედაღმერთო, ჩემო მშვენიერო,
შენი ცის და შენი მიწის სიხარული მიყვარს.

მისი ლექსების მრწამსი სიკეთეა, სიმშვიდეა, სამშობლოს სიყვარულია, დედის, მეუღლის, ქალის, მომავალი თაობის.

ლექსი – „მე მიყვარს" შეიძლება მივიჩნიოთ მის საპროგრამო ლექსად.

მე მიყვარს შენი ძველი შუამთა,
შენი გრემი და შენი სიონი,
ცივგომბორის მთის თეთრი ქულები
და მხრებგაშლილი კავკასიონი.
მე მიყვარს, – შენი კამკამა ზეცა,
ცაში აჭრილი ჩიტის გალობა,
მე მიყვარს, – კაცურ კაცის მარჯვენა
და დედაკაცთა ქალურქალობა.
მე მიყვარს შენი ტურფა სილაღე,
შენი – ტიკტიკა ბავშვის აკვანი,
მე მინდა: მკერდით დაგემხო – მკერდზე
და სიყვარულით გიძღვნა თაყვანი.
შენ დაგელოცოს: კაცურ-კაცური,
შვილებმრავალი, გმირი დედები,
ათასი წელიც, რომ ვიყო, შენთან,
სამშობლოვ, მაინც, არ დავბერდები!

პოეტი ეთაყვანება, ეალერსება ვაზს, ჩვენი სიძლიერის იმედსა და სიმბოლოს ლექსი, – „რთველი"

ვაზის ტოტზე გაცრეცილი ფოთოლი,
ყურძნის მწიფე მტევანს ეალერსება,
მწკრივის თავში, ღიპიანი გოდორი –



ნოდარ იაგორაშვილი

გაბოტილა, თავი მტევნით ევსება.

პოეტს არ ასვენებს კითხვა, – „ვინა ხარ, შენ, ადამიანო?“ და... ამ კითხვას მრავალი ლექსიც მიუძღვნა.

აი, თუნდაც: „მოდი, ხელი ჩამირტყი!..

მოდი, ხელი ჩამირტყი
და მომეცი პირობა,
რომ კაცურად ატარო, –
შენი გვარიშვილობა“.

ლექსს უძღვნის შვილიშვილს.

დედისადმი მიძღვნილი აქვს მთელი ციკლი: „მიმღერე დედავ“, „დედის გული“, „შენ დაგელოცოს მაგ, მკერდის ძალა“, „დედის შეგონება“, „ამაგი დედას“.

ლექსი „დედას“

ხმელი ფოთოლივით გაცრეცილს, –
დედას ვუკოცნი წამწამებს,
წლების ჭიუხებში გაცვეთილს
წლების ჭიუხებით ნანამებს.

იგი, იმის სიყვარულსაც უმღერის, რომელიც მამის გულის გულშია შემალული.

კაცური თვალებით გამიგო ყოველი,
ერთი გაღიმება ცხრა დღე მამყოფინა;
დედა ძლიერ მიყვარს, თავზე ძლიერ მიყვარს,
მამის სიყვარული, რაღაც, სხვა ყოფილა.

პოეტი ეფერება, ეალერსება: სიცოცხლის ყლორტებს, შვილებს, შვილიშვილებს და, დედის სიყვარულს, გაფრთხილებას სთავაზობს.

ლექსი „კაცად გაიზარდე“

აკვანში პაწია ბარტყი, რომ წევს,
სიცოცხლე, სინორჩე, – განაბული,
უფალმა ლამაზი კვალი მისცეს,
გულს, – ჩაუქრობელი დგარადგური.
თვალში – დღენათელი, – მზისსადარი,
ბაგეს – სიამე და გაღიმება,
რწმენა – უფლის ხატთან მისატანი,
ხნულში ჩამარცვლა და გაღვივება.
მშობლის ნაჯაფარის – დაფასება,
შუბლზე – გატკეცილი სიხარული,
ალალგულობა და დაკაცება,
ფუძის ერთობა და სიყვარული.
კაცად გაიზარდე, პაწაწინავ,
ასხლტი, არტახები დაილეწე,
ვინც, შენ, მაგ, აკვანში ჩაგაწვინა,
მისი ლოცვა იყოს – შენი შემწე:
საერთოდ, სიყვარული მის პოეზიაში ლამაზი ფერებით არის დახატული.

აპრილია

სურნელება მომეფინა კოკრის,
მე კი შენი მოფერება მინდა,
ჩემი ფიქრთა სიო შენსკენ მოქრის,
კლდის ნაჟური, წყაროსავით წმინდა.
. . . . . .
თბილი ცრემლი დაეპკურა იას,
ფიქრის ზღვაში სიყვარულით ვთვრები,
ველოდები გაზაფხულის ნიავს,
შენი სუნთქვით ამეწეწოს თმები.

ნოდარის პოეზია მდიდარია სიტყვიერი პალიტრით, სასიამოვნო საკითხავი და მუსიკალურია. მის ლექსებზე დაწერილი სიმღერები მსმენელს ატკბობს.

ხალხის საყვარელ პოეტს, – ნოდარ იაგორაშვილს ვუსურვებთ საქართველოს გაბრწყინებას, დიდხანს სიცოცხლეს, ოჯახის კარგად ყოფნას, – და ახალ-ახალ შემოქმედებით წარმატებებს.

ნუნუ ქამუკაშვილი





თელავი

ISSN 1512-3995
1512399

ფასი 3 ლარი ISSN 1512-3995